

პოსტნორმალური დროის საკითხები

THE
POSTNORMAL
TIMES
READER



EDITED BY ZIAUDDIN SARDAR

იასი-ს წიგნების სერია

პოსტნორმალური დროის საკითხები

რედაქტორი: ზიაუდდინ სარდარი
შემოკლებულია ს. სკოტ ჯორდანის მიერ



International Institute
of Islamic Thought



გამომცემლობა „კიბერსაფი“
თბილისი 2021

აოსტნორგალური დროის საპითხავი (Georgian)

რედაქტორი: ზიაუდდინ სარდარი

შემოკლებულია ს. სკოტ ჯორდანის მიერ

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია

© ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (იასი),
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი.

1443ჰ/2021

Paperback ISBN: 978-9941-33-079-7

The Postnormal Times Reader (Georgian)

Edited by Ziauddin Sardar

IIIT Books-in-Brief Series

© The International Institute of Islamic Thought, (IIIT)

1440AH/2018CE

Paperback ISBN 978-1-56564-958-3

IIIT

P.O. Box 669,

Herndon, VA, 20172, USA

www.iiit.org

ინგლისურიდან თარგმნა მეგი ქლენტმა (შ.პ.ს „თარჯიმანი“)

თარგმანის თეოლოგიური რედაქტორი: ტარიელ ნაკაიძე

ფილოლოგიური რედაქტორი: ია ძირკვაძე

ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი ც.დადიანი №7 ბიზნეს და სავაჭრო ცენტრი ქარ-
გასლა A-317

ikiacademy.org

პუბლიკაცია მომზადებულია გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-
სტიტუტთან თანამშრომლობით

საავტორო უფლება დაცულია. სავალდებულო გამონაკლისებისა და შესაბა-
მისი კოლექტიური ლიცენზირების შესახებ შეთანხმების დებულებებიდან
გამომდინარე, არცერთი ნაწილის გამრავლება არ შეიძლება მოხდეს გამომ-
ცემლების წერილობითი ნებართვის გარეშე.

ნინამდებარე ნამრომში გამოხატული ხედვები და აზრები ეკუთვნის ავ-
ტორს და შეიძლება არ ემთხვეოდეს გამომცემლის მოსაზრებებს.

გამომცემლობა „ანივარსატი“, 2021

თბილისი, 0186, ა. პალლიბაოვისა და №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

იასი-ს წიგნების სერია

იასი-ს წიგნების სერია წარმოადგენს ინსტიტუტის მიერ მომზადებული მნიშვნელოვანი პუბლიკაციების ამ-სახველ ღირებულ კოლექციას, რომელიც, მკითხველი საზოგადოებისათვის, სრული ტექსტის ძირითადი შინა-არსის მარტივად გააზრების მიზნით შემოკლებული ფორმითაა დაწერილი. აღნიშნული ფორმატი მკითხველს შესაძლებლობას აძლევს, დროის მოკლე მონაკვეთში, დიდი პუბლიკაციების დეტალურ, გამარტივებულ მიმო-ხილვას გაეცნოს. იმედი გვაქვს, ჩვენი ნაშრომი მკით-ხველში ორიგინალის, ტექსტის სრული ვერსიის წაკით-ხვის სურვილსა და ინტერესს აღძრავს.

ჩვენ ვცხოვრობთ დაჩქარებული ცვლილების ეპო-ქაში. ახალი ტენდენციები, ტექნოლოგიები და კრიზისე-ბი სწრაფად ვითარდება და ახდენს ჩვეული სოციალუ-რი და პოლიტიკური ლანდშაფტების ტრანსფორმირებას. ლრმა ისტორიული ფესვების მქონე დამკვიდრებულმა და დაფასებულმა იდეალებმა, შესაძლოა, უცრად დაკარ-გოს ღირებულება. არასტანდარტული და უჩვეულო ცნებები და მოვლენები შეიძლება აღმოცენდეს არსაი-დან, გავრცელდეს და გახდეს დომინანტური. თუნდაც

მხოლოდ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ გავხდით მოწმენი ევროპაში და აშშ-ში პოპულიზმის და უკიდურესი მემარჯვენეების მოძრაობის გამოჩენისა, ასევე ბრექსიტის, ევროკავშირში გაჩენილი ბზარების, კიბერ ომებისა, რომელსაც თან ახლავს ცივი ომის ხელახალი გაჩაღების ალბათობა. ჩინეთი წარმოჩნდა სულ უფრო მზარდად დომინანტ ახალ ზესახელმწიფოდ. ისე-თი პანდემიები, როგორიცაა ებოლა და ზიკას ვირუსები; ექსტრემალური ამინდის გამომწვევი კლიმატური ცვლილებები; მძლოლის გარეშე მოძრავი ავტომობილები; „მცდარი ახალი ამბები“; „ალტერნატიული ფაქტები“; „პოსტ-სიმართლე“; და „დამანგრეველი ტექნოლოგიები“, რომლებიც ხშირად არღვევენ და აზიანებენ ყოველივეს. როგორც ჩანს, ყველაფერი ამოძრავებულია და აღარაფერია სარწმუნო. ყველაფერი, რასაც ჩვენ ნორმად მივიჩნევთ, ჩვენს თვალწინ ქრება.

პოსტნორმალური დროის თეორია ცდილობს გაიაზროს ცვალებადი სამყარო, რომელშიც გაურკვევლობა დომინანტურ საკითხად, ხოლო უმეცრება ლირებულ ერთობად იქცა. „პოსტნორმალური დროის საკითხავი“ ჩვენი ეპოქის წინააღმდეგობრივი, რთული და ქაოტური ბუნების შესახებ ნაშრომების ნოვატორული ანთოლოგიაა. იგი მოიცავს პოსტნორმალური დროის წარმოშობას, თეორიასა და მეთოდებს; და განიხილავს უამრავ საკითხს პოსტნორმალური დროის თვალსაზრისით, დაწყებული კლიმატის ცვლილებიდან, მმართველობიდან, ახლო აღმოსავლეთიდან, დამთავრებული რელიგიითა და მეცნიერებით. ჩვენი გარდამავალი ხანის ლოკალური თუ გლობალური საკვანძო პრობლემების ასახვით „საკითხა-

ვი“ გთავაზობთ მღელვარე მომავლისაკენ მიმავალ გზა-
ზე ნავიგაციის საშუალებას.

ორიგინალური გამოცემის შემოკლებული ვერსია
პოსტნორმალური დროის საკითხავი

რედაქტირებული ზიაუდდინ სარდარის მიერ

ISBN pbk: 978-1-56564-991-0

2017

რა მოხდა სულ ახლახანს?

შესავალი

ზიაუდდინ სარდარი

აქცევთ ყურადღებას, რაც თქვენს ზურგს უკან ხდება? ლი გეიტსი, ფილმში „ფულის მონსტრები“ ამბობს: „თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ სადაა თქვენი ფული. გახსოვთ, ერთ დროს თქვენ შეგეძლოთ ბანკში შესვლა, თქვენი სეიფის გახსნა და ოქროს ზოდისაკენ თითოთ მინიშნება. თქვენი ფული, რისთვისაც წელში წყდებით, ახლა ალარაფერია თუ არა ენერგიის სულ რამდენიმე ფოტონი, რომელიც მძლავრი ქსელის ფიბერ-ოპტიკურ კაბელებში მოძრაობს. რატომ ვაკეთებთ ჩვენ ამას? იმიტომ, რომ აგვეჩარებინა მისი მოძრაობა, რადგანაც ფული უმჯობესია სწრაფი იყოს. უფრო სწრაფი ვიდრე სხვების. მაგრამ თუკი თქვენ გსურთ უფრო სწრაფი ბაზრები, სწრაფი ვაჭრობითა და უფრო სწრაფი მოგებით ადრე თუ გვიან საბურავის გასკდომა გარდაუვალია“.

ადეკვატური და გულწრფელი დაკვირვებაა. იმ გამონაკლისით, რომ საბურავი კი არაა ხარვეზიანი, არა-მედ თავად ავტომობილი და გზაა სავალალო მდგომარეობაში. გახვრეტილი საბურავები ყველგანაა და როგორც ჩანს, ისინი შემაშფოთებლად რეგულარულად ჩნდებიან.

2016 წელს ჩვენ გავხდით მთელი რიგი უპრეცენდენტო მოვლენების მოწმენი. მიმდინარე კონფლიქტები სირიაში, ლიბიასა და ერაყში, რამაც გამოიწვია ლტოლვილთა კრიზისი უპრეცენდენტო მასშტაბებით. მასობრივი მკვლელობები საფრანგეთში, გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. მემარცხენე ფრთის პოპულიზმა ჯერემი კორბინი ლეიბორისტული პარტიის ლიდერად აქცია დიდ ბრიტანეთში; ხოლო ბერნი სანდერსი პოლიტიკური აღმაფნოთების ტალღის სათავეში მოექცა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მარჯვენა ფრთის პოპულიზმს საფრანგეთში, ავსტრიაში, ჰოლანდიაში, პოლონეთსა და უნგრეთში ძალუძს მემარჯვენე ძალების ხელისუფლების სათავეში მოყვანა. ზიკას ვირუსი. ეპოქა-ლური სამშვიდობო შეთანხმების უარყოფა კოლუმბიაში. ჩინეთსა და იაპონიას შორის დაძაბულობის ესკალაცია სამხრეთ ჩინეთის ზღვაში. პრეზიდენტი როდრიგო დუტერტე, რომელიც თავისი ამბიციის ფარგლებში ამართლებს ღარიბების მკვლელობას, როგორც აუცილებლობას ფილიპინებზე ნარკოტიკების ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ბრექსიტი, ბიზარები ევროკავშირში, და რა თქმა უნდა, დონალდ ტრამპი, რაღაც აშკარად სწორად არ ხდება მსოფლიოში.

უბრალოდ რა ხდება?

მრავალი მკვლევარი, მოაზროვნე, მწერალი და კომენტატორი ცდილობს ამის გარკვევას უკვე ათ წელზე მეტია. არსებითად, ისინი ყველანი ამბობენ, რომ ჩვენ ან უკვე დავკარგეთ, ან ვკარგავთ ჩვენს რწმენასა და ნდობას იმის მიმართ, რასაც აქამდე მივიჩნევდით ნორმალურად, ჩვეულებრივად და სწორად.

ასე რომ ნორმები, არა აქვს მნიშვნელობა თუ როგორ არის განსაზღვრული, თანდათანობით ქრება. ჩვენ ვმოძრაობთ იმის მიმართულებით, რასაც მე ვუწოდე „პოსტნორმალური დრო“. „საკითხავი“ გამოკვეთს პოსტნორმალური დროის თეორიის განვითარების სქემას, რომელიც სათავეს იღებს პოსტნორმალურ მეცნიერებაში და აერთიანებს ზოგ საკვანძო სტატიასა და ნაშრომს. ჩემი მიზანი აქ არის ერთდროულად პოსტნორმალური დროის თეორიის მიმოხილვის უზრუნველყოფა და იმის ჩვენება, თუ როგორ შეიძლება უახლესი მოვლენების გაგება და აღქმა ამ პრიზმის საშუალებით.

„პოსტნორმალური დროის საკითხავი“ განასახიერებს და საუბრობს პოლილოგების ღირებულებებზე, რომელიც უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია მომავლისაკენ სავალ გზატკეცილზე აგებულ წინაღობებს შორის ჩვენი გზის გასაკვალად. პოსტნორმალური ხანის დისკურსი ჯერ კიდევ დამუშავების პროცესშია. შესაბამისად, საკუთრივ „საკითხავიც“ შეიცვლება და განვითარდება დროთა განმავლობაში ახალ გამოცემებთან ერთად. თუმცა, ის ყოველთვის იქნება ტექსტი, რომელსაც საფუძვლად მრავალფეროვნება და მრავლობითობა უდევს; და ასევე, ეს იქნება სივრცე, რომელიც გახსნილია თქვენს შენატანისთვის.

ცარმომავლობა და თეორია

პოსტნორმალური დროის მეცნიერება

სილვიო ო. ფუნგოვიცი და ჯერომ რ. რავეცი

ტრიუმფისა და ოპტიმიზმის საუკუნეების შემდგომ, მეცნიერება დღესდღეობით მოწოდებულია გამოასწოროს გლობალური ინდუსტრიული სისტემის პათოლოგია, რომლის საფუძველსაც ის წარმოადგენს. ფაქტებისა და ფასეულობების, ასევე ცოდნისა და უმეცრების ძველი დიქოტომიები ჩარჩოებს სცდება. ამ ახალი პირობების შესატყვისი მეცნიერება უნდა დაეფუძნოს არაპროგნოზირებადობის, არასრული კონტროლისა და მრავლობითი ლეგიტიმური პერსპექტივების ვარაუდებს. ამ ეპოქის შესაბამისი მეცნიერება „პოსტნორმალურია“.

პოსტნორმალურ მეცნიერებაში გაურკვევლობა კი არ იდევნება, არამედ იმართება, ხოლო ფასეულობები კი არ ივარაუდება წინასწარ, არამედ მკაფიოდ განისაზღვრება. სამეცნიერო არგუმენტის მოდელი არის არა ფორმალიზებული დედუქცია, არამედ ინტერაქტიური დიალოგი.

მეცნიერების ამ ახალ სახეობაში გადაწყვეტილების მიღებაში სამეცნიერო წვლილის შეფასება მოითხოვს „თანასწორთა განვრცობილ საზოგადოებას“. ⁽¹⁾ პოლიტი-

კური დიალოგების ახალ მონაწილეთა ლეგიტიმურობის მსგავსი განვრცობა, სხვადასხვა შეხედულებებისა და შემეცნების ფორმის პატივისცემით, ზრდის სამეცნიერო ცხოვრებაში უტყუარი და ეფექტური დემოკრატიული ელემენტის განვითარების შესაძლებლობას.

ბუნების ხელახალი შექრა ლაპორატორიაში

საკუთრივ ბუნება აღარ საჭიროებს ველურად და შიშისმომგვრელად აღქმას. ჩვენმა ტექნოლოგიებმა და მედიცინამ ერთობლივად გახადეს ბუნება პროგნოზირებადი და ნაწილობრივ კონტროლირებადიც კი. ამ მიღწევის წინა მხარეს კი წარმოადგენს ის, რომ შესაძლოა, იგი არამდგრადი აღმოჩნდეს. სამეცნიერო მეთოდის ტრიუმფმა განაპირობა მისი დომინირება ცოდნის მოპოვების ყველა სხვა გზაზე. საღი აზრის გამოცდილებამ და ცხოვრებისათვის საჭირო სახსრების მოპოვების მემკვიდრეობით მიღებულმა უნარ-ჩვევებმა დაკარგა ძალაუფლების მოთხოვნის პრეტენზია. საჯარო გადაწყვეტილებების მიღების რაციონალურობა თითქოსდა მეცნიერულად უნდა ჩანდეს. ამჟამად სამეცნიერო ექსპერტიზამ მიგვიყვანა ჩვენ პოლიტიკურ დილემებამდე, რომელთა გადაჭრა მას თავად არ შეუძლია.

გაურკვევლობისა და ხარისხის ცენტრალური როლი

გაურკვევლობა და ხარისხი სამეცნიერო მეთოდოლოგიის პერიფერიიდან ინაცვლებს წინ, რათა კონცეფციების ინტეგრირებით ცენტრალური პოზიცია მოიპოვოს. ახალ პოლიტიკურ საკითხებს აქვთ საერთო მახასიათებლები, რაც განასხვავებს მათ ტრადიციული სამეცნიერო პრობლემებისაგან. ეს საკითხები თავისი მასშტა-

ბებით უნივერსალური, ხოლო ზემოქმედებით გრძელვა-დიანია. მონაცემები მათი ეფექტების შესახებ უკიდურე-სად არასაკმარისია. ეს ფენომენები, მათი სიახლიდან, კომპლექსურობიდან და ცვალებადობიდან გამომდინარე, თავისთავად არ არის კარგად გაცნობიერებული. პოლი-ტიკა არ შეიძლება განხორციელდეს ფაქტობრივი პროგ-ნოზების საფუძველზე.

უნდა შემუშავდეს ახალი მეთოდები იმისათვის, რომ ჩვენი უმეცრება გამოსადევი გახდეს.⁽²⁾ ამისათვის კი აუცილებელია ტექნიკურ საშუალებებზე სრულ დამო-კიდებულების რადიკალურად უარყოფა, ოღონდ ამას უნდა გამოვაკლოთ განსჯა მეთოდოლოგიური, საზოგა-დოებრივი და ეთიკური საკითხების შესახებ.

პრობლემების გადაჭრის სტრატეგიები

გაურკვევლობა და გადაწყვეტილების მიღებაზე დადებული ფსონი წარმოადგენს იმ ატრიბუტების საწი-ნააღმდეგოს, რომლებიც ტრადიციულად ახასიათებდა მეცნიერებას. კონკრეტულად კი ეს არის მისი უეჭველო-ბისა და ღირებულებრივი ნეიტრალურობის თვისებები. ტერმინი „სისტემური გაურკვევლობები“ მიესადაგება იმ პრინციპს, რომლის თანახმადაც პრობლემა, თავისი არ-სით, დაკავშირებულია რთული რეალობის გაგებასა და მართვასთან. „გადაწყვეტილების ფსონებში“ ჩვენ ვგუ-ლისხმობთ სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიერ გაღებულ ყველა დანახარჯს, მათ სარგებელსა და ღირე-ბულებით ვაღდებულებებს. ამის გააზრების შემდგომ ჩვენ შეგვიძლია პრობლემის გადაჭრის სამი სტრატეგიის განსაზღვრა.

გამოყენებითი მეცნიერება

პრობლემის გადაჭრის სტრატეგიის ახსნა იწყება ყველაზე ნაცნობი სტრატეგიით: გამოყენებითი მეცნიერებით. ეს ხდება მაშინ, როდესაც, როგორც სისტემური გაურკვევლობები, ისე გადაწყვეტილების ფსონები დაბალია. გადაწყვეტილების ფსონები ამ შემთხვევაში იქნება მარტივი და მცირე. პრობლემა შესაძლებელია მოგვარდეს ჩვეული, თავსატეხის გადაჭრის მიდგომით. პროექტების საექსპერტო შეფასებისა და ნაშრომების რეცენზირების ტრადიციულმა პროცესებმა საკმაოდ კარგად იმუშავა იქ, სადაც გაურკვევლობები და საგარეო გადაწყვეტილების ფსონებიც დაბალი იყო, მიუხედავად მათი კარგად ცნობილი ნაკლოვანებებისა.

პროფესიონალური კონსულტაცია

პროფესიონალური კონსულტაცია მოიცავს გამოყენებით მეცნიერებასაც, მაგრამ განიხილავს პრობლემებს, რომლებიც მათი სრული გადაჭრისთვის საჭიროებენ განსხვავებულ მეთოდოლოგიას. ამ შემთხვევაში აუცილებელია უფრო მაღალ უნარებზე დაფუძნებული პირადი განსჯა, მაშინ, როდესაც გაურკვევლობა, ამჯერად უფრო კომპლექსური, მეთოდოლოგიურ დონეზეა. გადაწყვეტილების ფსონებიც ასევე უფრო კომპლექსურია. ამოცანასთან კავშირში მყოფი მიზნების ირგვლივ წარმოიქმნება კონფლიქტი დაინტერესებული მხარეებისა და ასევე ბუნებრივი სისტემების მონაწილეობით.

პროფესიონალური დავალებები უნიკალური სიტუაციების მოგვარებას ისახავს მიზნად. პიროვნული ელემენტი შესაბამის მნიშვნელობას იძენს. მეცნიერების მი-

ერ მხოლოდ გამოყენებით მეცნიერებასთან დაკავშირებული პრობლემის ირგვლივ წარმოქმნილმა აზრთა რადიკალურმა სხვაობამ, შესაძლოა გამოიწვიოს საზოგადოების დაბნეულობა და იმედგაცრუებაც. გარკვეულობის მიღწევა მოახდენს სამეცნიერო უტყუარობის მისტიკის დაკარგვის კომპენსირებას.

პოსტნორმალური მეცნიერება

ახლა ჩვენ განვიხილავთ პრობლემის გადაწყვეტის სტრატეგიის მესამე ტიპს, რომელშიც გაურკვევლობა და გადაწყვეტილების ფსონი მაღალია. ჩვენ ამას „პოსტნორმალურს“ ვუწოდებთ, რათა ალვინიშნოთ, რომ ნორმალური მეცნიერების თავსატეხის გადაჭრის მეთოდები აქ უკვე შეუსაბამოა იმ პოლიტიკური საკითხების მოგვარებასთან, რომლებიც დაკავშირებულია რისკებსა და გარემოსთან.

პოსტნორმალურ მეცნიერებას ერთი პარადოქსული თვისება ახასიათებს. ის გამოიხატება იმაში, რომ პრობლემის მოგვარებისას მის საქმიანობაში ტრადიციული „მტკიცე ფაქტების“ დომინირება „რბილ ღირებულებებთან“ მიმართებით თავდაყირაა დაყენებული. აქედან უნდა გამომდინარეობდეს პროგნოზების მთელი რიგი, რომლებიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამეცნიერო წვლილის შეტანას. მაგრამ ყველა მიზეზობრივი ელემენტი უკიდურესად გაურკვეველ მდგომარეობაშია; ლოდინი კი იქამდე, სანამ ყველა ფაქტი გაირკვევა, უგუნურობის კიდევ ერთი ფორმა შეიძლება გახდეს.

ეს გაურკვევლობები სცილდება სისტემის გაურ-

კვევლობების ჩარჩოებს, მათ შორის ეთიკას. პოლიტიკის ეს ახლადწამოჭრილი საკითხები დაკავშირებულია ახალი დაინტერესებული მხარეების კეთილდღეობასთან – ისე-თებთან, როგორიცაა მომავალი თაობები, სხვა სახეობები და პლანეტარული გარემო მთლიანობაში. მხოლოდ ყველა მხარეს შორის გამართულ დიალოგს შეუძლია მსგავსი პრობლემების მოგვარების კრეატიული გადაწყვეტილებებამდე მიღწევა.

თანასწორთა განვრცობილი საზოგადოება

პოსტნორმალურ მეცნიერებაში პროდუქტებისა და პროცესების მრავალფეროვანი გაურკვევლობები მოითხოვს ადამიანთა ფარდობითი მნიშვნელობის გაზრდას. ისინი, ვისი სიცოცხლე და საარსებო წყარო დამოკიდებულია პრობლემების გადაჭრაზე, გათვითცნობიერებული იქნებიან, თუ როგორ ხდება ზოგადი პრინციპების რეალიზება მათ „უკანა ეზოებში“. მათ ასევე ექნებათ „განვრცობილი ფაქტები“, მათ შორის ზეპირი გადმოცემები, არაფორმალური გამოკითხვები და არაოფიციალური წყაროების მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური ინფორმაცია.

დასკვნა

რისკისა და გარემოს შესახებ ახალი პოლიტიკური საკითხები, როგორც სამეცნიერო კვლევის სუბიექტი, გლობალურია არამხოლოდ მათი მოცულობით, არამედ ასევე მათი კომპლექსურობით, განვრცობითა და სიახლით. სამეცნიერო აქტივობით ამჟამად ხორციელდება ცოდნასა და მის ეთიკაში გარდაუვალი გაურკვევლობების მართვა, ასევე აღიარებულია სხვადასხვა ლეგიტი-

მურ პერსპექტივები და ცოდნის მოპოვების გზები. პოსტნორმალური პასუხი არის გამოწვევის აღიარება და შემდეგ ინტეგრაციისკენ წინსვლის დაწყება გაურკვევლობის დაშვებითა და მრავალფეროვნების მხარდაჭერით.

დამოწმებული ლიტერატურა

1. S. O. Funtowicz and J. R. Ravetz, “Three types of risk assessment and the emergence of postnormal science”, in D. Colding and S. Krimsky (Eds.), *Theories of Risk* (New York: Greenwood Press, 1991).
2. J. R. Ravetz, “Usable knowledge, usable ignorance: incomplete science with policy implications”, in J. R. Ravetz, *The Merger of Knowledge with Power* (London: Cassell, 1990).

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება პოსტნორმალურ დროში

ზიაუდდინ სარდარი

ერთ უბედურებას მეორე მოჰყვება ხოლმე, ამბობს ანდაზა. უკანასკნელ ხანებში ასე ხშირად მომხდარა. თითქოს კლიმატური ცვლილებების გამო გამოწვეული მრავალმხრივი საფრთხე ღამეების თეთრად გათენები-სათვის არასაკმარისი ყოფილიყო, დღეისათვის ჩვენ აღ-მოვჩნდით ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე რეცე-სიის მდგომარეობაში. მანამ, სანამ ამოსუნთქვის საშუა-ლება მოგვეცა, ღორის გრიპის პანდემია მსოფლიოს შთანთქმით გვემუქრებოდა. ამ ყველაფრის უკან კიდევ იმალება ენერგეტიკული კრიზისი, ბუნებრივი რესურსე-ბის შემცირება, ბირთვული იარაღის გავრცელებისა და ტერორიზმის მუდმივი საფრთხე. ჩვენ გვძულს ბანკირე-ბი, არ ვენდობით ჩვენს პოლიტიკურსებს და მუდმივად ვდარდობთ ჩვენი სამუშაო ადგილების შენარჩუნებაზე, ჩვენი შვილების უსაფრთხოებასა და საზოგადოებების დაკანინებაზე. არაფერია გარკვეული, ნამდვილად გარან-ტირებული და აბსოლუტურად უსაფრთხო.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება პოსტნორმალურ

ხანაში. *Espíritu del tiempo* (იტ. დროის სულისკვეთება) ხა-სიათდება გაურკვევლობით, სწრაფი ცვლილებებით, ძა-ლაუფლების გადანაწილებით, გადატრიალებებითა და ქაოტური ქცევებით. ჩვენ ვცხოვრობთ გარდამავალ პე-რიოდში, როცა კვდება ძველი ორთოდოქსული ჩვევები, მაგრამ ახალი ჯერ არ დაბადებულა, და ერთი შეხედ-ვით, ცოტა რამეს თუ აქვს აზრი. ეს არის დრო, როცა ნებისმიერ არჩევანი სახითათოდ გეჩვენება, რადგანაც მან, შესაძლოა, სრულ განადგურებამდე თუ არა, უფ-სკრულის პირამდე მაინც მიგვიყვანოს.

ბევრი რამ, რასაც ჩვენ აღვიქვამთ ნორმალურად, ჩვეულად და ტრადიციულად, უბრალოდ აღარ მუშაობს. საკუთრივ სამყარო გახდა გაცილებით უფრო გაურკვევე-ლი. საეჭვოა ისიც, რომ არსებობს ისეთი ქვეყანა, რო-მელშიც პოლიტიკოსებს ენდობიან და პატივს სცემენ. ამინდის ციკლების ნდობაც კი აღარ შეიძლება – გლობა-ლური დათბობის წყალობით. ეს არის მრავალჯერადი და ერთდროული კრიზისების ხანა. საქმე არა მარტო ისაა, რომ ზოგადად, ყველაფერი არასწორად ვითარდება, არა-მედ ის, რომ ყველაფერი თვალსაჩინოდ არასწორად მიმ-დინარეობს გლობალური მასშტაბით, მრავალი და ურთი-ერთსაპირისპირო გზებით. ამგვარად, ჩვენ აღმოვჩნდით სიტუაციაში, რომელიც შორს დგას ნორმალურისგან და შევაბიჯეთ პოსტნორმალურ ტერიტორიაზე.

ყველა ეს შეუსაბამობა დაკავშირებულია 3C-სთან: complexity, chaos and contradictions ანუ კოპლექსურობა, ქაოსი და წინააღმდეგობები – ძალები, რომლებიც ქმნი-ან და წინ წამოსწევენ პოსტნორმალურ დროებას.

კომპლექსურობა

თითქმის ყველაფერი, რასთანაც დღეს გვაქვს შეხება, კომპლექსურ ხასიათს ატარებს. კომპლექსურობა არის ბუნებრივი გვერდითი ეფექტი იმ ფაქტისა, რომ ჩვენი პრობლემების უმეტესობა გლობალური მასშტაბებისაა.

გლობალიზაცია კიდევ უფრო ამძაფრებს კომპლექსურობას – არა მხოლოდ იმიტომ, რომ გვხდის ურთიერთდამოკიდებულებად, არამედ იმითაც, რომ ზრდის ურთიერთკავშირებს. აღარაფერი არსებობს ან ხდება იზოლირებულად. თუკი ეს უკვე არ იყო საკმარისი, არსებობს კიდევ ერთი ტენდენცია, რომელიც ვითარებას კიდევ უფრო ართულებს; ყველაფერი იცვლება ელვის სისწრაფით და ხშირად ეს ყველაფერი ერთდროულად ხდება. ჩვენ გვიჭირს წარმოშობილი კომპლექსურობის გააზრება და თითქმის შეუძლებელია მასთან გამკლავება.

კომპლექსურობა გვიტარებს მნიშვნელოვან გაკვეთილს: კონტროლისა და განსაზღვრულობის ცნებები მოძველებული ხდება. ჩვენს დროში აღარ გვაქვს არასასურველ შედეგებზე დაფიქრებისთვის, დაკვირვებასა და რეაგირებისთვის ან გარკვეული წესის მიხედვით მსჯელობისთვის დროის დათმობის ფუფუნება.

ქაოსი

კომპლექსურობა არის ქაოსის წინამორბედი და მისი აუცილებელი წინაპირობა. ქაოტური ქცევა არ არის იშვიათი ფენომენი. თუმცა მაინც უჩვეულოა ცივილიზაციების, საზოგადოებების ან მთლიანად დედამიწის მაც-

ხოვრებლების ქაოსის თეორიის კარნახით განპირობებულ ქცევაზე დაკვირვება.

რადგანაც ყველაფერი ყველაფერთან სისტემურად ურთიერთკავშირშია, ნებისმიერ ერთ ადგილას წარმოქმნილ სისტემურ ხარვეზს აქვს დომინოს ეფექტი, რადგანაც იწვევს ქსელის სხვა ნაწილების არევას ან მთლიანი ქსელის ჩამოშლასაც კი. უფრო მეტიც – პოზიტიური გამოხმაურების პოტენციალი უზარმაზარია. მობილური ტელეფონების, ელექტრონული ფოსტის, ბლოგების, ტვიტების და სადღელამისო საინფორმაციო მედიის წყალობით, ჩვენ მუდმივად ყველაფრის საქმის კურსში ვართ. ამრიგად, ჩვენ მზად ვართ დაუყოვნებლივი რეაგირებისათვის, რადგანაც ვართ აღჭურვილი ჯაჭვური რეაქციების ახალი სქემების ამოქმედების საშუალებებით.

კომპლექსურობის მსგავსად, ქაოსიც გვიტარებს ფუნდამენტურ გაკვეთილს: ინდივიდუალური და სოციალური პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება უპირველესი მნიშვნელობისაა ჩვენი კოლექტიური გადარჩენისათვის. ინდივიდუალიზმი კატასტროფის წინააღმდეგ რეცეპტია.

წინააღმდეგებობი

კომპლექსური ქსელებით მოცულ სამყაროს, უამრავი მოქიშპე ინტერესითა და იდეოლოგით, ჩანაფიქრით, სურვილებითა და ქაოტური ქმედებებით ბევრი არაფერი შეუძლია გარდა იმისა, რომ გაამძაფროს წინააღმდეგობანი. პოსტნორმალურ დროში არსებობს ორი არსებითი წინააღმდეგობა, რომელიც ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

პირველი ეხება ცვლილებებს. გარემოებები ყოველ-თვის იცვლებოდა, მაგრამ ისინი არ იცვლებოდნენ ისე-თი დაჩქარებული ტემპებით, რომლის მონმეებიც დღეს ვართ. ექსპონენციალური დაჩქარება ახლა ნორმად იქ-ცა. მიუხედავად ამისა, პლანეტის ვრცელი სეგმენტები და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ფრაგმენტები კვაზისტატიკურია. რაც უფრო მეტი რამ იცვლება, მით უფრო მეტად ჩანს, რამ თითქოს იგივედ რჩება.

მეორე წინააღმდეგობა ცოდნას ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ცოდნა გაიზარდა და საფუარის მსგავ-სად თითქმის ყველა სფეროში კიდევ უფრო იზრდება, როგორც ჩანს, ჩვენ იმავდროულად დღეს უფრო უმე-ცარნი ვართ, ვიდრე ოდესმე.

უმეცრების პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია ჩვეულებრივი კვლევის საშუალებებით; აქედან გამომდი-ნარე, ჩვენ არ გვაქვს წარმოდგენა მისი არსებობის შესა-ხებ. ამგვარად, ჩვენ ვდგავართ უმეცრების სამმაგი დარ-ტყმის, ანუ კუბში აყვანილი უმეცრების წინაშე: ჩვენი უმეცრების იგნორირება, ბოლოდროინდელი მოვლენების პოტენციური რისკების შესახებ თანდაყოლილი უმეცრე-ბა და ზედმეტი ინფორმაციისგან დატვირთვით გამოწვე-ული უმეცრება. უმეცრება მოითხოვს აზროვნების პრინ-ციპულად ახალ გზებს.

გაურკვევლობა

როდესაც წინააღმდეგობები, კომპლექსურობა და ქაოსი დაჩქარებულ ცვლილებებთანაა კომბინირებული, გაურკვევლობა ერთადერთი საბოლოო შედეგია. გაურ-კვევლობა შეიძლება იყოს ერთადერთი რამ, რაშიც, შე-

საძლოა, ვიყოთ დარწმუნებული, მაგრამ ეს ნამდვილად არ არის კომფორტული და ჯერჯერობით არ წარმოადგენს პოლიტიკურად ან სოციალურად მისაღებ საფუძველს რეალურად რთული გადაწყვეტილებების შესახებ დისკუსიის გამართვისთვის.

უმეცრებისა და გაურკვევლობის ერთობლიობა, ისევე, როგორც ქაოტური ქცევის ტენდენცია, ურთიერთსაწინააღმდეგო ანალიზები და უსაფრთხოებისა და რისკების კომპლექსური საკითხები – ეს ყველაფერი ნიშნავს, რომ „ჩვეული საქმიანობისთვის“ დღესდღეობით ჩვენს ხელთარსებული ვარიანტები შემაშფოთებლად მოძველებულია.

ლირსებები

ჩვენ გვესაჭიროება შეთანხმება ახალი ნორმალურობის დროისაკენ მიმავალ გზების შესახებ. ამასთან, პრობლემა ის არის, რომ რაც უფრო მეტად შეიკუმშა სივრცე, დრო და თანმიმდევრულ დებატებში ჩართულობის მზაობა, მით უფრო კომპლექსური, წინააღმდევგობრივი და ქაოტური გახდა ყველაფერი. იმისათვის, რომ მოვილაპარაკოთ პოსტნორმალური ყოფიდან გამოსვლის თაობაზე, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა ვისწავლოთ მოლაპარაკების წარმართვა და მისწრაფების ტრანსფორმაციად ქცევა.

მორალი, რომელიც უნდა ჩამოყალიბდეს პოსტნორმალური დროის მახასიათებლებისგან, არის საუკუნოვანი ლირსებები: თავმდაბლობა, მოკრძალება და პასუხისმგებლობა. თავმდაბლობა, მოკრძალება და პასუხისმგებლობა შეუცვლელი ლირსებები და გაურკვევლო-

ბისა და სირთულის პირობებში ცხოვრებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებებია. გარკვეული სიტუაციების გაურკვევლობისა და სირთულის აღქმის უნარობა არა მხოლოდ ტექნიკური, არამედ ეთიკური შეცდომაცაა.⁽¹⁾ მართლაც, ეთიკას და მხოლოდ ეთიკას ძალუძს პოსტნორმალური ჩიხიდან ჩვენი გამოყვანა.

კაცობრიობისთვის ცნობილმა ნებისმიერმა სოციალურმა, კულტურულმა, პოლიტიკურმა, ფილოსოფიურმა და რელიგიურმა მსოფლმხედველობამ ხელახლა უნდა ისწავლოს ურთიერთქმედება საკუთარ ეთიკურ პრინციპებთან. ეთიკური დებატები და პასუხისმგებლობა, რომელიც ჩვენ უნდა შევქმნათ, უნდა დაიწყოს პოსტნორმალური აქსიომის მიღებით, რომ არ არსებობს მონოპოლია ჭეშმარიტებაზე. როდესაც არ არსებობს სწორი ან არასწორი პასუხები, ნებისმიერ თვალსაზრისს შეაქვს თავისი წვლილი. შესაბამისად, ნებისმიერ ადამიანს, სხვათა მსგავსად, შეუძლია გახდეს პოტენციური გადაწყვეტილების ნაწილი. ამას თან უნდა დავურთოთ ეთიკური მკაფიობა – გონების მდგომარეობა, რომელიც გვაცნობიერებინებს იმას, რომ ჩვენ, ყველანი, ვატარებთ უმეცრების ტვირთს და არც ერთი ჩვენგანი ფლობს ყველა სწორ პასუხს. პოსტნორმალურ პირობებში მოქნილობა, ადაპტაცია და მგრძნობიარობა, რომლებიც მკვეთრად განსხვავებულია საწყისი პირობებისგან, მოითხოვს ჩვენგან ჩვენი ეთიკური სიცხადის განვითარებას, რათა გავზიარდოთ ჩვენი პასუხების მრავალფეროვნება.

წარმოსახვა

პოსტნორმალურ დროსთან გამკლავების ყველაზე მნიშვნელოვანი ინგრედიენტები წარმოსახვა და შემოქმედებაა.

რატომ?

იმიტომ, რომ ჩვენ არ ვფლობთ კომპლექსურობის, წინააღმდეგობებისა და ქაოსის მოსაგვარებელ სხვა საშუალებებს. წარმოსახვა არის მთავარი ინსტრუმენტი, რომელსაც მარტივი, დასაბუთებული ანალიზიდან მივყავართ გაცილებით მაღალი სინთეზისაკენ. ჩვენ ვალდებული ვართ წარმოვისახოთ პოსტნორმალური დროიდან გასვლის გზები.

დიდწილად ჩვენი ამჟამინდელი ჩიხი წარმოსახვის მარცხის შედეგია. რა თქმა უნდა, ჩვენ ვისწავლით ჩვენი შეცდომებისგან და მომავალი უკეთესი და კეთილდღეობით აღსავსე იქნება. ეს საშიში ილუზიაა. ჩვენ უნდა წარმოვისახოთ უკეთესი გზები.

ჩვენ გვჭირდება ეთიკური წარმოსახვა, რომლითაც ჩვენ გავაცნობიერებთ გაურკვევლობასა და რისკებს, რომლებსაც ვაწყდებით ამ რეალობაში და რომლითაც ვიმუშავებთ სირთულეებისა და მრავალფეროვნების პირობებში და ამავდროულად, სათუთად მოვეპყრობით ჩვენს ღირსებებს, რადგანაც ეს ყველაზე მეტად გვესაჭიროება. ჩვენი საუკეთესო იმედი იმ არჩევანზე პასუხისმგებლობის აღებაა, რომელიც უნდა გავაკეთოთ, რათა უზრუნველვყოთ წარმოსახვაში არსებული მომავლის

შექმნა ჩვენს კაცობრიობასა და ხელუხლებელ პლანეტასთან ერთად.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. Paul Cilliers, “Complexity, deconstruction and relativism”, *Theory, Culture & Society*, 22 (5), pp. 255-267.

პოსტნორმალური დროების ხელახალი განხილვა

ზიაუდდინ სარდარი

ჩემს ნაშრომში „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება პოსტნორმალურ დროში“ მე შევეცადე შორსმჭვრეტე-ლობისა და მომავლის კვლევების შედეგად მიღებული იდეების სინთეზირება. ამჟამად პოსტნორმალური ანალიზი მეცნიერებიდან გავრცელდა მომავლის კვლევებამდე, პოლიტიკურ ანალიზებამდე, ეკონომიკურ ინტელექტუამდე, არქიტექტურასა და კულტურულ მემკვიდრეობამდე.

აქ კი მსურს კრიტიკულად განვიხილო ჩემი ნაშრომთან დაკავშირებით რამდენიმე რეპლიკა და შევეცადო წამოჭრილ კითხვებზე პასუხის გაცემა, პოსტნორმალური მდგომარეობის მცირედი მახასიათებლების განსაზღვრა, პორიზონტს მიღმა დამალული პოსტნორმალურის გამომზეურება და შესწავლა იმისა, თუ რას ნიშნავს „პოსტნორმალური“.

პოსტნორმალური დრო და მისი შინაარსი (ან მისით გამოწვეული უკმაყოფილება)

ლოგიკური კითხვაა: როგორ შეიძლება ვიმყოფებოდეთ პოსტნორმალურ დროში მაშინ, როდესაც, ფაქტობ-

რივად, ნორმალური ყოფა, როგორც ასეთი, არ არსებობს? ვინ განსაზღვრავს, თუ რა არის ნორმალური?

პოსტნორმალურ ანალიზში ჩვენ ნორმალურად მიგვაჩინია ის, რაც ხშირად გვხვდება: ის, რაც მიიღება როგორც ყოფის, კეთებისა და შემეცნების დომინანტურ გზად, რაც პირობითად განიხილება, როგორც სტანდარტი, ნაკარნახევია შეთანხმებით და ტრადიციით, რასაც მხარს უჭერს დისციპლინური სტრუქტურები და სამეცნიერო წრე და ის, რისი პროგნოზირება და კონტროლიც ჩვენ შეგვიძლია. პოსტნორმალური დროის (PNT) თეორიაში გაზიარებული ნორმალური არ მუშაობს.

ჩვენ, ვინც პოსტნორმალური დროის თეორიაზე ვმუშაობთ, ავირჩიეთ პოსტნორმალური დრო ხუდემდებლური მიზეზის გამო. უპირველეს ყოვლისა, ის თავს არიდებს აპოკალიფსურ ტონებს. მეორე, ის ხაზს უსვამს წარმომადგენლობას. მესამე, ის ჩვენს ყურადღებას ამახვილებს იმ სირთულეებზე, წინააღმდეგობებსა და გაურკვევლობებზე, რომლებიც წამდვილად უნდა გავიაზროთ იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ როგორ იცვლება სამყარო. მეოთხე, პოსტნორმალური დროის თეორიას გააჩინია მყარი თეორიული საფუძველი. მეხუთე, თეორიული შრომა საშუალებას გვაძლევს შევიმუშავოთ პოლიტიკა სფეროების ფართო სპექტრში და მრავალ საკითხთან მიმართებით, რათა პოსტნორმალური დრო მივმართოთ პოზიტიური მომავლისაკენ.

რაკეშ კაპური (Kapoor)⁽¹⁾ ამტკიცებს, რომ პოსტნორმალური დროის თეორია დასავლური თეორია ან კონცეფციაა. ვერაფერი იქნებოდა ამდენად შორს ჭეშმა-

რიტებისგან. ჯერ ერთი, აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვრები არამარტო შეიცვალა, არამედ ბუნდოვანი და განურჩეველი გახდა. პოსტნორმალური დროის თეორია არც დასავლური და არც აღმოსავლური კონცეფცია არ არის; ის, უბრალოდ, თეორიული ჩარჩოა, რომელიც აღწერს და ხსნის ჩვენს ეპოქას.

რაც შეეხება იმ არგუმენტს, რომ წარსულშიც მსგავსი დაბრკოლებების და „უცნაური დროის“ წინაშე აღმოვჩენილვართ და როგორც სემ ქოული⁽²⁾ აცხადებს, „საკმარისი დაფარული ცოდნის რეზერვის“ და ევოლუციის უმაღლესი მდგომარეობის გათვალისწინებით, ჩვენ შეგვიძლია ჩვენი პრობლემის მოგვარება და ამიტომაც უნდა გავაგრძელოთ ჩვენი ამჟამინდელი კურსი. მერილ ვინ დევისი აღნიშნავს, რომ „მონუმენტური ბუნების ოპტიმიზმი ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ რადგანაც წარსულში ჩვენ მოვახერხეთ ჩვენი პრობლემების მოგვარება, ჩვენ ამის გაკეთებას სამუდამოდ განვაგრძობთ“. ⁽³⁾ ტრადიციული დისციპლინები პრობლემის ნაწილია იმ თვალსაზრისით, რომ მათ მიგვიყვანეს ჩვენ დღევანდელ უსიამოვნო სიტუაციამდე და თანამედროვეობისგან წარმოშობილ მოვლენათა უმეტესობა ჩაფლულია უმეცრებაში. ჩვენ არასოდეს ვმდგარვართ ერთდროულად ამდენი პრობლემის წინაშე; არასდროს განგვიცდია ცვლილებების ასეთი დაჩქარებულ ტემპი ან მსგავსი გლობალიზებული ურთიერთეკვერები და სირთულეები და არასოდეს ვყოფილვართ ჩაფლული უმეცრებაში იმ საკითხების ირგვლივ, რომლებსაც აქვთ ასეთი მასშტაბური შედეგები ჩვენი საკუთარი კონტექსტის მიღმა.

განა უეჭველია, რომ სისტემას, რომელიც არ არის გაერთიანებული ქსელში ან სავსეა თვითწინააღმდეგობებით, არ შეუძლია გამოავლინოს ქაოტური ქცევა და გახდეს პოსტნორმალური? ამ შეკითხვაზე პასუხის მოძიება შეიძლება მერილ ვინ დევისის მიერ დასმული კითხვის პასუხში „ჩვენ უკვე იქ ვართ?“ დიახ, და არა. პოსტნორმალურობა არ არის ერთგვაროვანი ფენომენი: ის პლანეტის ყველა სეგმენტზე თანაბრად არ მოქმედებს. ასე რომ მსოფლიოს ყველა ნაწილი არ გამხდარა პოსტნორმალური; მაგრამ დედამიწის ყველა ნაწილი შეიძლება იქცეს პოსტნორმალურად.

პოსტნორმალური მდგომარეობა

პოსტნორმალური მდგომარეობა არის არსებობის განსაკუთრებული რეჟიმი, რომელშიც ჩვენ ვპოულობთ საკუთარ თავს. ჩვენ ვაწყდებით პრობლემებს, რომლებიც საგრძნობლად განსხვავებულია თავისი მასშტაბებით, ურთიერთდაკავშირებულია და ჩართულია ცვლილებების დაჩქარებულ ტემპში. მასშტაბი, ქსელები და აჩქარება ახდენს პოსტნორმალური დროის 3C-ს გენერირებას, რასაც გაურკვევლობასა და უმეცრებისაკენ მივყავართ.

ბოლოდროინდელი პოლიტიკური მოვლენები მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენ უკვე აღარ გვაქვს საქმე თავისი ბუნებით ლოკალურ, დროის თვალსაზრისით გამიჯნულ, მხოლოდ ერთ მუჭა ხალხზე ან მცირე თემებზე ზეგავლენის მქონე და უმნიშვნელო რაოდენობით პროცესების ამმოძრავებელ მოვლენათა განვითარების რიგითობასთან. პოსტნორმალურ პირობებში მოვლენები და

სიტუაციები სწრაფად ვითარდება, რათა გახდეს ქაოტური და მოიცვას მსოფლიო.

პოსტნორმალური განვრცობილი აწმყო

პოსტნორმალურობა მიმართულია უახლოეს მომავალში გაზრდისკენ. პოსტნორმალურ თეორიაში ჩვენ ამას ვუწოდებთ „განვრცობილ აწმყოს“ – ეს არის უახლოესი მომავალი, რომლის ფორმირებაც მოხდება იმ დამკვიდრებული ტენდენციებითა და მოვლენათა განვითარებებით, რომელთა იდენტიფიცირება შეგვიძლია დღეს. ტენდენცია არ არის ბედისწერა. თუმცა, ამ ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში ჩვენ განწირულნი ვართ აღმოვჩნდეთ სულ უფროდაუფრო პოსტნორმალურ სამყაროში.

აღსანიშნავია, რომ 3C არ მოქმედებს თანაბარ დონეზე ყველა სიტუაციაში. ზოგიერთ შემთხვევაში, კომპლექსურობა შეიძლება იყოს ყველაზე დიდი კომპონენტი; სხვებში ეს შეიძლება იყოს ქაოსი ან წინააღმდეგობა, მაგრამ ზოგადად 3C-ს აჩქარებასთან და ზრდასთან ერთად ხდება მათი კომბინირება, რაც წარმოქმნის პოსტნორმალურ მდგომარეობას.

„იყო პოსტნორმალური“

როგორ გავუმკლავდეთ პოსტნორმალურ დროს? როგორ წავინიოთ წინ ისე, რომ არ გავხდეთ ქაოსის მსხვერპლი? როგორ გადავრჩეთ მზარდი გაურკვევლობისა და სხვადასხვა სახის უმეცრების პირობებში, რომელთაც ვაწყდებით ხოლმე? ამ და პოსტნორმალურ პერიოდში წარმოჭრილ უამრავ სხვა კითხვაზე პასუხის გა-

ცემა იწყება გათვითცნობიერებით და მთავრდება კრეატიულობითა და წარმოსახვით.

ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ არ შეგვიძლია პოსტნორმალური დროის მართვა და კონტროლი, მაგრამ შეგვიძლია მასში ორიენტირება. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ უამრავი პრობლემა რომელსაც ერთდროულად ვაწყდებით, არ შეიძლება იყოს მოგვარებული იზოლირებულად: როდესაც განვიხილავთ ერთ პრობლემას, ჩვენ ასევე უნდა განვიხილოთ მასთან დაკავშირებული ყველა დანარჩენი პრობლემაც. ამრიგად, სიმრავლე, მრავალფეროვნება და განსხვავებული პერსპექტივები აუცილებელია პოსტნორმალური პირობების გაგებისათვის და მასში ორიენტირებისთვის.

ამ აქტუალური რეალობის ცოდნა ნიშნავს „იყო პოსტნორმალური“.

პოსტნორმალურ დროში წარმოქმნილ თითქმის ყველა ცვლილებას ღრმა ეთიკური კონტაცია ახასიათებს. ეთიკა არ არის მხოლოდ სამყაროში არსებობა, არამედ სამყაროსთან თანაარსებობაცაა. საუბარია იმაზე, თუ როგორ ვართ დაკავშირებული დანარჩენ სამყაროსთან. მომავლის კვლევა არ შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ იმას, თუ რა შეიძლება მოხდეს მომავალში. ეს კვლევა, მეტწილად, უნდა ემსახურებოდეს იმას, თუ რა უნდა კეთდებოდეს საღ აზრზე დაფუძნებული და ეთიკური მომავლის შენარჩუნებისათვის.

შესაძლოა, პოსტნორმალურ დროში წარმოქმნილ ყველაზე ფუნდამენტურ ცვლილებას ჰქონდეს განსაზღვრის ძალა. დასავლეთის რეალური ძალა ეყრდნობოდა

მის მიერ კაცობრიობისა და ადამიანური საზოგადოების ძირითადი ცნებების განსაზღვრის უნარს, მაგრამ პოსტნორმალური დრო გვეუბნება, რომ ეს განსაზღვრებები „ვადაგასულია“. სწორედ აქ კრეატიულობა და წარმოსახვა ხდება ანგარიშგასასაწევი.

კრეატიულობა და წარმოსახვა უნდა იქნეს გამოყენებული ყველაფრის ახალი განსაზღვრებების შესაქმნელად – დაწყებული ხელოვნებასა და არქიტექტურიდან, პოლიტიკიდან და მმართველობიდან, მეცნიერებიდან და სულიერებიდან და დამთავრებული იმით, თუ რას ნიშნავს იყო ადამიანი პოსტნორმალური დროში. ჩვენთვის უკვე დადგა დრო, რომ ამოვხიოთ ფურცელი კანადელი ექსპერიმენტული ჯგუფის შექმნილი წიგნიდან „პოსტნორმალური“. თავიანთ სიმღერაში „არქტიკული სისხლი და ყინული“, ისინი მღერიან იმის შესახებ, რომ რაღაც უკიდურესად არასწორია ჩვენს დროსთან მიმართებით და რომ ჩვენ უნდა შეგვეძლოს უკეთესის მიღწევა.

დამოწმებული ლიტერატურა

1. Rakesh Kapoor, “Is there a postnormal time? From the illusion of normality to the design for a new normality”, *Futures* 43, 2011, pp. 216-220.
2. Sam Cole, “Alliterative Logic: A Theory of Postnormal Times”, *Futures* 43 (2), March, 2011, pp. 209-215.
3. Merryl Wyn Davies, “Postnormal Times: Are We There Yet?” *Futures* 43 (2), March 2011, 136-141, alexander-cyberwar/all/

მეთოდები და პითავაზი

პრისტინრმალური დროის სამი ხვალინდელი დღე

ზიაუდდინ სარდარი და ჯონ ა. სკინი

შესავალი

ამგვარი შორს მიმავალი, სწრაფი და ერთდროული ცვლილებების ფონზე წამოიჭრება ახალი მნიშვნელოვანი კითხვა ფუტუროლოგების, მომავლის მკვლევრებისა და პრაქტიკოსებისთვის: შეძლებენ კი არსებული მეთოდები გამკლავებას მომავალთან, რომელიც თავისი არსით კომპლექსური, ქაოტური, წინააღმდეგობრივი, გაურკვეველი და სწრაფად ცვალებადია? ტრადიციულად, მომავლის კვლევები განიხილავს მომავლის რამდენიმე ალტერნატიულ ვარიანტს და განასხვავებს მათ მოსალოდნელი, სავარაუდო, შესაძლო და სასურველი მომავლის კლასიფიკაციის მიხედვით.⁽¹⁾ მაგრამ რა არის სავარაუდო მსოფლიოში, რომელშიც გაურკვევლობა და ქაოსი ნორმაა? რა არის მოსალოდნელი მომავალში, რომელშიც დომინირებს წინააღმდეგობები? შესაფერისია თუ არა ჩვენი ჩვეულებრივი მეთოდები, როგორებიცაა პროგნოზირება, სცენარის შექმნა და მოდელირება პოსტინორმალური დროის მიზნებისათვის? ითვალისწინებს თუ არა მომავლის (მომავლების) შესახებ სცენარები ცვლილე-

ბებს? სცენარის მოდელირების არსებული მეთოდები სა-თანადოდ ითვალისწინებს კი პლურალიზმსა და პოლი-ლოგიას, მათ შორის ადამიანთა და არა მარტო ადამიან-თა შორის, რაც ასე საჭიროა პოსტნორმალურ დროსთან შეპირისპირების მიზნით? როგორ ვაწარმოებთ სიცოც-ხლისუნარიანი მოქმედების კურსს პოსტნორმალურ დროში ნავიგაციისათვის?

ამჟამინდელი ფუტუროლოგიური მეთოდები არ არის შეუსაბამო, მაგრამ მათ თან ახლავთ თანდაყოლი-ლი შეზღუდვები, განსაკუთრებით კი პოსტნორმალურ დროსთან მიმართებაში. რისიც ჩვენ გვჯერა არის ის, რომ ფუტუროლოგიური მეთოდები ფეხს ვერ უწყობს იმ მამოძრავებელ ძალებს, რომლებიც რეალურად გვიბიძ-გებს გაუაზრებელი მომავლისკენ.

რა არის საჭირო? სხვადასხვა არეალისა და მას-შტაბის პოლილოგები.⁽²⁾ პოლილოგები მონიშნავს „მრა-ვალ ლოგიკას, გამოსავალს და ყოფას“⁽³⁾ როგორც ვხე-დავთ, პოლილოგები მოითხოვს ახალი ფიზიკური და მენტალური სივრცის შექმნას, რომელშიც მრავალფე-როვნება, პლურალიზმი და ურთიერთმოქიშპე პერსპექ-ტივები მათი საკუთარი პირობებით არის წარმოდგენი-ლი, მაგრამ ისინი ასევე ახდენენ ინვესტირებას ცოდნის შექმნის, გაზიარებისა და შემეცნების პროცესში სხვების ჩართვაში. გარდა იმისა, რომ უნდა მოვიძიოთ ჩვენი ცოდნის გაზიარების უკეთესი და უფრო ეგალიტარული გზები, ჩვენ ასევე მუდმივად უნდა ვიყოთ ჩვენი ისტო-რიების შექმნისა და გაზიარებისათვის უფრო თანამ-შრომლობითი და დინამიკური საშუალებების ძიების

პროცესში. აწმყოსა და მომავლის ნებისმიერ ანალიზს ესაჭიროება იმის გაცნობიერებაც, რომ მრავალი რამ, რასაც მივიჩნევთ, როგორც თავისთავადს, მალე უცნაური გახდება.

ნორმალურობა, პოსტნორმალურობა, პოსტნორმალური დაცურება და აფეთქება

პირველი უცნაური ფაქტი, რომელიც უნდა გავაცნობიეროთ, არის ის, რომ ნორმალურობა და პოსტნორმალურობა ურთიერთგადამკვეთრა და თანაარსებობს გვერდიგვერდ. ბევრი „ნორმალური“ სისტემა ვეღარ გააგრძელებს „ნორმალურად“ ფუნქციონირებას პოსტნორმალური დროში – ადრე თუ გვიან, ეს მაინც მოხდება, რადგანაც 3C პირდაპირ ან ირიბ გავლენას მოახდენს მათზე.

თვით ნორმალურობის ცნება გარკვეულწილად უცნაურია, განსაკუთრებით პოსტნორმალურ დროში. ეს აშკარად „წარმოებული ნორმალურობაა“. ⁽⁴⁾ ის „წარმოებულია“ იმ გაგებით, რომ ასეთი ნორმები შემუშავებულია მძლავრი საერთაშორისო ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ფუნქციონირებენ საბაზრო ძალებზე, შიდა, ეჭვშეუვალ ვარაუდებსა და დახვეწილ მანიპულირებაზე დაყრდნობით, რათა მოახდინონ იდეოლოგიური და სამომხმარებლო სურვილებისა და ოცნებების გენერირება.

წარმოებული ნორმალურობის დარგი (MNF) წარმოადგენს ჩვენი აღქმის ხელახალი ორიენტაციის საშუალებას იმის თაობაზე, თუ რა არის და რა არ არის ნორმალური და როგორც სფერო, რომელიც ფართოვდება

და იკუმშება ჩვენი ინდივიდუალური ან საზოგადოებრივი ფოკუსირების მიხედვით, „წარმოებული ნორმალურობა“ ყალიბდება უმეცრებისა და გაურკვევლობის ძალებით.

„ნორმალური“ მოვლენები პოსტნორმალურობისკენ მიემართება პოსტნორმალური დაცურების (PNC) პროცესის გზით. მიუხედავად იმისა, რომ პოსტნორმალური დაცურების მამოძრავებელი ძალები შეიძლება იყოს ძლიერი, ამგვარი ძლიერი დინებების ნაკადი ყველას არ მოიცავს. არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ვერ ხედავენ, უფრო სწორად კი უგულებელყოფენ ან უარყოფენ პოსტნორმალური დაცურების წარმოქმნას. ისინი განიცდიან პოსტნორმალურ ჩამორჩენილობას (PNL): უარყოფის პერცეფციური მდგომარეობა. ამრიგად, პოსტნორმალური ჩამორჩენილობა არის უარყოფა, რომლის გადალახვა მხოლოდ პოსტნორმალური აფეთქების (PNB) მეშვეობითაა შესაძლებელი: როდესაც სისტემა სრულად შედის პოსტნორმალურ რეჟიმში და უკვე აღარ არსებობს ადგილი, სადაც შესაძლებელია დამალვა.

პოსტნორმალური დროის ჩარჩოების სამი ხვალინ-დელი დღე

ჩვენი ეპოქის უცნაური მახასიათებლების გათვალისწინებით, პოსტნორმალური დროის ჩარჩოებში მომავლის კვლევა სპეციფიკური გამოწვევების წინაშე გვაყენებს.

ჩვენ უნდა გავამახვილოთ ყურადღება ერთდროულობასა და სირთულეებზე, ისევე, როგორც პოსტნორმა-

ლური დროის დინამიკურ ბუნებაზე. ჩვენ უნდა შევაფასოთ გაურკვევლობა, სხვადასხვა დონის უმეცრებასთან ერთად და ჩავრთოთ რაც შეიძლება მეტი წარმოსახვა და კრეატიულობა მთლიან პროცესში.

საფუძველი, რომელიც ჩვენ შევიმუშავეთ, პოსტნორმალური დროის შეცნობისა და მასში ორიენტირებისათვის, ისევე, როგორც შესაძლო მომავლების შესწავლისათვის, არის „პოსტნორმალური დროის სამი ხვალიდენლი დღე“ (3T).

განვრცობილი აწყმო – ეს პირველი ხვალინდელი დღეა: ეს არის ის, რასაც ადამიანთა უმეტესობა გულისხმობს „მომავალზე“ საუბრისას. განვრცობილ აწყმოში დომინირებს და მასში წარმოდგენილია ისეთი ტენდენციები თუ წარმოქმნილი პრობლემები ან სუსტი სიგნალები, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია; ისინი უპრალოდ აფართოებენ და ავრცელებენ აწყოს. ასეთ შემთხვევაში საუკეთესო, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, პოსტნორმალური დროის თვალთახედვის გამოყენებაა იმისათვის, რომ განვსაზღვროთ ის სისტემები, რომლებიც, შესაძლოა, მიცოცავენ პოსტნორმალური დროისაკენ ან არიან პოსტნორმალური აფეთქების მიჯნაზე.

განვრცობილი აწყმოს შემდეგ მოდის **ნაცნობი მომავალი (მომავლები)**, რომელიც უფრო ჩვეულია, რადგანაც ფუტურისტული პროეცირებისა და სამეცნიერო ფანტასტიკის წყალობით შექმნილი მომავლის (მომავლების) გამოსახულებების და წარმოსახვის მეშვეობით გაცილებით ნაცნობი მოჩანს. განვრცობილ აწყმოში ჩანერ-

გილ ტენდენციებთან ერთად ხდება სარეკლამო გამოსახულებების, კორპორატიული ხედვების, პოპულარული „ფუტუროლოგიის“ და სამეცნიერო ფანტასტიკური რომანების, ფილმებისა და სატელევიზიო შოუების ექსტრაპოლაცია და პროეცირება მომავლის სურათის შესაქმნელად, რომელიც მთლიანობაშია ასევე ნაცნობია.

ნაცნობი მომავლის მიღმა დაგას გაუაზრებელი მომავალი – სუფთა შესაძლებლობის ჰორიზონტი. გაუაზრებელი მომავალი სულაც არ არის წარმოუდგენელი, არამედ ეს არის ჰორიზონტი, სადაც რაღაც ყოველთვის გაუაზრებელი რჩება. გაუაზრებელი მომავალი (მომავლები) არ არის მხოლოდ ის, რაც არ არის მოსალოდნელი ან წარმოსახული; უფრო მეტად, ეს არის რაღაც, რაც ჩვეული აზროვნების ფარგლებს ცდება.

პოსტნორმალური პოტენციალის უცოდინრობა, გაურკვევლობა და სამხეცე

უმეცრებისა და გაურკვევლობის განსაკუთრებული სახეობა თან ახლავს ყოველ ხვალინდელ დღეს. გაურკვევლობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაირსახეობა ჩნდება მაშინ, როდესაც ცნობილია ცვლილების მიმართულება, მაგრამ შეუძლებელია მოვლენების მასშტაბებისა და ალბათობის შეფასება. ეს არის სიტუაცია, რომელსაც ჩვენ ვაწყდებით განვრცობილ აწმყოში. ჩვენ ამას ვუწოდებთ **ზედაპირულ გაურკვევლობას**, რომლის მართვაც, გარკვეულ დონემდე, შესაძლებელია სათანადო ცოდნისა და წინდახედულების მეშვეობით. „ნაცნობ მომავალში“ (მომავლებში) წარმოდგენილია ალტერნატივების ფართო სპექტრი და შესაძლო მომავლის უამრავი ვარიანტი.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ მომავლების უმეტესობა უბრალოდ მომავლის საერთო სურათების პროექციაა. ჩვენ ამას ვუწოდებთ **უმნიშვნელო გაურკვევლობებს.** დაბოლოს, გაუაზრებელი მომავალი (მომავლები), რომელშიც ყველაფერი შეიძლება მოხდეს და რომლის შესახებ არაფერია ცნობილი, ჩვენ წარგვიდგენს **ღრმა გაურკვევლობას.** აქ, ჩვენ არამარტო არ ვიცით ცვლილების მიმართულება, განზომილება და გავლენა, არამედ, ასევე არ გვძალუძს ვიცოდეთ, თუ რა ემართება სისტემას, რადგანაც ჩვენი მსოფლმხედველობა ან ეპისტემოლოგია სრულიად არასაკმარისია ამისათვის.

გაურკვევლობის თითოეული ტიპი ასოცირდება უმეცრების კონკრეტულ კატეგორიასთან. მარტივი **ან უბრალო უმეცრება** (ალინიშნება როგორც i¹) არის უმეცრება, რომლის დაძლევაც შესაძლებელია რთული ქსელების გაგებით ან ურთიერთგამომრიცხავი მოთხოვნების მქონე აქტორთა ერთდროული „ჭეშმარიტების“ გააზრებით. ეს არის უმეცრების დომინანტური ნაირსახეობა განვრცობილ აწმყოში: მისი დაძლევა და შემცირება შესაძლებელია სწავლის, კვლევების, სხვათა შეხედულების შეფასებითა და სწორი კითხვების დასმით. ნაცნობი მომავალი (მომავლები) წარმოაჩენს უფრო ღრმა დონის უმეცრებას, როდესაც არც კი ვიცით, რა კითხვები უნდა დავსვათ. ჩვენ ამას ვუწოდებთ **დასაძლევ უმეცრებას** (ალინიშნება როგორც i²): მისი დაძლევა აწყმოში სწავლით შეუძლებელია, რადგანაც არც არაფერია შესასწავლი, თუმცა ის ქმნის იმის გაცნობიერებას, რაც ჩვენ არ ვიცით, მაგრამ უნდა ვესწრაფოთ, რომ ვიცოდეთ მომავალში. შემდგომ მოდის, რა თქმა უნდა, რამსფელდის

„უცნობი უცნობები“: „რაც არ ვიცით, არ ვიცით“⁽⁵⁾ ის უკავშირდება გაუაზრებელი მომავლის (მომავლების) ორმა გაურკვევლობას და კლასიფიცირდება, როგორც დაუძლეველი უმეცრება (აღინიშნება როგორც i³).

პოსტნორმალური მოვლენები ყველაზე თვალნათლივ ვლინდება განვრცობილ აწმყოში. ეს წაგავს ოთახში შავი სპილოს ყოფნას, რომელსაც ან ვერავინ ხედავს, ან კიდევ შეგნებულად ირჩევენ მის იგნორირებას. ვინეი გუპტა აღნიშნავს, რომ შავი სპილო, „ეს არის მოვლენა, რომელსაც ვარაუდობენ და ფართოდ წინასწარმეტყველებენ ექსპერტები, მაგრამ ამ მოვლენის დადგომისას ადამიანები შეეცდებიან მის შავ გედად გასაღებას“⁽⁶⁾

თალების „შავი გედის“ პოპულარული ცნება ასახავს ნაცნობი მომავლის (მომავლების) არსას. შავი გედები არ არიან აღქმადი ან მკაფიოდ წარმოსახული ექსპერტების მიერაც კი; თალების თქმით, ისინი წარმოიქმნებიან, როგორც „განცალკევებული“ და „მოულოდნელი“ მოვლენები, „სავსებით შესაძლებელია მათი მცდარი გამოანგარიშება, მათი მნიშვნელობის სერიოზულად დაკინება ან პირიქით შემთხვევით გადაჭარბებული შეფასება“. შავი გედები შეიძლება პოზიტიურიც იყოს, რაც ნიშნავს, რომ მათმა გავლენამ შეიძლება ნათელი მოპფინოს მანამდე წარმოუდგენელ შესაძლებლობებს. ამასთან, ისინი შეიძლება უარყოფითიც აღმოჩნდნენ როგორც პოსტნორმალური დაცურებისა და პოსტნორმალური აფეთქების წარმოქმნის სიგნალი.

პოსტნორმალური ფენომენის განჭვრეტა გაუაზრებელ მომავალში (მომავლებში) ადვილი არ არის. ჩვენ

წარმოვიდგენთ გაუაზრებელი მომავლის პოსტნორმა-ლურ პოტენციალს შავი მედუზების სახით. შავი მედუ-ზები წარმოადგენენ „ძლიერ გავლენას“, მაგრამ ისინი „ნორმალური“ ფენომენები არიან, რომლებსაც მივყა-ვართ პოსტნორმალურობისაკენ პოზიტიური გამოხმაუ-რების წყალობით. შავი მედუზები აღნიშნავენ იმას, თუ როგორ იქცევა ნორმალური სიტუაციები და მოვლენები პოსტნორმალურ მოვლენებად; როგორ განიცდიან ისინი მუტაციას პოსტნორმალური ცოცვის მეშვეობით და რო-გორ ხდებიან ურთიერთდაკავშირებული, ქსელური, კომ-პლექსური და წინააღმდეგობრივი.

ერთობლიობაში შავ სპილოებს, შავ გედებს და შავ მედუზებს ჩვენ ვუწოდებთ პოსტნორმალური შესაძლებ-ლობების სამხეცეს. ჩვენი აზრით, ჩვენი სამხეცე, რო-გორც ერთიანი ანსამბლი, მიზნად ისახავს ორმად გამ-ჯდარი შეხედულებების გამოწვევას, ორმად ფესვეგად-გმული წინააღმდეგობების გამოაშკარავებასა და ახლე-ბური მოსაზრებებისთვის სიცოცხლის შთაბერვას.

მუშაობა 3T-სთან

3T სისტემას სამი სპეციფიკური ფუნქცია აქვა: ალტერნატიული მომავლების ძიების ხელშეწყობა მრა-ვალფეროვნებაზე და პოსტნორმალურ შესაძლებლობებ-ზე აქცენტის გაკეთებით; არსებული პროექციებისა და ექსტრაპოლაციის კრიტიკა; და პოსტნორმალურ დროში კურსირებისათვის საგანგებოდ ჩამოყალიბებული პოლი-ტიკის სტრუქტურირება და ჩამოყალიბება.

პოსტნორმალურ დროსთან გამკლავების უნარიანი პოლიტიკის ფორმირება მოითხოვს 3T სივრცისა და

დროის ერთდროულობის გაგებას. უმეცრებისა და გაურკვევლობის სამი სახეობა და სამხეცე ერთობლიობაში მიუთითებს პოსტნორმალური დაცურებისკენ: პროცესი, რომლის გავლითაც ნორმალური საგნები და მოვლენები ქაოტურად იქცევა და პოსტნორმალური ხდება.

პოსტნორმალური პოლიტიკის (PNP) მიზანს ჩვენი უმეცრების სამივე განშტოების გაცნობიერება, არსებული სირთულეებისა და მასთან დაკავშირებული გაურკვევლობის გაგება, პოსტნორმალური შესაძლებლობების განჭვრეტა და შესაბამისად, სიცოცხლისუნარიანი, თუნდაც უსიამოვნო, მაგრამ წინ მიმართული გზის დადგენაა.

3T-ს ადგილი მომავლის სფეროში

მაშინ, როდესაც მომავლის კვლევები ხაზს უსვამს ალტერნატივებს, მომავლისა და განჭვრეტის მრავალი მეთოდი იშვიათად მოიცავს პლურალიზმსა და მრავალფეროვნებას და მხოლოდ რამდენიმე მათგანი თუ ფოკუსირდება მომავლის შესაძლებლობების დინამიკურ და გამაერთიანებელ ბუნებაზე. 3T სისტემა გთავაზობთ მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც სასარგებლო იარაღად შეიძლება იქნეს გამოყენებული კრიტიკისა და კრიტიკული მომავლის შესწავლისათვის. 3T ასევე შეიძლება ემსახუროს ანალიტიკური ინსტრუმენტის სახით ტენდენციების, წარმოქმნილი პრობლემებისა და მომავლის წარმოსახვის კონტექსტუალიზაციისა და გამოვლენისათვის. ჩვენ კი ვთვლით, რომ მან, შესაძლოა, შეავსოს მომავლების კვლევის მრავალი სხვა მეთოდი.

პოსტნორმალურ დროში დამაჯერებლობის საზ-

ღვრების გაფართოება საჭიროებს შემოქმედობითობას-თან და წარმოსახვასთან შეწყვილებული ახალი ტიპის აზროვნების ჩამოყალიბებას. ჩვენ უნდა შევძლოთ სირთულეებთან და არასრულ ცოდნასთან გამკლავება. ჩვენი მიდგომა უნდა იყოს რადიკალური და იმავე დროს მოკრძალებული, რათა იყოს რეალისტური და ეფექტური. ეს არის 3T სისტემის მიმართულება, რომელიც საბოლოო ჯამში მიგვიყვანს გაუაზრებელამდე.

დამოწმებული ლიტერატურა

1. N. Henchey, “Making Sense of Futures Studies,” Alternatives: Perspectives on Society and Environment, Winter 1978
2. J. Kristeva, Polylogue (Paris: Seuil, 1977)
3. H. Chen, “The Concept of the ‘Polylogue’ and the Question of ‘Intercultural’ Identity”, Intercultural Communication Studies, vol. XIX, no #3, 2010, pp. 54-64
4. V. Rao, “Welcome to the Future Nauseous”, ribbonfarm: experiments in refactored perception, 09 May 2012. Available: <http://www.ribbonfarm.com/2015/05/09/welcome-to-the-future-nauseous/> [Accessed: 10 April 2015].
5. E. Morris, The Unknown Known (Participant Media, 2014).
6. V. Gupta, “On Black Elephants”, Available: <http://vinay.howtolivewiki.com/blog/flu/on-black-elephants-1450> [April 27, 2009].
7. N. N. Taleb, The Black Swan: The Impact of the Highly Improbable (New York: Random House, 2007)

დამაინფიცირებელი კავშირი: სამი ხვალინდელი დღის ილუსტრაცია

ჯონ ა. სვინი

2011 წლამდე, ლე როი (ნიუ-იორკი), ცნობილი იყო მხოლოდ იმით, რომ დასაბამი მისცა ამერიკულ დელიკატეს ჯელ-ო-ს (Jell-O). ყველაფერი შეიცვალა მას შემდეგ, რაც ლი როის საშუალო სკოლის მოზარდთა ჯგუფმა დაიწყო არაკონტროლირებადი სპაზმების, ტიკების, კრუნჩებისა და ენის დაბმის გამოვლენა. დიაგნოზი: მასობრივი ფსიქოგენური დაავადება (MPI). ადრეული ცნობების თანახმად, დაზარალებული თინეიჯერების პირველი ჯგუფი უყურებდა YouTube-ზე ატვირთულ ვიდეორგოლებს და ახდენდა ნანახის იმიტირებას. დოქტორ დევიდ ლიხტერის განცხადებით: „მე ვფიქრობ, რომ რადგანაც ადამიანებს ინტერნეტის მეშვეობით შეუძლიათ მოსწავლეების ქცევებზე თვალყურის დევნება, სავსებით შესაძლებელია ამ მედიუმის (ინტერნეტის) მეშვეობით ეფექტი გავრცელდეს უშუალო გარემოს მიღმა“.⁽¹⁾

როგორც ჩანს, დოქტორ ლიხტერის წინათგრძნობა ახდა, რადგანაც 36 წლის მედდა მარჯვი ფიტცსიმმონმა, რომელსაც არ ჰქონდა პირდაპირი კავშირი არც ერთ

მოსწავლესთან, დაინტ იგივე სიმპტომების გამოვლენა. დოქტორმა რობერტ ბართლომეები წინ წამოსწია ავის მომასწავებელი პოტენციური მოვლენის ვარაუდი: "შესაძლებელია, ბევრად უფრო დიდი ან გლობალური შემთხვევა აღმოჩენდება, თუკი დროულად ვერ გავათვიცნობიერებთ, თუ როგორ მოქმედებს სოციალური მედია, როგორც კონვენსიური აშლილობის გავრცელების ძირითადი ვექტორი ან აგენტი".⁽²⁾

მენტალური დაავადებების სიმპტომები არ არის მუდმივი და უცვლელი, მაგრამ შეიძლება მათი მოდიფიცირება მოხდეს კულტურული გარემოს შეცვლასთან ერთად. თუკი კულტურული ფონი წარმოადგენს მსგავსი ინციდენტების ხელისშემწყობ ფაქტორს, როგორ შეიძლება დაეხმაროს ეს ვინმეს იმის გაგებაში, თუ რა მოხდა ლი როიში?

ეს ეფექტი დროთა განმავლობაში იქცა პოპულარულ კონცეფციად თეორიულ წრეებში, რადგან იგი მიუთითებს ჩვენს, როგორც „ფორმვანი ღია სისტემის“ თანდაყოლილ მოქნილობაზე.⁽³⁾ აფექტი გულისხმობს უამრავ სოციალურ და პოლიტიკურ გავლენას – რომელთაგან ყველაზე ღრმა ის არის, რომ ჩვენი ტვინი და სხეული იმდენად მგრძნობიარეა მთელი რიგი ეპიგენეტიკური ძალების მიმართ, რომ თვით კატეგორიები, რომლებიც ინდივიდუალობის დასადგენად გამოიყენება, საუკეთესო შემთხვევაში, ორაზროვანია, თუ არა მთლიანად თვითნებური. ინფექციური კავშირი არის შემანუხებელი იმპულსი, რომელიც ელექტრონული ფოსტის შემოწმებისაკენ გიბიძგებთ; და გიჩენთ თქვენი სოციალური მედი-

ის განახლების ღილაკზე დაჭრის სურვილს მაშინაც კი, როცა გვერდი ახლახანს ატვირთეთ.

შეიძლება თუ არა ამ ეფექტით ლი როიში მიმდინარე დაავადების აფეთქების ახსნა? შეუძლია თუ არა მსოფლიო აბლაბუდას (WWW) ვინმეს ინფიცირება? შეიძლება თუ არა ინფექციური კავშირის გამოყენება ან მისით შესაძლო შეიარაღებაც კი? WWW-ს ინფექციური კავშირის გამოძიებაში პოსტნორმალური დროის თვალსაზრისზე დაყრდნობით ეს კვლევა იყენებს განჭვრეტის ახალ მეთოდს, რათა შეისწავლოს წარმოქმნილი ძალები და საკითხები რომლებიც ზრდის WWW-ს გავლენას მომავალ წლებში.

როგორია პოსტნორმალური დროება?

საბოლოო ჯამში, პოსტნორმალური დროება ითხოვს ძიებისა და ანალიზის ახალ ხერხებს თუნდაც მხოლოდ იმისათვის, რომ გაუმკლავდეს ქაოსს, წინააღმდეგობებსა და ცხოვრების სირთულეებს შეუვალი გაურკვევლობის და დაჩქარებული ცვლილებების ეპოქაში. სამი ხვალინდელი დღე (3T) – ეს არის ამ დინამიკის მოდელირებისა და მომავლის კვლევებისთვის უფრო მძლავრი ჩარჩოსა და მიდგომის უზრუნველყოფის მეთოდი. 3T იყენებს ერთ ფენომენს ან თემას, ამ შემთხვევაში აფექტსა და WWW-ს, რათა გამოიკვლიოს შესაძლებლობები, რომლებიც, შესაძლოა, დაგხვდეს წინ. ამგვარად, 3T მეთოდის გამოყენებით შექმნილი სცენარები ფოკუსირებულია წარმოქმნილ საკითხებზე და მიმართულია მანამდე გაუაზრებელი საკითხებისა და კითხვების აღმოცენებისკენ.

განვრცობილი აწყმოს შავი სპილოები

2013 წელს ონლაინ კუპონების ვებ-გვერდმა ჩაატარა 2,403 მშობლის გამოკითხვა მცირენლოვან ბავშვებთან ერთად ელექტრო გაჯეტების გამოყენების შესახებ. გამოკითხულთა 86%-მა აღიარა, რომ იყენებს სმარტფონს აღელვებული ბავშვის დასამშვიდებლად ან უბრალოდ გასართობად.⁽⁴⁾ პედიატრიის ამერიკულმა აკადემიამ მშობლებს მოუწოდა, რომ „არ დაეშვათ 2 წლამდე ასაკის ბავშვების წვდომა ეკრანებთან.“⁽⁵⁾ იქედან გამომდინარე, რომ სმარტფონებისა და პლანშეტების გავრცელება საკმაოდ ახალი ფენომენია, არ არსებობს ხანგრძლივ ვადაზე გათვლილი კვლევები, რომლებსაც შეუძლიათ გაჯეტების ფართომასშტაბიანი გავლენისა და აფექტების დადგენა. რა ინფექციური კავშირი შეიძლება ნარმოიშვას მსგავსი ჩარევის შედეგად?

ნაცნობი მომავლის (მომავლების) შავი გედები

ინტერნეტის მომავლის სცენარების ნაკლებობას არ განვიცდით. იმდენად, რამდენადაც ინტერნეტის სამომავლო წარმოსახვების უმეტესობა ფოკუსირებულია წვდომაზე, მომსახურებასა და ინფრასტრუქტურაზე, შავი გედები ამ ჰორიზონტზე უნდა დაეშვან WWW-ს შესაძლო აფექტების კონვერგენციის პირობებში. ინტერნეტის უსაფრთხოების მიმართ არსებული დიდი ინტერესის გათვალისწინებით, პირადი მონაცემების კონფიდენციალურობიდან დაწყებული კიბერ ომამდე, შაბლონის შემუშავება, რომელიც, შესაძლოა, გახდეს ერთგვარი ბიძგი ნაცნობი მომავლისაკენ (მომავლებისაკენ), განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია.

ზბიგნევ ბჟეზინსკი (Zbignev Brjezinski) ნარმოვვიდებენს მომავლის ფართო შესაძლებლობების მთელ სპექტრს. ის წერს: „შესაძლოა, ადამიანის ტვინის და ქცევების შესახებ ჩატარებული კვლევის ნაყოფის გამოყენება სტრატეგიული და პოლიტიკური მიზნებისათვის [...] შესაძლებელია ისეთი სისტემის შემუშავება, რომელიც სერიოზულად შეასუსტებს უაღრესად დიდი რაოდენობით მოსახლეობის ტვინის მოქმედებას ცალკეულ შერჩეულ რეგიონებში და თანაც საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში”.⁽⁶⁾

„კიდევ ერთ დამანგრეველ ტერორისტულ თავდასხმას მივყავართ არა მხოლოდ სრული ნეირონული ინფორმაციის გათვიცნობიერების პოლიტიკამდე, არამედ ომის პერიოდში მტრის გონების კონტროლის სტრატეგიის ლეგიტიმაციასაც ახდენს. გონებისამრევი ნარკოტიკები და იარაღად გარდაქმნილი ნეირონული ტექნოლოგიები სტანდარტულ სამხედრო ოპერაციებად იქცევა”.⁽⁷⁾ რა მოხდება, თუ არასახელმწიფოებრივი აქტორების ყურადღება ბირთვული, ბიოლოგიური და/ან კიბერ იარაღისგან დაცვისგან გადაერთვება საიდუმლო ნერვოსომატიკური იარაღისკენ? შეიძლება თუ არა სოციალურ მედიის იარაღად ქცევა?

გაუაზრებელი მომავლის შავი მედუზები

გასული ათწლეულის განმავლობაში, დასავლეთ ვირჯინიაში მდებარე გრინ ბენკის მოსახლეობა გაიზარდა 147 მაცხოვრებლამდე. დასახლების ყველა უახლესი ტრანსპლანტი იქნა გადატანილი ეროვნული რადიოს მშვიდი ზონის (NRQZ) ფარგლებში თემის პოზიციის გა-

მო. როგორ უნდა გაძლოს ხალხმა WWW-სთან წვდომის გარეშე? მიუხედავად იმისა, რომ ელექტრომაგნიტური ჰიპერმგრძნობელობა (EHS) კვლავ რჩება ამოუცნობ სამედიცინო სინდრომად, ბევრი აფიქსირებს, რომ ადგილი აქვს ელექტრომაგნიტური ველებისადმი სხვადასხვა დოზით მგრძნობელობით გამონვეულ ფიზიკურ დასწრებოვნებას. თუკი ელექტრომაგნიტური ჰიპერმგრძნობელობით დაზარალებულები რეალურად არ არიან ელექტრომაგნიტური ველის მიმართ მგრძნობიარენი, არამედ აღიქვამენ მას, როგორც საშიშროებას, მაშინ მდგომარეობის პათოლოგია მწვავე ნევროსემატიკულია, სწორედ ეს არის ინფექციური კავშირის ეფექტი. რა მოხდება, თუკი გაჩნდება პოზიტიური უკუკავშირი ელექტრომაგნიტური ველების ეფექტების გარშემო? შეიძლება ეროვნული რადიოს ზონა გაფართოვდეს? შეიძლება დაზარალებულები ლტოლვილებად იქცნენ? როგორ შეიძლება ეროვნული და საერთაშორისო ინტერესები წინააღმდეგობაში მოვიდეს ან ერთმანეთს შეეჯიბროს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შედეგებზე? ასეთი კითხვების წამოჭრა სულაც არ არის წარმოუდგენელი, მაგრამ პოტენციური შედეგები მავანს აიძულებს დაპირისპირებას გაუაზრებელთან.

სცენარები

განვრცობილი აწყმო
 იდუმალი პანდემიის შედეგად ათასობით ბავშვმა 27 ქვეყანაში მოახდინა არანორმალური ქცევის ფართო სპექტრის დემონსტრირება – უკონტროლო სპაზმიდან

დაწყებული თითქმის გონიერის დაკარგვის მდგომარეობამდე. ერთადერთი საერთო მნიშვნელი, რომელიც დაზარალებულთ აკავშირებს, არის ადრეული ასაკის ბავშვთა ენის სწავლების პოპულარული პროგრამის გამოყენება, რომელიც გლობალურ ფემომენად იქცა 2018 წელს. 2019 წლის შუა პერიოდისათვის დაფიქსირდა აპლიკაციის მილიონობით ჩამოტვირთვა, მიუხედავად სამედიცინო სფეროს პროფესიონალების მყისიერი გაფრთხილებისა, რომლებიც შეშფოთებულნი იყვნენ აპლიკაციის მიმზიდველი ინტერფეისისა და სათამაშო პროცესის ადიქტიურობის გამო. დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ ჯერ კიდევ ვერ გამოიღო საბოლოო შემაჯამებელი შედეგები. ხოლო პოლიტიკურმა ლიდერებმა არაერთი მოსმენა ჩაატარეს, რათა შეერბილებინათ ამომრჩეველთა მღელვარება.

ნაცნობი მომავალი (მომავლები)

ათასობით კლასიფიცირებული სამთავრობო დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ, მორიგი მამხილებელი სკანდალის კვალდაკვალ, ერთმა მოხსენებამ გამოიწვია იმ შვილდაკარგულ მშობლებში რისხვის გაღვივება, რომელთა შვილები 10 წლის წინ მდვინვარე იდუმალი პანდემიის შედეგად დაიღუპნენ. მოხსენებაში ნათქვამია, რომ მთავრობა მონაწილეობას იღებს ონლაინ მედია ინტერფეისების საშუალებით ნეიროეფექტური მანიპულირების ტექნოლოგიის კვლევასა და განვითარებაში. სწორედ ეს იქნა შემდგომში გამოყენებული ბავშვთა სწავლების ინოვაციური პროგრამების შესაქმნელად. მოხსენებაში ასევე აღნიშნულია, რომ ეს ტექნოლოგია იყო იმ მონაცემთა ფარული მარაგის ნაწილი, რომელიც დაიკარგა

2018 წელს მასშტაბური კიბერშეტევის შედეგად. ვითარება კიდევ უფრო გამძაფრდა მაშინ, როდესაც რეგიონის ცნობილმა ექსტრემისტულმა ჯგუფმა გამოაცხადა საბრძოლო მოქმედებების ახალი ერა და განაცხადა თუ როგორ უზრუნველყოფს „ახალი შეიარაღება“ გამარჯვებას და საშუალებას მისცემს მათ განახორციელონ ფართომასშტაბიანი შეტევითი დარტყმები საზღვარგარეთ.

გაუაზრებელი მომავალი (მომავლები)

მედიასაშუალებების მიერ ექსტრემისტული ჯგუფის გადაღებული და შემდგომ აღდგენილი ვიდეოს შინაარსის შესახებ, რეპორტაჟების კვალდაკვალ, რომელშიც ისინი აცხადებნენ შეუჩერებელი, უხილავი იარაღის გამოყენებით ნიუ-იორკის შეტევას, საზოგადოებაში შიშმა დაისადგურა. ახლო წარსულში გავრცელებული საეჭვო ეპიდემიებით ნასაზრდოები აულაგმავი სპეკულაციებით (რომელთა შორის იყო არაერთი გაუონილი დოკუმენტის ნიადაგზე გაზიარებული ინფორმაცია) პანიკა გადაიქცა ფობიად და ათასობით ადამიანმა მიმართა სამედიცინო დაწესებულებებს დახმარებისათვის მთელი რიგი სიმპტომების გამო, თუმცალა უმეტესობა მათგანი აბსოლუტურად ჯანმრთელი აღმოჩნდა. დაზარალებულთა დახმარების ონლაინ ჯგუფების რაოდენობა გეომეტრიული პროგრესით იზრდებოდა იმ ჰიპოთეზის წყალობით, რომ თითქოს საკუთარი თავის დაცვა ელექტრონიკისგან, კონკრეტულად მოწყობილობებისგან, რომელსაც ინტერნეტში წვდომა ჰქონდა, მათ შვებას მოჰკვრიდა. ის, რაც დაიწყო, როგორც რამდენიმე ოჯახის მიგრაცია, მალევე გადაიზარდა ათასობით ადამიანის მიერ თავშესაფრის ძიების პროცესად.

მომავლების პერსპექტივებისთვის ბიძგის მიცემა და მათი აწონ-დაწონვა

დიდწილად მსგავსად კომპიუტერული ვირუსით ინფიცირებული ქსელებისა, ჩვენი ყველაფრის შემწოვი კაცობრიობაც მიღრეკილია უბედური შემთხვევებისკენ, მაგრამ აფექტი, როგორც მოხმობილი უბედური შემთხვევა, ლე რომელი წარმოქმნილი MPI აფეთქების, ბავშვებზე ზემოქმედების, WWW ინტერფეისების გამოყენების, არასახელმწიფოებრივი სუბიექტების მიერ ნეიროსემატიური იარაღის განთავსების და EHS-ის პოტენციური ზრდის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან პრობლემად ქცევის დინამიკის ინტერპრეტირების მხოლოდ ერთი მეთოდია.

ადამიანები ყოველთვის იყენებდნენ სხვადასხვა ინსტრუმენტებს სამყაროში საკუთარი არსებობის საზღვრების გასაფართოებლად. მაგრამ სულ უფრო ხშირად ეს ინსტრუმენტები წააგავს პროტეზებს, რიგი რადიკალური შესაძლებლობების შექმნელებს, რომელთა სოციალური მისაღებობა დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე.

დამოწმებებული ლიტერატურა:

1. Admin WKBW. “Social Networking to Blame for Spreading LeRoy Illness?” February, 2012 <http://www.wkbw.com/news/Social-Networking-to-Blame-for-Spreading-LeRoy-Illness-138821059.html>
2. L. Dimon, “What Witchcraft is Facebook?”, The Atlantic (2013), ,

- September 11). Retrieved from <http://www.theatlantic.com/health/archive/2013/09/what-witchcraft-is-facebook/279499/>
3. J. A. Dator, Sweeney, J. A., & Yee, A. M., Mutative Media. Lecture Notes in Social Networks (Cham: Springer International Publishing, 2015). <http://link.springer.com/10.1007/978-3-319-07809-0>
 4. Mi. Amodio, "High-tech babysitters: Gadgets as attention grabbers for little ones" (June 27, 2013.). Retrieved from <http://zone.tmcnet.com/topics/articles/343806-hightech-babysitters-gadgets-as-attention-grabberslittle.htm>
 5. Council on Communications and Media, "Children, adolescents, and the media", *PEDIATRICS*, 132 (5), 2013, pp. 958-61. doi:10.1542/peds. 2013-2656
 6. Z. Brzezinski, *Between Two Ages: America's Role in the Techne-tronic Era* (New York The Viking Press, 1970).
 7. Jake F. Dunagan, "Politics for the Neurocentric Age", *Journal of Futures Studies* 15 (2), 2010, pp. 51-70.

უგეცრება, გაურკვევლობა და ‘რა იძნებოდა, თუკი?’

ჯერომ რავეცი

ამჟამად თითქმის საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სამეცნიერო მოღვაწეობის საფუძველი აღარ არის აღმოჩენა. მეცნიერების წამყვანი პრობლემები ამიერი-დან მომდინარეობს ჩვენი მთლიანი სამეცნიერო-ტექნი-კურ-სამრეწველო სისტემის აქამდე ბრმა და უკონტრო-ლო ზრდის შედეგად წარმოქმნილ გამოწვევებიდან (და საფრთხეებიდან).

განვიხილოთ შემდეგი მტკიცება:

„ისეთ რთულ საკითხებში, როგორიცაა ადამიანის საქმიანობის გავლენა ბუნებრივ გარემოზე, უბრალო ჭეშმარიტების ძიებამ შეიძლება დაფაროს რეალობის გა-ურკვევლობა. პრაქტიკულად ყველაფერი, რასაც ვაკე-თებთ, მოვიხმართ, ან რისი გავლენის ქვეშაც ვექცევით, ატარებს გარკვეულ რისკებს. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, რომელი რისკები ითხოვს მოგვარებას, რა პრიორიტე-ტით, რა გზით, რა დონეზე და რა ფასად. გარემოს დაც-

ვის მეცნიერება კომპლექსურია; ტექნიკური მონაცემების აღწერა და რისკების დეტალური შეფასება რთულია, მაგრამ ეს ასახავს იმ არჩევანთა რეალობას, რომელიც საზოგადოებამ უნდა გააკეთოს. საკითხები არ არის მარტივი და მეცნიერებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება“.

ეს ციტატა ეკუთვნის დოქტორ კრის ფეის, Shell UK Limited-ის თავმჯდომარესა და აღმასრულებელ დირექტორს. დოქტორმა ფეიმ მიიღო განათლება სამეცნიერო ცოდნის სოციალური პრობლემების შესახებ. მსგავსი ცოდნა არ იყო ადვილად ხელმისაწვდომი უნივერსიტეტებში, მაგრამ რომლის მიღების საშუალებაც, საკმაოდ მოულოდნელად, მას მიეცა სამუშაო პროცესის მანძილზე.

ციტატა გვახსენებს, რომ დამაჯერებულობის დაკარგვა და ეთიკის ჩართულობა ცენტრალურია მეცნიერების ამ ახალი სინდრომისთვის. ამას მოჰყვება სამეცნიერო ექსპერტების ჰეგემონიის დაკარგვა მეცნიერებასთან დაკავშირებული პოლიტიკური საკითხების განხილვისა და დებატების სფეროში. „ობიექტურობა“ უფრო პრობლემაა, ვიდრე მეცნიერების საფუძველი. ჩვენ ვიყენებთ ტერმინს „პოსტნორმალური მეცნიერება“ რათა მიუჩინოთ ისტორიული ადგილი ამ ახალი სახის მეცნიერებას.

ნამყვანი კითხვები

კვლევის სხვადასხვა სტილების იდეის მიღებით, ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ ჩემს კლასიფიკაციაზე, რომელიც ორგანიზებულია „ნამყვანი კითხვების“ გარშემო.

შეიძლება დავიწყოთ სამი სახის გამორკვევით, რომელ-საც ჩვენ შეიძლება ვუწოდოთ კვლევა, პროექტირება და ძიება. თითოეული მათგანისათვის გვაქვს შესაბამისი კითხვა: „რა / როგორ?“, „როგორ / რატომ?“ და „რა იქ-ნება, თუკი?“.

ეს „წამყვანი კითხვები“ გამიზნულია უფრო სინათ-ლის მოფენისათვის, ვიდრე განსაზღვრებისათვის; და ტერმინი „წამყვანი შეკითხვა“ საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, რომ რაიმე კონკრეტული გამოკვლევის დროს შეკითხვების სამივე სახეობა ჩნდება მათვის შე-საბამის ადგილას.

მეცნიერებისათვის ახალი გამოწვევების კონტექ-სტში, „რა იქნება, თუკი?“ იქცევა წამყვან კითხვად, ახა-ლი გადაუდებელი საჭიროებით. ახლა უკვე ჩვენი უმეც-რება აღარ არის კეთილთვისებიანი, არამედ მუქარის შემცველია. შეიძლება არც არაფერია გარკვეული ან დროის უმეტესი მონაკვეთისათვის; მაგრამ ასევე შესაძ-ლებელია რაღაც, თუნდაც ერთხელ ან საკმაოდ ხშირად.

„რა იქნება, თუკი?“ კითხვის, როგორც წამყვანი შეკითხვის მიღებით, ჩვენი სამეცნიერო მოღვაწეობის მთელი კონცეფცია შეიძლება ნაყოფიერი გზით განვი-თარდეს. ამოცანას წარმოადგენს ის, რომ სისტემის სა-მუშაო გარემოს გაურკვევლობა გარანტირებულად მხო-ლოდ მისაღებ დონეზე ჩაერთოს საკითხში – ისე, რომ პრობლემის გადაჭრისკენ მიმართული საქმიანობა უმე-ტესწილად ეხებოდეს გაურკვეველი რეალობის მკაფიოდ განსაზღვრულ შემცვლელებს.

რეალური სამყაროს გაურკვევლობასთან ერთად, ჩვენ ასევე ეფექტურად უნდა გავუმკლავდეთ მის კომპლექსურობასაც. ეს მიდგომა მთელ ჩვენს სამეცნიერო და ტექნოლოგიურ კულტურაზე ვრცელდება. როდესაც ჩვენ ვეჩვევით „რა იქნება, თუკი?“ კითხვის დასმას და მოულოდნელის ლოდინს, მაშინ სრულად ვიაზრებთ, რომ არც ერთ პერსპექტივას არ შეუძლია სრულად მოიცვას ნებისმიერი რეალური სიტუაცია.

„რა იქნება, თუკი?“ კითხვის სამეცნიერო სტილის სახით მიღება ასევე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს პოლიტიკურ პროცესებზე. ახლა ჩვენ ვიცით, რომ მეცნიერების პოლიტიკისათვის გამოყენება ძალიან განსხვავდება „ფაქტების მიღების“ მარტივი პროცესისაგან. მათი საიმედოობა მოითხოვს თავდაპირველად პრიორიტეტების გარკვევას კვლევის მხარდაჭერისათვის; და შემდეგ უკვე კვლევა უნდა აიგოს შესაბამისი კითხვების ირგვლივ; რამდენადაც პოლიტიკის ნებისმიერი საკითხი კომპლექსურია – მოიცავს ბუნების და საზოგადოების ასპექტებს, შესაბამისად, პრობლემის „მიზეზიც“ ასევე კომპლექსური იქნება.

„რა იქნება, თუკი“ სტილი ასევე გაფრთხილების პრინციპის გამოხატულებაა. ის იცავს მეცნიერებს გამოსაძიები კვლევის პრობლემების ნაჩეარევად შერჩევისაგან. წარმოიდგინეთ უწყვეტი დიალოგი სხვადასხვა სახის კვლევის მონაწილეთა შორის. მიუხედავად იმისა, რომ „რა იქნება, თუკი“ აუცილებლად გადის ცენტრალური სცენიდან, მას შემდეგ, რაც კვლევის განხორციელება დაიწყება, ის ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული, როგორც თავსატეხის ამოხსნის აუცილებელი

დანამატი, რომლისგანაც საბოლოო ჯამში წარმოიშობა შესაბამისი „ფაქტები“.

დაბოლოს, არსებობს სამეცნიერო მიდგომის „რა იქნება, თუკი?“ სტილის სოციალური შედეგები. აუცილებელია სხვადასხვა ტიპის კომპეტენციის მქონე ანდაც ყოველგვარი კომპეტენციის არმქონე პირების იდენტისა და წინადადებების დიალოგში ჩართვა. რადგანაც ამდენი „რა იქნება, თუკი?“ შეკითხვა გამოწვეულია არასაყოველთაოდ გაზიარებული მონაცემების გამო, „რა იქნება, თუკი“ სტილის მიღება განვრცობილი ფაქტების, თანამოაზრეთა საზოგადოებების და პოსტნორმალური მეცნიერების მიდგომის აღიარებისგან განუყოფელია.

დასკვნა: „რა იქნება, თუკი?“ კონტექსტები:

რა შეიძლება ითქვას წინა თაობის ‘კრიტიკულ მეცნიერებაზე’? არსებობს ორი მიზეზი, რის გამოც მე უარი ვთქვი მსგავს პოლიტიზირებულ მიდგომაზე. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, როდესაც „სამხედრო-სამრეწველო-სამეცნიერო კომპლექსის“ რეალობა ფართო საზოგადოებისთვის ახალი აღმოჩენა იყო, მეცნიერების გარშემო რადიკალური მოძრაობის თრგანიზება შესაძლებელი მოჩანდა. თუმცა, ვერ მოხერხდა ამ ენთუზიაზმის შენარჩუნება. ამასობაში, საკუთრივ პოლიტიკა შეიცვალა. თუკი მეცნიერება ამ ახალ კონტექსტში ცენტრალურ საკითხად გადაიქცევა, დებატები იქნება ნაკლებად ფოკუსირებული გადანაწილებად ასპექტებზე და უფრო მეტად – მის ფილოსოფიურ საფუძვლებზე.

ეს ახალი ფოკუსირება გამოხატულია სარდარის კამპანიაში „სხვებისთვის“.⁽²⁾ მომწიფებასთან ერთად,

ამან უნდა გვიბოძოს ძვირფასი საჩუქარი „საკუთარი თავის ისეთად დანახვისა, როგორსაც გვხედავენ ჩვენ სხვები“. ამის საფუძველზე, ჩვენ შეგვიძლია მეცნიერებისათვის აუცილებელი რეფორმის განხორციელება მისი სოციალური ფუნქციასთან, სამუშაო მეთოდებსა და კონცეპტუალურ ობიექტებთან მიმართებით. მოვლენების დამატებითი განვითარება ახლა შეიძლება მიმდინარეობდეს სპონტანურად წარმოქმნილი კულტურის შიგნით – ტენდენციებით, რომლებიც სხვადასხვაგვარად აღნიშნება – როგორც „მწვანე“, „ფემინისტური“ ან „ახალი ხანა“. სახელების მრავალფეროვნება მიუთითებს საკითხებისა და სტილების მრავალგვარობაზე – ზოგიერთი მათგანი იკვეთება, მაგრამ ზოგიც ერთმანეთთან შეუსაბამო და მტრულიც კი არის. მეცნიერების ნებისმიერი თანმიმდევრული ხედვა, რომელიც დაფუძნებულია ამ მრავალფეროვანი მოძრაობის ერთ მონაკვეთზე, უეჭველად იგივე გზით დააშორებს მას სხვა მონაკვეთების უმეტესობასთან.

დამონშებული ლიტერატურა:

1. R. Ravetz, “Critical Science: Politics and Philosophy”, in *Scientific Knowledge and its Social Problems* (New Brunswick, NJ: Transaction Press, 1996), pp. 422-436
2. Z. Sardar, “Conquests, chaos, complexity. The Other in modern and postmodern science”, *Futures*, 26(3), 1994, pp. 665-682.

აქ პინადრობენ დრაკონები: „უცნობი უცნობის“ შესწავლა

შირინ ელაჟი

შესავალი

ლენოქსის გლობუსის სპილენძის ზედაპირზე ამოტ-ვიფრულია დასამახსოვრებელი სიტყვები: HIC SVNT DRACONES „აქ ბინადრობენ დრაკონები“, ეს ფრაზა გამოიყენებოდა საშიში ან მოუკვლეველი ტერიტორიების აღსანიშნად. რუკის ნებისმიერი მომხმარებლისთვის იმის გაგება, თუ სად გადის ცოდნის საზღვრები, თითქმის ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორც თავად ცოდნა. ცოდნის ილუზია კი ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენდა.⁽¹⁾

თანამედროვე სამყაროში სად ბინადრობენ დრაკონები? სულ უფრო და უფრო აშკარა ხდება, რომ ისინი ჩვენს გარშემო ყველგან არიან ჩასაფრებულები. თითოეულ შემთხვევაში ისინი შეუმჩნეველი ბრმა წერტილები არიან, რომლებიც ეხება სამეცნიერო, გეოგრაფიულ, დროის და ინსტიტუციონალურ საზღვრებს, მაგრამ არ არიან ალიარებულნი იმ პრობლემების გამო, რომლებსაც ისინი უქმნიან წესრიგისა და კონტროლისაკენ მიმართულ ჩვენს ადამიანურ მისწრაფებებს.

„აქ ბინადრობენ დრაკონების“ მაგალითები

„აქ ბინადრობენ დრაკონების“ კონცეფცია არ არის ალიარებული. ამიტომ ამ საკითხთან დაკავშირებული ცოტა კვლევაა ჩატარებული. ამ სტატიაში გამოკვეთი-

ლია სამი მაგალითი, კერძოდ, „საჭირბოროტო პრობლემები“, „შავი გედები“ და „პოსტნორმალური მეცნიერება“.

„საჭირბოროტო პრობლემები“ ან უწესრიგობები არის ორაზროვანი, უაღრესად შეზღუდული, მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული კომპლექსური დილემები. მათი ცვალებადი ბუნება და რთული ურთიერთდამოკიდებულება, მათი საერთო განსაზღვრების გაკეთებას, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის იმის გამო, რომ ამდენი განსხვავებული თვალთახედვა და საკითხია წამოჭრილი.⁽²⁾

„შავი გედი“ არის არაპროგნოზირებადი, წარმოუდგენელი მოვლენა, რომელიც ხასიათდება მისი მასიური გავლენით სტატუს კვოზე.⁽³⁾

პოსტნორმალური მეცნიერება ხასიათდება მაღალი ფსონებით, გაურკვეველი ფაქტებით, სადავო ღირებულებებითა და მყისიერი გადაწყვეტილებებით. ამ სიტუაციებში თანამოაზრეთა თანხმობა დაბალ დონეზე ან საერთოდ არ არსებობს, თეორიული სტრუქტურები ემყარება სტატისტიკურ დამუშავებას და მონაცემთა შეყვანას, ხოლო გაურკვევლობა ავლენს უმეცრებისკენ ჩვენი წაყვანის ტენდენციას.

ყველა მათგანი დაკავშირებულია ურთიერთდამოკიდებულ და ურთიერთქმედებაში მყოფ სისტემებთან, რომლებსაც მრავალი სხვადასხვა აქტორი ჰყავს, ამიტომაც ინფორმაცია ყოველთვის არასრული იქნება. ამ სისტემების კიდევ ერთი თვალსაჩინო მსგავსება კი გახ-

ლავთ ტრადიციული აზროვნების და სტატუს კვოს გამოწვევის უნარი.

„აქ ბინადრობენ დრაკონების“ სფეროს აღიარება

ადამიანის ფსიქოლოგია, ინსტიტუციონალური ჩარჩოები და სამეცნიერო პირობითობა – ყველაფერმა ამან ფარულად მოახდინა „აქ ბინადრობენ დრაკონების“ კონცეფციის ამოღება კოლექტიური ცნობიერებიდან. ამ პროცესისათვის წინააღმდეგობის გაწევა შესაძლებელია ახალი დიგიტალური ინსტრუმენტებისა და პროცესების გამოყენებით, რომელიც უფრო ფართო საზოგადოებრივ ჩარჩოებში შეიძლება იქნეს მოქცეული. ამგვარი ქმედებით შესაძლებელი გახდება განცალკევებული კულტურული ფასეულობებისა და მსოფლმხედველობების გაერთიანება, შესაბამისად, უფრო დიდი საზოგადოებრივი ლეგიტიმურობის მიღწევა და უფრო მეტი „აქ ბინადრობენ დრაკონების“ აღმოჩენა და ლოკალიზაცია.

კრიტიკული კითხვა ის არის, რომ გამოიწვევს კი ახალი დიგიტალური ინსტრუმენტები და პროცესები „აქ ბინადრობენ დრაკონების“ სფეროს შესახებ ცნობიერების ამაღლებასა და აღიარებას? სცენარებისა და მომავლის განჭვრეტასთან ერთად გამოყენებისას ამ ინსტრუმენტებმა სავსებით შესაძლებელია უზრუნველყონ „აქ ბინადრობენ დრაკონების“ კონცეფციის ჩვენს კოლექტიურ გონიეროვ რუკებზე განთავსება.

სცენარები, როგორც მეტარისკების ანალიზი

შორსმჭვრეტელობა სამუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ის, რაც ჯერ კიდევ არ მომხდარა, იმისთვის, რომ თავი დავიცვათ ფაქტობრივი გამოცდილების უხეში

რეალობისგან. ჩვენ შევუდექით ამ პროცესს, რათა გავი-
გოთ და განვსაზღვროთ მიმართულება, რომლისკენაც
შეიძლება განვითარდეს მომავალი.

სცენარების მეთოდოლოგია არის განჯვრეტის მე-
თოდოლოგია, რომელიც იძლევა სისტემის სირთულისა
და წინააღმდეგობრიობის გამოკვლევის საშუალებას.
სცენარები გთავაზობთ გაურკვევლობათა კოლექტიური
გამოკვლევის საშუალებას და ასე წარმოქმნის ფუძემ-
დებლური დინამიკისა და საკითხების საერთო გაგებას,
რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომავალზე.

არასოდეს ყოფილა საზოგადოებრივ ადაპტირებაზე
ექსპონენციური ცვლილების პირობებში იმდენად დიდი
მოთხოვნა, როგორც ახლა. საზოგადოებები დღეს იმდე-
ნად ურთიერთდაკავშირებულნი და ურთიერთდამოკიდე-
ბულნი არიან, რომ მოთხოვნა მოქნილობაზე გაცილებით
მაღალია, ეს კი, თავის მხრივ, მოთხოვს „აქ ბინადრო-
ბენ დრაკონების“ კონცეფციის აღიარებასა და მისი მა-
ტერიალიზაციისათვის სტრატეგიების დასახვას.

დასკვნა

ახლა უკვე დადგა დრო, ვალიაროთ კონცეფცია „აქ
ბინადრობენ დრაკონები“ და გამოვიკვლიოთ რომელი
მათგანი უქმნის ყველაზე დიდ საფრთხეს იმ საზოგადო-
ებას, რომელსაც ვისურვებდით საკუთარი თავისთვის ან
ჩვენი შთამომავლობისათვის. ძალიან ხშირად ხდებოდა
უმეცრების, ბუნდოვანებისა და მეცნიერული გაურკვევ-
ლობის ხელსაყრელად წაშლა ჩვენი ცოდნის რუკებიდან.
სამყარო ცვალებადია. დრაკონები ჩვენს ირგვლივ ბი-
ნადრობენ და ადამიანები, რომლებიც ურთიერთდაკავ-

შირებული სისტემების რთულ ქსელებზე არიან დამოკიდებული, რისკის ფასად უგულებელყოფენ მათ.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. J.R. Ravetz, “Usable knowledge, usable ignorance: incomplete science with policy implications”, in W.C Clark, R.C. Munn (Eds.), *Sustainable Development of the Biosphere* (New York: Cambridge University Press, 1989), pp. 415-432
2. H. Rittel, M. Webber, *Dilemmas in a General Theory of Planning, Policy Sciences* (4) (1973), pp. 155-169; R. Ackoff, *Redesigning the Future: A Systems Approach to Societal Problems* (NJ, London: John Wiley & Sons, 1974)
3. N.N. Taleb, *The Black Swan* (London: Allen Lane, 2007)

სივრცე და დრო პოსტნორმალური პრეზენტაციები

ზიაუდდინ სარდარი

პოსტნორმალური დროის გადმოსახედიდან ჩნდება ბუნებრივი შეკითხვა: თუკი პოსტნორმალური დრო არის ისტორიის გამოცალკევებული ეპოქა და აღნიშნავს გა-
მიჯვნას ისტორიის სხვა უახლესი პერიოდებისაგან, რა არტეფაქტები და უნიკალური თვისებები აქვს მას შექ-
მნილი ან სავარაუდოდ, რას წარმოქმნის? უარგონის ენით
რომ ვთქვათ, რა არის ის „პროდუქტი“, რომელიც გან-
საზღვრავს მას, როგორც გამოცალკევებულ პერიოდ?

თუ პოსტნორმალურმა პერიოდმა შექმნა საკუთარი
არტეფაქტები, ჩვენ უნდა განვასხვავოთ ისინი სხვა თა-
ნამედროვე პერიოდის არტეფაქტებისაგან, როგორიცაა
თანამედროვე ან პოსტმოდერნისტული ხანა. მოდით,
წარმოდგენილი კვლევისთვის თანამედროვე პერიოდი
ოთხ წაწილად გავყოთ:

კლასიკური: 1920-1950

მოდერნი: 1950-1975

პოსტმოდერნი: 1975-2005

პოსტნორმალური: 2005 —

ეს დაყოფა ისეთივე თვითნებურია, როგორც ისტორიის სახელებმინიჭებულ ბლოკებად კლასიფირების სხვა მცდელობები. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ შეგვიძლია მოვახდინოთ არტეფაქტების იდენტიფიკაცია და ვნახოთ, შექმნა თუ არა პოსტნორმალურმა დრომ განსხვავებული რამ. ამრიგად, გთავაზობთ ჩემ მიერ სიფრთხილით ჩამოყალიბებულ არტეფაქტების სიას, რომელიც პოსტნორმალურ დროში ჩამოყალიბდა.

მნიშვნელობა

კლასიკური: „მე ვაზროვნებ, შესაბამისად მე ვარსებობ“

მოდერნი: „მე ვვითარდები, შესაბამისად მე ვარსებობ“

პოსტმოდერნი: „მე ვყიდულობ, შესაბამისად მე ვარსებობ“

პოსტნორმალური: „მე ვაზიარებ, შესაბამისად მე ვარსებობ“

ჭეშმარიტება

კლასიკური: მონოლითური

მოდერნი: მონოლითური

პოსტმოდერნი: ფარდობითი და პლურალისტური

პოსტნორმალური; წინააღმდეგობრივი

იდენტობა

კლასიკური: „მე ვარ ტრადიცია და კულტურა“

მოდერნი: „მე ვარ მეცნიერება და ტექნოლოგია“

პოსტმოდერნი: „მე ვარ ის, რასაც ვყიდულობ“

პოსტნორმალური: „მე ვარ ჩემი ფეისბუქის გვერდი“

ცვლილება

კლასიკური: კვაზისტატიკური, ნელი

მოდერნი: სწრაფი

პოსტმოდერნი: სულ უფრო და უფრო აჩქარებული

პოსტნორმალური: კიდევ უფრო აჩქარებული, ქაოტური

სისტემები

კლასიკური: მარტივი, დახურული

მოდერნი: რთული, დახურული

პოსტმოდერნი: კომპლექსური, ღია

პოსტნორმალური: ღია, ურთიერთდაკავშირებული, კომპლექსური, ქაოტური

საკვანძო ცნებები

კლასიკური: დაპყრობა, უპირველესობა, პროგრესი

მოდერნი: პროგრესი, ეფექტურობა, მოდერნიზაცია

პოსტმოდერნი: დიდი ნარატივების (მნიშვნელობის) დაშლა, მრავალი

ჭეშმარიტება, მრავალხმიანობა

პოსტნორმალური: კომპლექსურობა, ქაოსი, წინააღმდეგობები, გაურკვევლობა, უმეცრება

მსოფლიო წესრიგი

კლასიკური: მოქიშპე კოლონიური ძალები (ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჰოლანდია, აშშ)

მოდერნი: ორპოლუსიანი სამყარო; „ცივი ომი“ (აშშ, საბჭოთა კავშირი)

პოსტმოდერნი: ერთპოლუსიანი სამყარო (აშშ)

პოსტნორმალური: მრავალპოლუსიანი სამყარო (აშშ, ჩინეთი, რუსეთი, ევროკავშირი, ინდოეთი, ბრაზილია)

ცოდნა

კლასიკური: მისწრაფება დასაბუთებული კვლევებისაკენ

მოდერნი: ...შეძენილი სამეცნიერო პროგრესისა და განვითარების გზით

პოსტმოდერნი: სოციალურად კონსტრუირებული და ფარდობითი, ვიკიპედია

პოსტნორმალური: „განვრცობილი ფაქტები“ დაფუძნებული გაურკვევლობასა და უმეცრებაზე

მეცნიერება

კლასიკური: ლტოლვა ჭეშმარიტებისაკენ, რომელიც ძირითადად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

მოდერნი: სამეცნიერო მეთოდი როგორც ნეიტრალური, ობიექტური ჭეშმარიტება; ფინანსდება სახელმწიფოსა და კორპორაციების მიერ (სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი); რეცენზირებული პუბლიკაციები.

პოსტმოდერნი: სოციალურად კონსტრუირებული, მეტნილად ფინანსდება სამხედრო-სამრეწველო კორპორაციების კომპლექსის მიერ; რეცენზირებული პუბლიკაციები.

პოსტნორმალური: „ფაქტები გაურკვეველია, ღირებულებები სადაო, მაღალი ფსონები და გადაუდებელი გადაწყვეტილებები“; იმართება მეგა კორპორაციების (Google,

Microsoft) და მილიარდერი ქველმოქმედების, „კოლეგე-ბის განვრცობილი საზოგადოებების“ მიერ, მაგრამ მა-ინც მეტწილად სამხედრო-სამრეწველო კორპორაციების კომპლექსის მხრიდან.

ტექნოლოგია

კლასიკური: საქმიანობის გაიოლებისათვის მეცნიერების ეტაპობრივი დანერგვა

მოდერნი: იდეოლოგიურად ორიენტირებული „საზოგა-დოების გაუმჯობესებისკენ“, ანტიბიოტიკები, მაგრამ ასევე ბირთვული იარაღი.

პოსტმოდერნი: ჩანერგილი პოლიტიკაში; გენომის სეკვე-ნირება, ბიოტექნოლოგია. საინფორმაციო და საკომუნი-კაციო ტექნოლოგიები

პოსტნორმალური: ადამიანისა და მანქანების სინთეზი, დნმ-ის რედაქტირება, დრონები, კიბორგები.

მედიცინა

კლასიკური: არ არსებობს ანტიბიოტიკები ან შესაბამისი ანესთეტიკები

მოდერნი: „თანამედროვე ქირურგია“, ანტიბიოტიკები, ელექტროკარდიოგრამა (EKG), მონიტორინგი, ლია გუ-ლის ქირურგია, თირკმლის ტრანსპლანტაცია.

პოსტმოდერნი: პაციენტების ელექტრონული მონიტო-რინგი, მიკროქირურგია, სახის გადანერგვა.

პოსტნორმალური: დისტანციური ქირურგია, ლეროვანი უჯრედების თერაპია, სინთეტიკური ორგანოები.

კომუნიკაცია

კლასიკური: ტელეფონი, ტელეგრაფი, მორზეს კოდი, რადიო.

მოდერნი: მიკროტალღოვანი ღუმელი, ტელევიზია.

პოსტმოდერნი: მობილური ტელეფონები, ელექტრონული ფოსტა, ინტერნეტი, მსოფლიო აბლაბუდა.

პოსტნორმალური: მყისიერი, მუდმივად დაკავშირებული, 24 საათიანი გლობალური ახალი ამბების გადმომცემი არხები, ფეისბუქი, ტვიტერი, „ნივთების ინტერნეტი“.

პოლიტიკური ორგანიზაცია

კლასიკური: იმპერიები.

მოდერნი: ნაციონალური სახელმწიფოები.

პოსტმოდერნი: რეგიონალური დაჯგუფებები და ალიანსები (EC, ASEAN, OIC).

პოსტნორმალური: ძალაუფლება გადადის არასახელმწიფო აქტორებზე.

მმართველობა

კლასიკური: წარმომადგენლობითი დემოკრატია.

მოდერნი: ინტერესებზე დამყარებული დემოკრატია (ნეოლიბერალური, ჰიპერთანამედროვე).

პოსტმოდერნი: სათათბირო დემოკრატია (მრავალფეროვნება, მრავლობითობა, „განსხვავებების პოლიტიკა“).

პოსტნორმალური: კომპლექსური, ქაოტური, უმართავი.

ეკონომიკა

კლასიკური: კლასიკური მაკროეკონომიკა (ადამ სმიტი).

მოდერნი: კაპიტალისტური (თავისუფალი ბაზარი), კომუნისტური (ცენტრალიზებულად მართული).

პოსტმოდერნი: ნეოლიბერალური ეკონომიკური გლობალიზაცია (ფართომასშტაბიანი, კორპორატიული კომერცია და რესურსების პრივატიზაცია).

პოსტნორმალური: დიგიტალური, “პოდიუმური” მონეტარიზმი.

რელიგია

კლასიკური: მონოთეიზმი.

მოდერნი: მონოთეიზმი

პოსტმოდერნი: ახალი ხანა, ფუნდამენტალიზმი.

პოსტნორმალური: ეკლექტიკური, ფუნდამენტალისტური, პოლითეისტური.

თანასწორობა

კლასიკური: კანონმდებლობით დამყარებული დისკრიმინაცია, კანონი ღარიბების შესახებ.

მოდერნი: საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო, კანონის წინაშე (სავარაუდო) თანასწორობა. ქვემოთ მიმართული ჭავლის ეფექტი ღარიბთა სავალალო მდგომარეობის გამოსასწორებლად.

პოსტმოდერნი: მულტიკულტურალიზმი, ინტეგრაცია, ასიმილაცია.

პოსტნორმალური: უთანასწორობის ზრდა, მდიდარი ელვის სისწრაფით კიდევ უფრო მდიდრდება.

საზღვრები

კლასიკური: ფიქსირებული.
 მოდერნი: მოქნილი.
 პოსტმოდერნი: გამჭვირვალე.
 პოსტნორმალური: დაშლადი.

ბუნება

კლასიკური: მოთვინიერება და ექსპლუატაცია.
 მოდერნი: მოთვინიერებული, კონტროლის ქვეშ, მაგრამ „ზრდის საზღვრები“.
 პოსტმოდერნი: ბუნების სოციალური კონსტრუირება, ეკოპოლიტიკა.
 პოსტნორმალური: ველური, კლიმატური ცვლილებები, გაქრობის პირას მდგომი სახეობები.

გარემო

კლასიკური: შედარებით ჯანმრთელი.
 მოდერნი: დაბინძურებელი.
 პოსტმოდერნი: ტოქსიკური.
 პოსტნორმალური: კატასტროფული, კლიმატის ცვლილება.

ღმერთი

კლასიკური: ღმერთი ყოველთვის და ყველგანაა.
 მოდერნი: ღმერთი არის ჭეშმარიტება (ადრეული მოდერნი), ღმერთი მკვდარია (გვიანი მოდერნი).
 პოსტმოდერნი: ღმერთი მანქანაა, ან ღმერთი მე ვარ.
 პოსტნორმალური: ღმერთი არის უმეცრება.

რელიგია

კლასიკური: რელიგია ხსნის სამყაროს.

პოდერნი: რელიგია გვეხმარება სამყაროს შემეცნებაში.
პოსტმოდერნი: რელიგია იყო სიცრუე; ლიბერალური სე-კულარიზმი გადარჩენის ახალი თეორიაა.

პოსტნორმალური: რელიგია გაურკვეველია, ამიტომ უნდა იყო ღია მრავალფეროვანი ინტერპრეტაციებისთვის და გახდეს კომპლექსური.

ომი

კლასიკური: „პირველი მსოფლიო ომი“.

პოდერნი: „ჰოლოკოსტი“.

პოსტმოდერნი: „ყურის ომი“ (როგორც ეს ტელევიზიით იყო ნაჩვენები).

პოსტნორმალური: დრონების თავდასხმა, კიბერომი, მილიტარიზმული რობოტები (ომი თამაშია კაცობრიობის-გან ჩამოშორებული).

საპროტესტო აქციები

კლასიკური: სამოქალაქო დაუმორჩილებლობა (აფროამერიკული მოძრაობები სამოქალაქო უფლებებისათვის), არაძალადობრივი წინააღმდეგობა (განდი).

პოდერნი: ანარქისტული ძირგამომთხრელი საქმიანობა, ძალადობრივი დემონსტრაციები (შავი პანტერები), მშვიდობიანი მსვლელობა (კამპანია ბირთვული განიარაღების მოთხოვნით).

პოსტმოდერნი: მასობრივი მობილიზაცია („გეი პრაიდი“, სპარსეთის ყურის ომის წინააღმდეგ პროტესტები).

პოსტნორმალურობა: სტიმულირებული ციფრული მედიით, ერთმანეთთან დაკავშირებული, კომპლექსური დაქაოფური („არაბული გაზაფხული“, სატვირთო მანქანების საპროტესტო აქცია ბრიტანეთში, აშშ-ში და სხვა-

გან, არგენტინის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაკთა პროტესტი)

ტერორიზმი

კლასიკური: ქალაქის ბანდები, ტერორიზმი დამოუკიდებლობისთვის („ბრძოლა ალჟირისათვის“).

მოდერნი: ადგილობრივი, სპეციფიკური მიზნებით (ირა, ბასკი სეპარატისტები).

პოსტმოდერნი: გლობალური, თვითმკვლელი ტერორისტები ბომბით, არასამთავრობო აქტორები (ალ-კაიდა).

პოსტნორმალური: გლობალური, ურთიერთდაკავშირებული, სოციალური მედია გონივრულად გამოყენებელი, ტერიტორიის დაკავებისკენ მიმართული („ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფო“, თალიბები, ბოკო ჰარა-მი).

სხეული

კლასიკური: კუნთოვანი.

მოდერნი: ათლეტური.

პოსტმოდერნი: ანდროგენული.

პოსტნორმალური: გაუმჯობესებული.

ქალაქები

კლასიკური: მისისიპი, კეიპტაუნი (აპართეიდის დროს).

მოდერნი: ნიუ-იორკი, ლონდონი, პარიზი.

პოსტმოდერნი: ტოკიო, დუბაი, პუტრა ჯაია (მალაიზია).

პოსტნორმალური: ბალდადი (მოკავშირეთა გასვლის შემდეგ), კაირო

(ორი აჯანყების შემდეგ), ალეპო, ფერგიუსონი, აშშ.

ფილმები

კლასიკური: “ბატონი სმიტი მიემგზავრება ვაშინგტონში.”

მოდერნი: “გვამების გამტაცებელთა შემოჭრა.”

პოსტმოდერნი: “სექსი, სიცრუე და ვიდეო.”

პოსტნორმალური: “ის.”

ტელევიზია

კლასიკური: “მე მიყვარს ლიუსი.”

მოდერნი: “შეუსრულებელი მისია.”

პოსტმოდერნი: “ვარვსკვლავური გზა: შემდეგი თაობა.”

პოსტნორმალური: “სილიკონის ველი.”

მუსიკა

კლასიკური: ჯაზი, ბიგ ბენდ სვინგი.

მოდერნი: პოპი, როკ-ნ-როლი, დისკო, ჰევი მეტალი.

პოსტმოდერნი: ახალი ხანა, ფსიქოდელიკა, აღმოსავლურის და დასავლურის შერწყმა, პანკი, გრანჯი და ჰაუზი.

პოსტნორმალური: ჯერ არ შექმნილა, მაგრამ კანადური ექსპერიმენტული ჯგუფი „Post Normal“ ამ მიმართულებით ახორციელებს ძალისხმევას).

ჰოლივუდის გმირები

კლასიკური: კლარკ გეიბლი – „გულწრფელად რომ გითხრათ ჩემთ ძვირფასო, სულაც არ მენაღვლება“.

მოდერნი: ჯეიმს დინი – „ცუდი ბიჭი კარგი ოჯახიდან.“

პოსტმოდერნი: არნოლდ შვარცნეგერი – „ასტა ლა ვისტა, ბეიბი.“

პოსტნორმალური: ჯონი დეპი – „გულწრფელად რომ

გითხრა, სწორედ გულწრფელებთან უნდა იყოთ ფრთხილად; თქვენ ვერასოდეს შეძლებთ წინასწარ განსაზღვროთ, აპირებენ თუ არა ისინი რაღაც ძალიან სულელურის გაკეთებას.“

სექს სიმბოლო

კლასიკური: მეი უესტი – „ეს იარაღია თუ უბრალოდ ბედნიერი ხარ ჩემი დანახვით?“

მოდერნი: მერილინ მონრო – „ჯენტლმენები ამჯობინებენ ქერებს.“

პოსტმოდერნი: მადონა – „მე მატერიალური გოგონა ვარ.“

პოსტნორმალური: ლავერნ კოქსი – „გაყალბება.“

სექსი

კლასიკური: ჰეისის კოდექსი (არავითარი ორადგილიანი საწოლები, არავითარი 10 წამზე დიდხანს გაგრძელებული კოცნა, არავითარი სიშიშვლე).

მოდერნი: „ვომ, ბამ, გმადლობთ ქალბატონო.“

პოსტმოდერნი: კიბერსექსი – სისტემაში შესვლა, დარეგისტრირება, სისტემიდან გამოსვლა.

პოსტნორმალური: პორნოგრაფია ნორმალურია.

ქორნინება

კლასიკური: მონოგამია.

მოდერნი: სერიული მონოგამია.

პოსტმოდერნი: სერიული, მრავალჯერადი, მონოგამია.

პოსტნორმალური: ჰეტერო, ჰომო, ტრანს, სერიული, მრავალჯერადი

შენობები

კლასიკური: ემპაირ სტეიტ ბილდინგი, ნიუ-იორკი.

მოდერნი: გუგენჰაიმის მუზეუმი, ნიუ-იორკი.

პოსტმოდერნი: პორტმანის სასტუმრო “ბონავენტურა”,
ლოს-ანჯელესი.

პოსტნორმალური: საათის კოშკი, მექა.

მხატვრები

კლასიკური: პიკასო.

მოდერნი: ჯექსონ პოლაკი.

პოსტმოდერნი: ენდი უორჰოლი.

პოსტნორმალური: ბენქსი.

რომანები

კლასიკური: ფიცჯერალდი, დიდი გეტსბი.

მოდერნი: კამიუ, უცხო.

პოსტმოდერნი: რუშდი, შუალამის ბავშვები.

პოსტნორმალური: უილსონი, ალიფ უხილავი.

გლობალური უცნაურობები

ჯონ ა. სვინი

ბანდარ მაჰატერისთვის სიცხე სულაც არ არის უცხო. არცთუ იშვიათად, ჩრდილოეთ ირანის ამ დასახლებაში ზაფხულის სეზონის განმავლობაში მუდმივი 45 გრადუსიანი სიცხეები დგას. მაგრამ სითბოს ინდექსის ცელსიუსით 74 გრადუსამდე მიღწევა, რაც გლობალურად მეორე ყველაზე მაღალი დაფიქსირებული მაჩვენებელი იყო, მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოქმედა. მრავალი წლის განმავლობაში, ანგარიშები გვაფრთხილებდნენ, რომ გლობალურ კლიმატურ სისტემას აქამდე არნახული უკიდურესობები უცაბედად დაატყდებოდა თავს. ამასთან, მხოლოდ იმიტომ, რომ გვითხრეს, რომ უფრო მეტ უკიდურესობას უნდა ველოდოთ, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ გვაქვს ამ მოვლენების პროგნოზირების ან შემსუბუქების შესაძლებლობა. იქედან გამომდინარე, რომ ჩვენთვის ნაცნობი კლიმატური სისტემა პოსტნორმალური ხდება, ტერიტორიის ნინასწარ მონიშვნის მცდელობები სულ უფრო და უფრო სიზიფეს შრომას ემსგავსება.

რამდენად უცნაური შეიძლება გახდეს მოვლენები?

ეს შესაძლოა იქცეს 21-ე საუკუნის განმსაზღვრელი კითხვად.

მაუნა ლოას ობსერვატორიამ 2013 წლის მაისში დააფიქსირა, რომ ატმოსფეროში ნახშირორჟანგის შემცველობამ მიაღწია 400 პრომილეს ერთ მილიონზე. უკანასკნელად, როცა ნახშირბადის დონე ატმოსფეროში ამგვარადვე მაღალი იყო, „დედამიწაზე ტემპერატურამ, საშუალოდ ცელსიუსით 3 გრადუსით აიწია, ხოლო ზღვის დონე ფარავდა სანაპიროებს 5 ან მეტი მეტრით. ჩვენ შევქმენით უცნაური გლობალური კლიმატური სისტემა და რადგან ეს პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, რომელიც ექსტრემალურ უცნაურობებს ექვემდებარება.

გლობალური უცნაურობა, და არა გლობალური დათბობა, უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ სიტყვებით თამაში – ეს პროგნოზია. გლობალური უცნაურობა შესაფერისი მეტსახელია წარმოქმნის პროცესში მყოფი ქსელისთვის:

- ტექნოლოგიური წინსვლის, დამოკიდებულებისა და საყოველთაობის ზრდა,
- მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფა (ები) და
- პოსტნორმალური აქტანტების ტრანსნაციონალური მოძრაობა და წინსვლა”

როდესაც 2010 წელს თუნისელმა ქუჩის დახლის მოვაჭრემ თავი დაიწვა, ცოტას თუ შეეძლო ამ მოვლენის შედეგების პროგნოზი. ექსტრემალური უცნაურობის

ხანაში მუჰამმად ბუაზიზი პოსტნორმალური აქტანტის კვინტესენციური მაგალითია. ქსელური მედიის წყალობით, აჯანყებები ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკას ტყის ხანძრის სისწრაფით მოედო. როგორ უნდა შევძლოთ მსგავსი ცვლილებების განჭვრეტა? როგორი კონცეპტუალური საშუალებები დაგვეხმარება იმის გაგებას, რაც ერთი შეხედვით არადამაჯერებელია? რამდენად უფრო უცნაური გახდება ყველაფერი?

ეკოსისტემის კონცეფციის წარმოქმნამ დიდწილად ხელი შეუწყო ბიოსფეროში ადამიანის საქმიანობის სისტემურ ანალიზს, მაგრამ საუკუნეების მიჯნაზე მრავალი მოაზროვნე უკვე აკეთებდა უფრო ხმამაღალ განცხადებებს პლანეტაზე ანთროპოგენული ცვლილებების როლსა და შესაძლო შედეგების შესახებ. ეს ნიშნავს, რომ ზოგიერთი მათგანი ახდენდა სამყაროს როგორც მთლიანი, გაერთიანებული სისტემის თეორიზებას, რომელიც სულ უფრო მეტად იყო დაკავებული ადამიანის მიერ განხორციელებული კონტროლის უკიდუროსებებით.

ამგვარად, ბევრი რამ, რაც ჩვენ მივიჩნევდით თავისთავად ცხადად და „ნორმალურად“, ახლა გახდა უკიდურესი. ამიტომაც, არ არის ადვილი ყველა სახის ექსტრემალური ქცევის ერთი ტერმინით გადმოცემა. ჩვენი ტექნოლოგიები გახდა ექსტრემალური, თანამედროვეობამ შეიძინა ექსტრემალური კონტაციები, ჩვენი ეკონომიკური სისტემა ექსტრემალურია, კორპორატიული ქცევა ექსტრემალურია; თითქმის ყველა იდეოლოგია გადაიქცა ექსტრემალურია.

კლიმატის ცვლილებების შედეგად გამოწვეულმა

უკიდურესმა უცნაურობამ აიძულა ზოგიერთი დაფიქრებულიყო რადიკალურ „გადაწყვეტილებებზე“. მაშინ, როდესაც ზოგი მიიჩნევს, რომ ერთადერთი გზა, რომლითაც კაცობრიობა შეძლებს უკიდურესი უცნაურობის გადალახვას, არის კლიმატის მოდიფიკაციების ინიციატივები. სხვები ყურადღებას მიმართავენ უფრო შეზღუდული „საშუალებებისაკენ“. იმის მტკიცებით, რომ მომავალი უკიდურესი უცნაურობის ფონზე „ადამიანის ბიომექანიკური მოდიფიკაცია“ დღის წესრიგში უნდა იდგეს, ავტორები ვარაუდობენ, რომ ემპათიის გაძლიერება, ნახშირბადის მდიდარი პროდუქტების მიმართ, როგორიცაა, მაგალითად წითელი ხორცი, ფარმაკოლოგიური შეუწყნარებლობის გაზრდა, უფრო გონივრული და ნაკლებად სარისკოა, ვიდრე ფართომასშტაბიანი კლიმატური ინჟინერიის ინიციატივები.⁽¹⁾

ექსტრემალური უცნაურობით მოცულ მსოფლიოში, ადამიანებს შესაძლოა მოუწიოთ არა მხოლოდ ახალ, არამედ წარსულ საფრთხეებზეც შფოთი, რომლებიც, სავარაუდოდ, ხელახლა გამოჩნდება, რადგან გლობალური კლიმატური სისტემა პოსტნორმალური ხდება. ეს დინამიკა ყველაზე მკაფიოდ ჩანს ტუნდრის რეგიონში, სადაც მუდმივად ნოტიო ნიადაგი ნამდვილი ხაფანგია მომავალი კოშმარებისათვის. მეცნიერები უშვებენ იმის ალბათობას, რომ „საშიში ვირუსები მიძინებულია სადღაც ღრმად მიწისქვეშეთში, რადგანაც პრეისტორიული მუდმივი ნოტიო ნიადაგი ქმნის სათანადო პირობებს ინფექციების შენარჩუნებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სცენარი უღერს, როგორც სამეცნიერო ფანტასტიკა, არ შეიძლება უკიდურესი უცნაურობების შედეგე-

ბის სათანადოთ არშეფასება. ეს არის ის, რაც ექსტრემულური უცნაურობის ეპოქას შეუძლია გვასწავლოს: წარმოუდგენელი სულ უფრო და უფრო გარდაუვალი ხდება.

დამოწმებული ლიტერატურა:

Gwynne Dyer, *Climate Wars: The Fight for Survival as the World Overheats* (Oxford: Oneworld Publications, 2011)

აღმოსავლეთი-დასავლეთი პოსტნორმალურ დროში

ზიაუდდინ სარდარი

„დასავლეთი დასავლეთია, აღმოსავლეთი აღმოსავლეთი და ისინი ადგილიდან არ დაიძვრებიან სანამ არ დადგება ცისა და მიწის შეყრის უამი ღვთის საშინელ სამსჯავროზე“.⁽¹⁾

იდეები უფრო დიდ ტერიტორიას იპყრობენ და უფრო მეტ ავტორიტეტს იხვეჭენ, ვიდრე კიპლინგის მიერ განდიდებული დედოფალ-იმპერატორის ყველა არმია. ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის მტკიცებულებების მიუხედავად, კიპლინგის გამარტივებული განსჯა მაინც რჩება მსოფლიოს გაგების რჩეულ მიდგომად.

კიპლინგის გამონათქვამით სულაც არ დაწყებულა ის, რაც ესოდენ ჩვეულად ჩანს. აღმოსავლეთი და დასავლეთი განსხვავებულია და განსხვავებები არის არსებითი და ხანგრძლივი დროით მდგრადი. პრობლემა ჩნდება იმის გამო, რომ განსხვავებები აღიქმება გადაულახავ წინაღობად. “ისინი ადგილიდან არ დაიძვრებიან”. ის, რაც კოდირებულია ამ უარყოფითი ღირებულებით, წარმოადგენს შიშის, სხვების მიმართ ეჭვის გაჩენის,

მუდმივი დაუცველობის შეგრძნების და ცრურწმენის საფუძველს. მთელი თავისი კომპლექსურობით, აღმოსავლეთი კვლავაც განიხილება, როგორც დასავლეთის “შიშის დამთესავებით” და ბოროტმოქმედებით მომმარაგებელი.

მაგრამ ახლა დადგა დრო, როცა უნდა გადავლახოთ ეს დამლუპველი ბინარული ლოგიკა. აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვრები და გამყოფი ხაზები არა-მარტო შეიცვალა, არამედ ბუნდოვანი და რთულად აღსაქმელიც კი გახდა. დასავლეთში იმდენივე აღმოსავლეთია, რამდენიც აღმოსავლეთში. იდეების ძალა, რომლებმაც შეაგულიანა დასავლური იმპერიალიზმი კვლავ ცოცხალი და მოქმედია, და მართავს აღმოსავლეთს თავის შიგნით, თავისთავად.

პირველადი დამლუპველი და გადანაწილებული ბრალულობის ძიება – ეს არის შეურიგებელი ოპოზიციის თამაშის გაგრძელების საშუალება – ეჭვი, სამხედრო მზადყოფნა, საზოგადოებრივი აზრის მანიპულირება, ორმაგი სტანდარტები და ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უგულებელყოფა. აღმოსავლეთი იყო ბინარული ოპოზიციის სულის უკვდავყოფის თანამონაწილე. დასავლეთის დაგმობა ჩადენილი ქმედებებისთვის სრულიად საკმარისია. აღმოსავლეთი აღმოსავლეთია, დასავლეთი კი დასავლეთია – ეს ყველასთვის მისაღებია.

ბინარული ოპოზიციიდან გამოსვლის ნებისმიერმა მცდელობამ უნდა გაითვალისწინოს აღმოსავლეთშიც და დასავლეთშიც არსებული სიკეთე, ისე როგორც ბორო-

ტების არსებობა ორივეგან. მხოლოდ იმის აღიარებით, რომ არავის აქვს სუფთა ხელები, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ყველამ უნდა ვიპოვოთ საკუთარი ნაკლოვანებების ჩამორეცხვის ახალი საშუალებები.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის გაერთიანების აუცილებლობა კიდევ უფრო გადაუდებელი ხდება, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ჩვენს გარშემო არსებული მრავალი პრობლემის ჭეშმარიტ გლობალურ ხასიათს. ამ პრობლემათაგან არც ერთი არ შეიძლება გადაწყდეს ცალკეული სახელმწიფოების მიერ; ისინი გავლენას ახდენენ პლანეტის ყველა მოსახლეზე. 21-ე საუკუნის პირველმა ათწლეულმა მკაფიოდ ცხადყო, რომ ჩვენ პოსტნორმალურ დროში ვცხოვრობთ.

როგორც აღმოსავლეთს, ასევე დასავლეთს ესაჭიროება ახალი მეთოდოლოგიები პოსტნორმალური პერიოდის პრობლემებთან გამკლავებისათვის. მრავალფეროვნება და მრავლობითობა აუცილებელია, როგორც კომპლექსურობის გააზრების, ასევე მასთან გამკლავებისათვის. ქაოსი გვასწავლის, რომ ინდივიდუალური და სოციალური პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება პირველხარისხოვანია ჩვენი კოლექტიური გადარჩენისთვის. პოსტნორმალური ხანაში სამყარო მართლაც შეიძლება განადგურდეს რამდენიმე ადამიანის მოქმედებით.

პოსტნორმალურმა პერიოდებმა წინააღმდეგობათა კონკრეტული ტიპები გამოიყვანა წინა პლანზე. ჩვენ იძულებული ვართ მომავალი განვისაჯოთ მუდმივი გაურკვევლობის მდგომარეობაში, და თუ არა სრული უმეცრებით, მაშინ ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ ნაწილობ-

რივი ან არასაკმარისი ცოდნით. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გადავდოთ გვერდზე ჩვენი განსხვავებები აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და მოვახდინოთ წინა-აღმდეგობებისა და კომპლექსურობის მართვა კონსენ-სუსზე დაფუძნებული შეთანხმებული დიალოგის გზით, რომელშიც ყველა მონაწილეს თანაბარი ხმა ეძლევა. არ არსებობს წინააღმდეგობების გადაჭრის ან კომპლექსუ-რი პრობლემების მოვარების ძალადობრივი საშუალება. თავმდაბლობა, მოკრძალება, პასუხისმგებლობა, ანგა-რიშვალდებულობა, მრავალფეროვნება და დიალოგი არა დანამატები, არამედ პოსტნორმალურ დროში გადარჩე-ნის აუცილებელი წინაპირობაა.

პოსტნორმალურ დროში კიბლინგის გამარტივებუ-ლი განსჯის დიქტუმის? ადგილი არ არის. აღმოსავლეთ-სა და დასავლეთს შორის უნდა გაიმართოს დიალოგი და მათ უნდა გამოიყენონ ყველაფერი საუკეთესო, რის სა-შუალებასაც მათ აძლევს მათივე ტრადიციები, ისტო-რია, საზოგადოებები, რათა განიხილონ და მორიგდნენ ჩვენი არასტაბილური დროის შესახებ და გააკეთონ ეს ისე, რომ ამავდროულად, შეინარჩუნონ საღი აზრი და ჰუმანურობა. ჩვენი დროის აგრერიგად რთული ჩიხიდან გამოსვლის მიზნით, ჩვენ გვესაჭიროება ახალი კითხვები და ახალი იდეები, სანამ ჩვენში გავიჩნდება ახალი, უკე-თესი პასუხების მიღების იმედი.

დამოწმებული ლიტერატურა

უნდა გადმოვიდეს ინგლისური სათაურები

Rudyard Kipling, “The Ballad of East and West”, (1889). available from <http://www.bartleby.com/246/1129.html>

ევროკავშირის წინააღმდეგობები

უორდი სერრა

აჩრდილი დადის ევროკავშირში – მისივე წინააღმდეგობების აჩრდილი. ეს წინააღმდეგობები მიუთითებს იმაზე, რომ ევროკავშირი ხდება ჭეშმარიტად პოსტინორმალურ ინსტიტუტი. წინააღმდეგობები ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკის პროდუქტია. ეკონომიკური პოლიტიკა კი ის მთავარი მამოძრავებელი ძალაა, რომელმაც კავშირი ჩამოაყალიბა. მაგრამ სწორედ მისი ეს პოლიტიკური, სოციალური და თუნდაც კულტურული განზომილებები უზრუნველყოფს მომავალში მის მნიშვნელობას.

ევროკავშირის ევოლუცია დაეფუძნა მრავალ ხელშეკრულებას. 2001 წლისათვის აშეარა გახდა, რომ კავშირს ესაჭიროება ხარისხობრივად ახალი წინ გადადგმული ნაბიჯი, კონკრეტულად კი ევროპული კონსტიტუცია. მიზანი მრავალფეროვანი კანონმდებლობის გაერთიანება და მისთვის პოლიტიკური იმპულსის მიცემა იყო. მაგრამ საქმე ისაა, რომ ის, რაც უნდა გამხდარიყო ჭეშმარიტად ზესახელმწიფოებრივი წარმონაქმნის საფუძველი, გახდა მხოლოდ წევრი სახელმწიფოების კლუბის პროექტი.

ევროპული კონსტიტუცია გახდა პირველი წინააღ-

მდეგობა, რომლის წინაშეც აღმოჩნდა ევროკავშირი: ის ვერ ასრულებს საერთაშორისო ორგანოს როლს და ზედმეტს იღებს თავზე, როგორც სახელმწიფოთა კლუბი. უხეშად რომ ვთქვათ, ძალიან ხშირად ევროკავშირს არ ჰყოფნის ძალა ერთობლივი პოლიტიკის განხორციელებისათვის, ასევე სახელმწიფოებს ხშირად არ აქვთ საკმარისი გავლენა მათი სპეციფიკური ინტერესების დასაცავად. შედეგად, მოქმედების მრავალი სტრატეგია არ არის საკმარისად ამბიციური ევროპასთან მიმართებით არსებული ღრმა პრობლემების გადასაჭრელად.

მიუხედავად ამისა, ევროკავშირი განიხილებოდა, როგორც საერთაშორისო მმართველობის წარმატებული ნიმუში, ყოველ შემთხვევაში, 2008 წლის კრიზისამდე. ამ კრიზისის სპეციფიკა არის ის, რომ ის სისტემური და გლობალურია. მთლიანობაში, ფინანსურმა კრიზისმა ევროკავშირისთვის ერთდროულად წარმოშვა როგორც გამოწვევა, ასევე შესაძლებლობაც. მაგრამ გამოწვევა არ იყო მიღებული, ხოლო შესაძლებლობა ხელიდან იქნა გაშვებული. ევროპულმა ინსტიტუტებმა განახორციელეს ხისტი ღონისძიებები ახლადმოქცეულთა რწმენაზე დაყრდნობით და მოუწოდეს კონტინენტის მოსახლეობას მიეღოთ ის ყოველგვარი ზედმეტი კითხვის გარეშე – სხვა შემთხვევაში ისინი განწირულები აღმოჩდებოდნენ.

რაც არ უნდა პარადოქსულად უღერდეს, ევროპული პროექტის შეზღუდვების გათვალისწინებით ბიუჯეტის სერიოზული შემცირება გამოიყურება, როგორც ყველაზე თანმიმდევრული გადაწყვეტილება. ევროს შემოღება გადაწყდა 1995 წელს, ამოქმედდა 1999 წელს და

მიმოქცევაში შევიდა მონეტების და ბანკნოტების სახით 2002 წელს. ის განასახიერებდა პოლიტიკურ ბიძგს ინტეგრაციის უფრო მაღალი დონის მისაღწევად – საერთო ვალუტა უფრო ძლიერი კავშირისთვის. მაგრამ ის ასევე გახდა პოლიტიკური ნების ნაკლებობის მეტაფორა. ევრო იყო და კვლავ არის არასაკმარისი ერთობლივი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისთვის, ხოლო ერთობლივი პოლიტიკის გარეშე ის განწირულია.

ამრიგად, ევრო იტანჯება ორი სერიოზული სისუსტის გამო. პირველი, ის განსაზღვრავს საერთო ვალუტას იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც ღრმად განსხვავებული ეკონომიკური პირობები და დინამიკა აქვთ. მეორე, მისი მართვა არის ერთი კონკრეტული ინსტიტუტის, ევროპის ცენტრალური ბანკის (ECB) ხელში, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია სახელმწიფო კონტროლისაგან. ევროპის ცენტრალურ ბანკს მხოლოდ ევროპული კერძო ბანკებისთვის შეეძლო იაფი ფულის შეთავაზება იმ იმედით, რომ ეს ბანკები დაეხმარებოდნენ მათ ეროვნულ სახელმწიფოებს. საბოლოო ჯამში, მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკა უფრო მეტად ბიუჯეტის შემცირებებისთვის საეჭვო მორალური საფუძვლის შექმნის მცდელობა იყო, ვიდრე რეალური ეკონომიკური არგუმენტი.

სიმკაცრით მონუსხვამ განაპირობა მეორე წინააღმდეგობის გაჩენა: კაპიტალი ხალხზე უფრო მაღლა დგას. ევროკავშირმა მიღიონები ჩადო ფინანსური სისტემების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის პროგრამებში, მაგრამ ძალიან ცოტა მათგანი თუ გასცემდა სესხებს რთულ მდგომარეობაში მყოფ ბიზნესის-

თვის ან იპოთეკაზე დამოკიდებულ პირებისთვის. და მანც, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ დაფინანსების წყარო არის საზოგადოებრივი ფული, რომელიც შემოდის მოქალაქეების გადასახადებიდან და საერთო ჯამში კავშირის ნებისმიერი წევრის ჯიბიდან. რაციონალური დასაბუთება იყო ის, რომ ბანკების დაცემას შესაძლოა ჰქონოდა სისტემური ეფექტი, რაც კიდევ უფრო გააღრმავებდა კრიზისს და გააფართოებდა მის შედეგებს.

ევროკავშირის მიერ ფინანსურ კრიზისებთან გაკლავების მცდელობებმა, საბოლოო ჯამში, მის საზღვრებს შიგნით ღრმა ნაპრალები გააჩინა, რამაც კიდევ უფრო მეტი წინააღმდეგობა წარმოშვა. ამჟამად, კავშირში მოქალაქეებს შორის განხეთქილებაა; გადარჩენილი ქვეყნების ხალხი გადასარჩენი ხალხის წინააღმდეგ. თითოეული ქვეყნის შიგნით რეალური გაყოფა არის მათ შორის, ვისი საქმეც მიდის კარგად და ვისიც – არა. უფრო და უფრო მეტი ევროპელი მიდის დასკვნამდე, რომ მათი შვილები და შვილიშვილები ვერასდროს მიაღწევენ კეთილდღეობის იმ დონეს, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ. გლობალურ დონეზე რთულ ვითარებაში ფინანსურმა მხარდაჭერამ გამოავლინა თუ რაოდენ მყიფეა ევროკავშირის ქსოვილი. მაგრამ კავშირის ფარგლებში, ფინანსურმა დახმარებამ გააძლიერა წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ ევროკავშირი უფრო ეკონომიკურ სტაბილურობას უჭერს მხარს, ვიდრე დემოკრატიულ ლეგიტიმაციას.

ევროკავშირმა უნდა მიიღოს ტრანსცენდენტული გადაწყვეტილება. არის მისი მიზანი თავისი მოქალაქეე-

ბის გააერთიანება, ევროპულ სახელმწიფოებს შორის ადამიანთა და სამუშაო ძალის ნაკადის ხელშეწყობა, ევროპელი ხალხის დაახლოება, მსოფლიოსთვის მათი ინტელექტუალური და კულტურული ისტორიების გაცნობა თუ მისი ბანკირებისა და ფინანსური ინსტიტუტების გამდიდრება? ევროპულმა საზოგადოებამ უნდა დასვას კითხვა:

- ბაზარი?
- ვალუტა?
- ზესახელმწიფო მმართველობის დაუმთავრებელი პროექტი?
- ყველა ზემოთჩამოთვლილი?

ევროკავშირის მომავალი და მისი აქტუალობა პოსტნორმალურ დროში დამოკიდებულია პასუხზე.

მე ვიტყოდი, რომ დიდი შეცდომაა ევროკავშირის მისი ეკონომიკური განზომილებით შეზღუდვა ან ეკონომიკური ლოგიკის მიერ მისი ფუნქციონირების კარნახი. ევროპა ყოველთვის იყო ტერიტორიების, ხალხების, კულტურებისა და ყველა სახის ლოიალურობის მრავალფეროვანი ხალიჩა. იგი არასოდეს ფუნქციონირებდა ჰარმონიულად და რაც არ უნდა დავძაბოთ წარმოსახვა, შეუძლებელია მისი ჰომოგენურ ერთობად განხილვა. მიუხედავად იმისა, რომ ის შექმნილია ეკონომიკურ ერთეულად ფუნქციონირებისათვის, სინამდვილეში მისი ეკონომიკური მახასიათებლები ნამდვილად არ ასახავს ევროკავშირის რეალურ არსს. მისი წარმატება, როგორც მყარად შეკრული კავშირისა, სულ სხვა რამები გამოიხატება.

კერძოდ, ორი მაგალითი ჩნდება გონებაში: ადამია-

ნის უფლებები და გარემოს დაცვა. თუკი განვიხილავთ ევროკავშირის ნორმატიულ კორპუსს, ე.წ. „ევროკავშირის ნორმებს”, შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ეს არის უფლებების თვალსაჩინო კრებული, რომელიც, შესაძლოა, განსაზღვრავს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულ რეგიონს. ევროკავშირმა შეიმუშავა ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე კანონმდებლობა გარემოს დაცვითი საკითხების შესახებ. ევროკომისიის დასკვნებმა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ჯანმრთელობა, განათლება, გენდერული თანასწორობა, შრომითი პირობები და უმცირესობათა უფლებები, აიძულა რამდენიმე სახელმწიფო დაეხვენა თავისი კანონმდებლობა, რათა მოეყვანათ ევროკავშირის პრინციპებთან შესაბამისობაში.

მე ვიტყოდი, რომ ახლა ევროკავშირის მოქალაქეთა უმეტესობა აცნობიერებს, რომ გარდამტეხი მომენტი უკვე დადგა. 2014 წელს ჩატარებული ევროპული არჩევნები ამის პირველი ნიშანი იყო. უკიდურესი მემარჯვენე პარტიების რაოდენობრივ ზრდასთან ერთად, პარლამენტში მოხდა ადგილების უზრუნველყოფა ანტიევროპული განწყობების მქონეთა უფრო მეტი პროცენტისათვის, ვიდრე ოდესმე ისტორიაში. მემარჯვენე (და უკიდურესი მემარჯვენე) პარტიებისათვის გამოსავალი ევროკავშირის დასუსტებაა, მაშინ, როდესაც სხვებისათვის პირიქით უფრო ძლიერი ევროკავშირი ერთადერთი ლოგიკური ალტერნატივაა.

მიუხედავად ამისა, 2015 წელს განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა ორივე მხარის სწორი ნაბიჯებიც და შეცდომებიც. მილიონობით ლტოლვილმა, სირიიდან და

სხვა ქვეყნებიდან დაიწყო ევროპაში შემოდინება. თავი-დან ცოტამ თუ უარყო ისინი ღიად, მაგრამ მათი რაო-დენობის ზრდასთან ერთად წინააღმდეგობაც გაიზარდა. მას შემდეგ ამ ჰუმანიტარული კრიზისის მართვა ბევრი ევროპელისათვის სირცხვილის წყაროდ იქცა. დღესდღე-ობით, ძალიან ცოტა თუ ფიქრობს, რომ ევროკავშირი მათ ინტერესს ან საჭიროებებს ემსახურება; გასაკვირი არც არის უმეტესობის განწყობა, რომ კავშირი მათვის არაფრის მომცემია.

ამჟამად არსებული შესაძლებლობები ევროკავში-რის ცივილიზებულ და ლირსეულ დასრულებამდე მიყვა-ნა ან მისი წინააღმდეგობების გადალახვა და პოსტნორ-მალურ პერიოდებში შორსმჭვრეტელობითა და სიფ-რთხილით ორიენტირებაა. უპირველეს ყოვლისა, აუცი-ლებელია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება პროგ-რესულად ურთიერთდაკავშირებულ, რთულ და ქაოტურ სამყაროში რეგიონალური განზომილების მნიშვნელობის შესახებ. მეორე, ევროკავშირს სჭირდება პოსტნორმა-ლური პერიოდებისთვის შესაფერისი ახალი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, როგორც მისი ხალხის ეკო-ნომიკურ კეთილდღეობას, ასევე მისი მმართველობის სტრუქტურას. მესამე, ევროკავშირი ნათლად საჭიროებს ახალ ხელმძღვანელობას. მომავალში გადარჩენისთვის, ევროკავშირს სჭირდება ეთიკური ლიდერების ახალი თა-ობა, რომელსაც ძალუძს პოსტნორმალურ დროში ორი-ენტირება.

ფილმებში ასახული პოსტნორმალური ამერიკა

ს. სკოტ ჯორდანი

საკვანძო ტრანსფორმაციის მომენტებში ამერიკულმა კინომატოგრაფიამ გამოიყენა სხვები საკუთარი თავის მათთან შეპირაპირების მიზნით. ომამდელი კლასიკოსები იყენებდნენ აფროამერიკული წარმოშობის პერსონაჟებს. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კინომატოგრაფიას თან სდევდა კომუნიზმის აჩრდილი. ორიენტალისტური წარმოდგენა შემოვიდა მოდაში 1960-იან და 1970-იან წლებში იქამდე, სანამ „არაბი ტერორისტი“ კინოში⁽¹⁾ საფრთხედ არ წარმოჩინდა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში უმნიშვნელო ბიძგი განხორციელდა: ჩვენი დროის შიშმა ახლა ჩაანაცვლა ‘უცხოს’ მიმართ არსებული შიში: კლიმატური ცვლილების შიში;⁽²⁾ პანიკა ფინანსური კრიზისის შესახებ; ინტერნეტით გამოწვეული შფოთი; ავტომატიზაციის, ხელოვნური ინტელექტისა და კლონირების შიში. იმის გათვალისწინებით, თუ რას ასახავდა ამ ეპოქის სული, გასაკვირი არ არის, რომ თანამედროვე კინემატოგრაფია ახლა პოსტნორმალურ ხანაში შევიდა.

მსურს განვიხილო ორი ფილმი, რომლებიც, ჩემი აზრით, კარგად ასახავს პოსტნორმალურ ამერიკას: კლინტ ისტვუდის „ამერიკელი სნაიპერი“ (2014) და ალე-

ხანდრო გონსალეს ინიარიტუს „გადარჩენილი“ (2015). თითქოსდა ერთი შეხედვით, ამ ფილმებს პოსტნორმა-ლურ ხანასთან არანაირი ან მხოლოდ უმნიშვნელო კავ-შირი აქვთ, მაგრამ შეგვიძლია გამოვკვეთოთ მთელი რი-გი მეტაფორებისა,⁽³⁾ რომლებიც მნიშვნელოვნად ნათელს ჰქონის ამერიკის შიშებს, უმეცრებასა და მის შფოთვას გაურკვევლობის წინაშე.

„ამერიკელი სნაიპერი“ მოგვითხრობს ამერიკის ან-გარდაცვლილი სამხედრო-საზღვაო ფლოტის სპეცდა-ნიშნულების რაზმის წევრის, კრის კაილის შესახებ – ადამიანზე, რომელიც ცნობილი გახდა ადამიანების მკვლელობით. ამერიკელი გმირი. კლინტ ისტვუდის ფილმი იღებს ამერიკის ამ ტრაგიკულ შენადნობს და აქ-ცევს მის ისტორიას პოსტნორმალური ამერიკის სიურ-რეალისტურ მეტაფორად. ფილმის უმეტეს ნაწილს თან სდევს თქვენთვის ძალიან კარგად ნაცნობი პოსტ-9/11 დროინდელი ომის შესახებ ტიპური ანტიუტოპიური ამე-რიკული ფილმის შეგრძნება. დასკვნით ნაწილში, კაილი მაინც, სულ მცირე, რჩება „კარგი ამერიკელის“ მეტაფო-რად.

მეტაფორა უკავშირდება იმას, თუ როგორი გახდა შეერთებული შტატები გლობალური დომინანტობის მო-პოვებისა და აუდიტორიისათვის მომავალი კურსის ტრა-ექტორიის შესახებ არჩევანის მიცემის შემდეგ. კაილს უყვარს ტეხასი, მას უყვარს იარალი და მას სურს გახ-დეს კოვბოი. რაც მთავარია, მას ახასიათებს კლასიკური ამერიკული, უჩვეულო სამართლიანობის გრძნობა. გამო-ყენებული მეტაფორა გვაგონებს რადიკალურ-რეალის-ტურ ამერიკულ ფსიქიკაში არსებულ უთვალავ სხვა ში-

ნაარსობრივად ცარიელ მეტაფორებს. ფილმში კაილი უყურებს 1998 წელს კენიაში აშშ-ს საელჩოს დაბომბვის რეპორტაჟს და განიცდის ისე, თითქოს მის პატარა ძმას მუშტებს უშენდეს ვინმე. ფუნდამენტალისტური ინდივი-დუალიზმისადმი ესოდენ მიდრეკილი საზოგადოება უეც-რად უცხო ადამიანების თანაგრძნობას განიცდის მხო-ლოდ მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებულია სიტ-ყვით „ამერიკელი“.

ახალი ამბების რეპორტაჟები აფრქვევს ქაოტურ შიშს და ღრმა გაურკვევლობას ახალი მტრის მიმართ, შემდეგ კი დგება 9/11. კომუნისტი, იაპონელი, გერმანე-ლი, რომლების კარიკატურული სახით წარმოჩენა ადვი-ლია ერთმანეთისგან გამორჩეული მახასიათებლის გამო, ახლა უკვე ჩრდილში არიან მოქცეულნი. მტერი მოჩვე-ნებაა, თითქმის არაადამიანური არსება. ამის გამო ამე-რიკამაც უნდა დაკარგოს თავისი ადამიანურობა. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ კაილის სამხედრო-საზღვაო ფლოტში წვრთნას, რომელმაც, წესით, უნდა ხილული გახადოს ადამიანური არსი, მაგრამ ამის ნაცვლად წვრთნა უფრო წააგავს სახელმძღვანელოზე დაფუძნე-ბულ ონლაინ ტრეინინგს. შემდეგ კი რეალობა ჩვეულ მდგომარეობას უბრუნდება.

კაილს თითქოს გააჩნია ყველაფერი – შესანიშნავი პატარძალი, ბავშვი რომელიც უახლოეს მომავალში დაი-ბადება – სრულქმნილი ამერიკული ოცნება, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ სროლის სწავლის კომპიუტერული თამა-შები და ქალალდის სამიზნები ვერ ამზადებს ადამიანს ცოცხალი ადამიანის მკვლელობისათვის. ამერიკა აკვირ-დება მსოფლიოს მძლავრი თვალთახედვის სამიზნით და

წარმოადგენს იმ ფარს, რომელიც სჭირდება მსოფლიოს. ტერმინი „გმირი“ ფეხბურთის ბურთის მსგავსად თავსდება მოედანზე, მას იგერიებენ წინ და უკან და ამასობაში მაყურებლის თვალწინ ბურთი გარდაიქმნება. კრის კაილი ჩვენი გმირია. მის ღირებულებებში აშკარად ნაჩვენებმა წინააღმდეგობებმა მიიყვანა კაილი პოსტნორმალური პერიოდის ღრმა გაურკვევლობამდე. შედეგად ვიღებთ თავდაუზოგავ დონ კიხოტის ტიპის გმირს, ხოლო ფილმის მსვლელობისას მაყურებელს ხან უჩნდება მისი დაცვის მოთხოვნა, ხანაც მისი წარუმატებლობის იმედი.

მაგრამ სამყარო აღარ არის ასეთი მარტივი. პოსტნორმალური პერიოდის გმირს არ შეუძლია უბრალოდ დაამარცხოს ბოროტი ადამიანი ან გააუვნებელყოს ბომბი. პოსტნორმალური პერიოდის გმირი, უპირველეს ყოვლისა, ნავიგატორია. პოსტნორმალური პერიოდის გმირი აწყდება იმის აუცილებლობას, რომ უნდა მოიმარჯვოს ჩვენი ძველი კონცეფციები, გამოსცადოს ისინი და მოგვთხოვოს საკუთარი თავის გადამზადება ან მზაობა იმისთვის, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ვიქნებით განწირულნი მოვხვდეთ ჭეშმარიტი მტრის ანუ საკუთარი თავის კლანჭებში.

ამ გმირთაგან პირველი თითქმის უეჭველად იქცევა ტრაგიკულ გმირად, რადგანაც პოსტნორმალური დროის შეუცნობლობა იქნება მისთვის სასიკვდილო გამოწვევა. ზოგი აღიარებს ჩვენს ირგვლივ არსებულ კომპლექსურობასა და წინააღმდეგობებს, სხვები შეეცდებიან მათ გადალახვას, და იქნებიან ისეთებიც, ვისაც ეს შეინირავს. ამ პერსონაჟებს შთანთქავს მათ გარშემო არსებული გაურკვევლობა; მათი გადარჩენის შესაძლებლობები

კი შემოიფარგლება მხოლოდ იმით, თუ როგორ მოახერხებენ საკუთარი უმეცრების მართვას.

საკმაოდ გაუცნობიერებლად, ფილმი ასახავს ძირითად დილემებს, შინაგან წინააღმდეგობებს და პოსტნორმალური დროის ამერიკის ღრმა უმეცრებას. მე ვცხოვრობ ამერიკაში, სადაც იარაღი უფრო მეტია, ვიდრე ადამიანი, სადაც სროლები საუნივერსიტეტო კამპუსში ნორმად ითვლება, ხოლო ომის ექსპორტი საგარეო პოლიტიკაა. „ამერიკელი სნაიპერი“ ერთგვარი სარკეა, რომელიც გამოავლენს ჩვენს ნახევრად დახშულ გონებას რომელიც გვიბიძგებს მუდმივი ძალადობისკენ.

პოსტნორმალური დრო მშფოთვარე და არაკომფორტულია. მინიშნება იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია ამერიკას პოსტნორმალურ დროსთან შეგუება შეიძლება ვნახოთ ინაირიტუს ფილმში „გადარჩენილი“. ინაირიტუ გვთავაზობს ამ მშფოთვარე დროში ორიენტირების მცდელობას.

ჩვენი ორიენტირებისათვის ფილმი იწყება გამდინარე წყლის კადრებით, ცხოვრების საკვანძო ელემენტით. მამა და შვილი. გლასი და ჰოუკი. შემდეგ კი, ვხედავთ, ასე რომ ვთქვათ, რაღაც არაამქვეყნიურს – მათ იარაღებს. მამრი ირემი უსასრულოდ განტოტებული რქებით. ხორცად ქცეული სიცოცხლის ხე. გასროლა! არაბუნებრივი ხმა ბიძგს აძლევს ჩვენს მოგზაურობას. იქვე ვხედავთ ბუნებაში მცხოვრები ადამიანების სადგომს. დილის დადგომა წყდება იარაღიდან გასროლით. ჯონ ფიც-ჯერალდი შეშფოთებას გამოთქვამს არაბუნებრივი ხმაურის გამო ავტორიტეტულ პირთან – კაპიტან ენდრიუ

ჰენრისთან. ავის მომასწავებელი „სხვა“ ჩასაფრებულია ჩვენთან ახლოს.

აქ აღწერილი ისტორია, არსებითად, მამის სახელ-მძღვანელოა პოსტნორმალურ დროში. გლასის როლი, როგორც მამისა, საკმაოდ რთულია. მარტივი მეტაფორა მდგომარეობს იმაში, რომ გლასი, მცდარი ამერიკული პოლიტიკური შეხედულების მსგავსად, გაცვეთილი არაცივილიზებული სამყაროს გავლით კეთილდღეობისაკენ მიისწრაფვის. ამ მოგზაურობაში გლასს არ შეუძლია გვირაბის ბოლოს სინათლის დანახვა. ის უბრალოდ ცდილობს ადამიანების უსაფრთხო ადგილას, ყველაზე ახლომდებარე ფორტში მიყვანას. მას იძულებული ხდება იქცეს მამად თეთრკანიანთა ამ ჯგუფისა, რომლებიც იმედოვნებენ, რომ მხოლოდ ის შექლებს მათ დაცვას არიტაკას ტომის მორიგი თავდასხმისგან. დიდი ალბა-თობაა, კვესტის კრახით დამთავრებისა, თუნდაც ფორტთან მიღწევის შემთხვევაში, რა იქნება მაშინ?

ფიტჯერალდიც, ანალოგიურად, ერთგვარი მამაა. მოდით ვუწოდოთ მას უმეცრებისა და პოსტნორმალური ჩამორჩენილობის მამა. ფიტჯერალდი შვილად აღიქვამს ახალგაზრდა ბრიჯერს, რყვნის მას ძველი პარადიგმებით, რომლებიც ეპოქის მიჯნაზე თანდათანობით ინგრევა. მისი ფილოსოფიაა „ყველა თავისთვისაა, ტანჯვა სრულიად ზედმეტია, და ტყუილი გამართლებულია“. ყველაფერი ეს, აღმოჩენილი გაურკვევლობის წინაშე, განადგურდება.

კაპიტანი ჰენრი ცრუ მამაა. ეს არის მამა, რომელ-საც ჩვენ ვითხოვთ ჩვენი მთავრობებისა და სხვადასხვა

საწევრო ორგანიზაციებისგან. ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ექსპერტებისა და საზოგადოებრივი აზრის საწყალობლად არიან ქცეულნი, რომლებიც, თავის მხრივ, ექვემდებარებიან ქაოსის დამანგრეველ ბედისწერას და გარდაუვალ წინააღმდეგობებს. ჰენრის არ შეუძლია თავისი შვილებისა და ხალხის გადარჩენა. არიკარას ტომის ბელადი კაპიტან ჰენრის ერთგვარი ანტითეზაა. ის და შესაბამისად, მისი ტომიც, დაინტერესებულია თავისი ქალიშვილის პოვნით. ის თავისი იდენტობის ერთგულია, თუმცა ამავე დროს იყენებს თეთრკანიანთა იარაღის და მათი ენის უპირატესობებს. მის მიერ უმეცრებასთან დაპირისპირება იქცევა ხვალინდელი დღის გაურკვევლობის წინაშე აღმოჩენილი ყველა ცრუმამისთვის შესაძლებლობად.

ეს ფილმი მოგვითხრობს ამ სხვადასხვა მამობრივი საშუალებების შერწყმის ისტორიას და გვთავაზობს პოსტნორმალური დროის საინტერესო ექსპერიმენტს. ეს შერწყმა განპირობებულია კონფრონტაციით, რაც ყველაზე შესამჩნევია გლასის მიერ გრიზლ მამასთან, ან ამ შემთხვევაში, დედასთან შერკინებისას.

საკუთარი მამის წარმოდგენა დათვებზე დიდწილად განპირობებულია მისი ცივი ომის პერიოდში ცხოვრების გავლენით. საბჭოთა ხალხი. წითლები. საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებით განპირობებულ წარმოსახვაში დათვები მულტიპლიკაციური ფილმების უწყინარი გმირებიდან ბუნების ძალად იქცნენ. მე გავიზარდე ვინი პუპის, იოგი დათვისა და ბალუს შესახებ ზღაპრებით. შემდეგ გამოვიდა ვერნერ ჰერცოგის „ადამიანი გრიზლი“ (2005). ბუნების გადარჩენისა და მისი სილამაზის პატი-

ვისცემით სულისკვეთებით გაუღენთილმა ამ დოკუმენტურმა ფილმმა ღირებული გაკვეთილი ჩაგვიტარა. ბუნება ველურია და ისინი, ვინც მის ტერიტორიაზე აღწევენ, უნდა ექვემდებარებოდნენ მის წესებს. დათვი არის ამერიკული ჯუნგლების მეფე. რატომ არ უნდა მივანიჭოთ მას ბუნებრივი მამის სტატუსი ინიარიტუს ფილმში?

ამ ფილმის ტრაგედია ისაა, რომ კონფლიქტი მამებს შორის მიმდინარეობს. მამა-შვილის პიკნიკის მსგავსად, ამ შეჯიბრების გამარჯვებული არ არის დამოკიდებული იმაზე თუ ვის უყვარს ყველაზე მეტად, ვის ახასიათებს ყველაზე მეტად თანდაყოლილი მამობრივი ოსტატობა, ან მშობელთან კავშირის რამე სხვა რომანტიზებული გრძნობა. გლასი, ფიცჯერალდი, ჰენრი, არიკარას ბელადი და დათვი – ყველანი ამ ისტორიის გმირები არიან. ეს პერსონაჟები ერთად იყრიან თავს მხოლოდ მათთვის ყველასთვის დამახასიათებელი უმეცრებისა და გაურკვეველი მომავლისადმი მიდგომის გამო.

ფილმის ერთ-ერთ დასკვნით მონაკვეთში ჩვენ ისევ ვხედავთ ტუნდრის პეიზაჟის ფონზე გამდინარე წყალს, მაგრამ ამჯერად მასიური სისხლის ლაქა ამახინჯებს წყლის ნაპირს. ქარს, წყალსა და სუფთა თოვლს შეუძლია მისი იმ სილამაზის დაბრუნება, რომელიც ფილმის დაწყებისთანავე ვიხილეთ. ეს არის პოსტნორმალური პერიოდის ფსონი. სიმართლე არ არის უბრალოდ ემპირიული, არამედ მოითხოვს აზროვნების მეორე დონეზე აღმასვლას. უმეცრების სუნთქვა დამარცხდება ბუნების ქარისგან.

როგორ ისუნთქებს ამერიკა პოსტნორმალურ დრო-
ში?

დამოწმებული ლიტერატურა

1. *ed.* Matthew Berstein and Gaylyn Studlar (Eds.), *Visions of the East: Orientalism on Film* (London: I B Tauris, 1997); and Ziauddin Sardar, *Orientalism* (Buckingham: Open University Press, 1999)
2. E Ann Kaplan, *Climate Trauma: Foreseeing the Future in Dystopian Film and Fiction* (Rutgers University Press, 2015)
3. Trevor Whittock, *Metaphor and Film* (Cambridge University Press, 1990)

პოსტნორმალური მემკონველობა

უორდი სერრა

მოდერნულობა გაჩნდა როგორც ახალი ტიპის ძალაუფლების პასუხი, რომელიც საჭიროებს შუა საუკუნეების ტრადიციებისა და სტრუქტურების დამანგრეველ ახალ ლეგიტიმურ წყაროს. მაგრამ მოსალოდნელი მონოლითური სამყაროს ეს ვარაუდები, რომელთაც აქვთ ერთი ენერგიის წყარო, აღარ არის ვალიდური მულტიპოლარულ, მულტიკულტურულ სამყაროში. მოდერნულობა კრიზისულ მდგომარეობაშია; და მისი მემკვიდრე, პოსტმოდერნიზმი, უბრალოდ აღმოჩნდა „დასავლური კულტურის ახალი იმპერიალიზმი“.⁽¹⁾

მმართველობის ჩვეულებრივი მეთოდები სახითათოდ მოძველებული ხდება. საზოგადოება სრულ დაბნეულობაშია. შედეგად, ადამიანების უმეტესობამ დაკარგა პოლიტიკის მიმართ ყოველგვარი ინტერესი. ამ მომენტისათვის ‘დროის სული’ გაურკვევლობისა და შფოთვის ნაზავია, რომელიც პროვოცირებულია ჩვენი უუნარობით გავიგოთ ის, თუ რა ხდება. სიმართლე და ფაქტები კარგავს ფასეულობას. პოპულიზმი პოსტნორმალური დროის ბუნებრივი შედეგია. პოლიტიკური მოვლენები ჩნდება და ვითარდება ისეთი ტემპებით, რომ მათ ძლივს ვუმკლავდებით.

განვიხილოთ უკრაინის შემთხვევა. ეს ყველაფერი კიევში მთავრობის წინააღმდეგ გამართული დემონსტრაციით დაიწყო. პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის მთავრობა მართლაც კორუმპირებული იყო, მაგრამ ის დემოკრატიული გზით იყო არჩეული. მისი მთავარი დანაშაული იყო ის, რომ მას სურდა უკრაინის რუსეთთან გაერთიანება. დასავლეთი კი ამის ნაცვლად ერჩია უკრაინის ნატოში განევრიანება. მალე კიევში შეიარაღებულმა მომიტინგებმა აიღეს სამთავრობო შენობები და მოითხოვეს მთავრობის და კონსტიტუციის შეცვლა. როდესაც პარლამენტმა ხმა მისცა იანუკოვიჩის გადაყენებას, ის გაიქცა რუსეთში; რის შემდეგაც არანაკლებ კორუმპირებული ყოფილი პრემიერ მინისტრი, იულია ტიმოშენკო, ციხიდან გამოიყვანეს დემონსტრანტებისთვის წინაშე სიტყვით გამოსასვლელად.

დაახლოებით ათი წლის წინ, ალბათ, ეს საქმე ამით დასრულდებოდა. დასავლეთის ძალები საკუთარი არჩევანის მიხედვით შექმნიდნენ მთავრობას უკრაინაში, ისევე, როგორც ამას აკეთებდნენ მრავალ სხვა ქვეყანაში. მაგრამ საყოველაოდ მიღებული ძალაუფლების ჩვეულებრივი გადანაწილება და ინტერესების იერარქია არ არის დასაბუთებული. ის რეალობა, რომ ძალაუფლება მართლაც შეიცვალა, ძნელად გასაგებია, რომ აღარაფერი ითქვას მის მიღებაზე.

ყურადღება მიაქციეთ უკრაინის შემთხვევის კომპლექსურობას და ამის შედეგად წარმოქმნილ წინააღმდეგობებს. საქმე ეხება არა მხოლოდ ორი კონკურენტი სახელმწიფოს ინტერესებს, და უკრაინაში ცხოვრობს

120 სხვადასხვა უმცირესობა და თითოეულ მათგანს აქვს თავისი გონივრული და არაგონივრული მოთხოვნები. წინააღმდეგობები ასევე თანაბარნილად თვალშისაცემი იყო. დასავლეთი საკუთარ ინტერესებს გადამწყვეტად თვლიდა, მაგრამ რუსეთის ინტერესებს ანგარიშს არ უწევდა. დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტის შეცვლა მოხდა სრულიად არაკონსტიტუციური და არადემოკრატიული გზით. კიევში ბრძოს დემოკრატიული მოთხოვნები კანონიერად მიიჩნეოდა; მაგრამ ბრძოს მიერ დემოკრატიული მოთხოვნები ყირიმში, იქ სადაც ჩატარდა რეფერენდუმი, „არალეგალურად“ იქნა მიჩნეული. ჩვენი ფაშისტები, რომლებიც კიევში ახალი მთავრობის განუყოფელი ნაწილია, სიკეთის მთესველები არიან; მათი ფაშისტები კი – სასტიკი რასისტები.

თუ პოსტნორმალურ სამყაროში სენსორულ ქალაქს ცეცხლს მოუკიდებთ, თქვენ, სავარაუდოდ, დაიწვავთ საკუთარ თავს ისევე, როგორც თქვენს სამიზნეს. ეს კარგად ჩანს ეგვიპტის შემთხვევაში. თავდაპირველი დემონსტრაციები მურსის მთავრობის წინააღმდეგ წამოიწყეს ფეისბუქის საშუალებით, რაც სწრაფად გადაიზარდა ქაოტურ მოვლენად და გამოიწვია რეჟიმის დამხობა. ეგვიპტის სამხედროებმა ისარგებლეს ქაოსით და სეკულარისტებმაც ხელი შეუწყვეს მათ. საბოლოო პროდუქტი: თუნდაც ავტოკრატიული მაგრამ ლეგიტიმური, დემოკრატიულად არჩეული მთავრობა შეიცვალა სამხედრო მმართველობით. „გადატრიალება“ არ ყოფილა გადატრიალება. იყვნენ რა შორს იმისგან, რომ ხელი შეეწყოთ ეგვიპტის უფრო მეტად დემოკრატიულობისათ-

ვის, სეკულარისტებმა შეძლეს მის კოშმარულ პოლიცი-ელ სახელმწიფოდ ქცევა.

განვიხილოთ ესპანეთის პოსტნორმალური მდგომა-რეობა. უძრავი ქონების ბიზნესში ოქროს პერიოდის შემდგომ ბინათმშენებლობის სფეროს საპნის ბუშტის გასკდომამ ქაოტური კოლაფსის სახე მიიღო. ესპანეთმა ევროკავშირს მიმართა დაფინანსების თხოვნით თავისი საბანკო სისტემის განკურნებისთვის. ესპანეთმა გადაი-ტანა ბიუჯეტის მკვეთრი შემცირება და გარკვეული სტრუქტურული რეფორმები, რამაც გამოიწვია ქვეყანა-ში სოციალური უზრუნველყოფის სისტემისთვის გამო-ყოფილი თანხების ასევე მკვეთრი შემცირება. ესპანეთში უმუშევრობის დონე გაიზარდა 20%-თ, რის შედეგადაც იმ პერიოდისათვის ხუთ მილიონზე მეტი ადამიანი უმუ-შევარი დარჩა. ესპანეთის პოლიტიკამ წლობით შეწყვიტა განვითარება ყოველი მხრიდან ჩიხში მოხვედრის წყალო-ბით. შედეგად, შექმნილმა ჩიხმა რამდენიმე წლის გან-მავლობაში ესპანეთი პარალიზებულ მდგომარეობაში დატოვა.

გადაწყვეტილების მოძიებამ დაუბრუნა ესპანეთს სტატუს კვო დროებითი მთავრობით. მოსახლეობა დაინ-ტერესებულია მხოლოდ მოგების მიღებით საზოგადოე-ბის ხარჯზე. როის კონსერვატულმა მთავრობამ გაიმარ-ჯვა 2010 წლის არჩევნებში. კონსერვატიულმა მთავრო-ბამ საბოლოო ჯამში განახორციელა იმის საპირისპირო, რაც თავდაპირველად განაცხადა: მან არათუ შეამცირა, არამედ გაზარდა გადასახადები, უმუშევრობაც შემცი-რების მაგივრად, პირიქით, მკვეთრად გაიზარდა. თუმცა

ეკონომიკა არ იყო მისი მთავარი გამოწვევა. მთავარი პრობლემა კატალონიიდან წამოვიდა, რომელსაც სურდა ესპანეთიდან გამოყოფა და დამოუკიდებლობის მიღება.

მაშინ, რა გააკეთა ესპანეთის კონსერვატორულმა მოქმედმა და წინამორბედმა ხელისუფლებამ ამ საკითხების მოსაგვარებლად?

უპირველეს ყოვლისა, მან მიანიჭა კათოლიკურ ეკლესიას განსაკუთრებული უფლება რიგი სოციალური საკითხების გადასაჭრელად. მეორე, მან შეამცირა ან უბრალოდ გააუქმა მრავალი დემოკრატიული უფლება. დემონსტრაციის უფლება შეიზღუდა ე.წ. „ჩაჩუმების კანონით“. სტრატეგია გულისხმობდა ქუჩის აქციების და დემონსტრაციების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ქცევას.⁽²⁾ მესამე, პოლიტიკამ განაპირობა ის, რომ ესპანური იპოთეკური სესხი სინამდვილეში არ არის იპოთეკური სესხი; ისინი პირად კრედიტებს წარმოადგენენ რეალური (იგულისხმება საცხოვრებლი ფართი) გარანტიებით. ეს ნიშნავს, რომ ქონების დაკარგვა კრედიტის დასრულებას იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გასაყიდი ფართის ღირებულება ფარავს კრედიტის მთლიან რაოდენობას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ყოფილი მესაკუთრეები აგებენ პასუხს ბანკის წინაშე თანხის იმ ოდენობაზე, რომლის დაფარვაც გაყიდული პირადი ქონებით ვერ მოხერხდა. 2015 წლის შეფასებით, 100 000-ზე მეტი ოჯახი გაასახლეს თავიანთი საცხოვრებელი სახლებიდან. ნამდვილი ტრაგედია კი ის არის, რომ ამ ადამიანთა უმრავლესობა უმუშევარია და დღემდე აქვთ ბანკის უზარმაზარი ვალი.

მარეგულირებელი წესები ეფუძნება ჩვეულებრივ სწორხაზოვან მიზეზშედეგობრივ კავშირს. დღევანდელი ფენომენი არის მიზეზობრიობის კომპლექსური ქსელების შედეგი, რომელიც მრავალი გამომწვევი ფაქტორი ერთმანეთს ერწყმის; ასეთ შემთხვევებში მოქმედება მხოლოდ ერთ ელემენტზე არა მხოლოდ უშედეგო, არა-მედ ხშირად საკმაოდ საშიშიც კი არის. პოლიტიკამ უნდა განახორციელოს კვანტური ნახტომი იმისათვის, რომ შეიძინოს აზრი პოსტნორმალურ დროში.

ჩვენ სინამდვილეში არ ვიცით, თუ როგორ მოვახდინოთ სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკის ფორმირება პოსტნორმალურ პერიოდში. თუმცა არსებობს სამი ძირითადი პრინციპი, რომლითაც შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ. ჯერ ერთი, ჩვენ უნდა ვალიაროთ, რომ არავინ აკონტროლებს სიტუაციას. ამრიგად, პოლიტიკის შემუშავებისას უნდა იქნეს განხილული და ჩართული სხვა-დასხვა თვალთახედვა და კონკურენტუნარიანი, თუნდაც ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები. მეორე, ჩვენ უნდა გავიაზოოთ, რომ კომპლექსურ გარემოში მმართველობითი მექანიზმი თავისთავად კომპლექსური იქნება. მრავალფეროვნება და მრავლობითობა უნდა იყოს მმართველობის საყრდენი დემოკრატიების არსებობის უზრუნველსაყოფად. მესამე, პოლიტიკა, რომელიც ამ სახელს იმსახურებს, უნდა ითვალისწინებდეს პოზიტიური უკუკავშირის გავლენას. როგორ უნდა გავუმკლავდეთ უამრავ გაუთვალისწინებელ შედეგს? როგორ უნდა აღვუდგეთ წინ ქაოტური რყევებს? მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ პოლიტიკური ქმედების შედეგი, ჩვენ მაინც უნდა გვქონდეს წარ-

მოდგენა მისი პოტენციური შედეგების შესახებ. პოსტნორმალურ გამოწვევებზე პასუხი პოსტნორმალური პერიოდების დინამიკის გაგება, გათავისება და შესაბამისად მოქმედებაა.

დამოწმებული ლიტერატურა

1. Ziauddin Sardar, *Postmodernism and the Other* (London: Pluto, 1998)
2. Ashifa Kassam, “Journalists take fight against Spanish ‘gag law’ to European court”, *The Guardian*, December 15 December 2015, ganxiluli accessed October 3, 2016 <https://www.theguardian.com/world/2015/dec/15/journaliststake-fight-against-spanish-gag-lawto-european-court>

პოსტნორმალური იაპონია

ს. სკოტ ჯორდანი

იაპონიასთან დაკავშირებით არაფერია „ნორმალური“. იაპონია ათწლეულების განმავლობაში დგას შიდა ქაოსის, გაურკვევლობისა და წინააღმდეგობების წინაშე. იაპონიაში პოსტნორმალური დროის გაიგივება ტრადიციის მკვლელობა კი არა, არამედ მისი საზოგადოებიდან კლასიკური ელემენტების სისტემატური გაცხრილვა იყო. იაპონიის პოლიტიკისა და მოქმედებების ექსტრა-პოლაცია ცხადყოფს, რომ ქვეყანამ, პრაქტიკულად, მოახერხა სწორი ორიენტირის მოძიება პოსტნორმალურ დროში.

ის, თუ როგორ განვითარდა ორიენტირების ეს სისტემა, იძლევა ცვლილების კონცეფციის საჭირო გაგებას. წარსულში ცვლილება წარმოადგენდა კონცეფციას, რომლის თანახმად, სახელმწიფოები ყურადღებით აკვირდებოდნენ კონტროლისა და წესრიგის შენარჩუნების ძალისხმევას. იაპონიის რესპუბლიკამ, რომელსაც ამჟამად ეროვნული დევიზი არ გააჩნია, მამაცურად მოირგო პოსტნორმალური პერიოდის ყველა ნიშან-თვისება: ახალი ხვალინდელი დღისკენ მსვლელობისას წარმოქმნილი წინააღმდეგობები, კომპლექსურობა და ქაოსი.

იმის გასაგებად, თუ რატომ არის იაპონია საუკე-

თესოდ მომზადებული პოსტნორმალურ დროისთვის, ჩვენ ჯერ უნდა ვნახოთ, თუ როგორ მოახერხა ქვეყანამ ორიენტირება 3C ისტორიის განმავლობაში.

კომპლექსურობის ილუსტრირება შეიძლება რუბიკის კუბის მაგალითზე. ერთი შეხედვით, არეული პატარა კვადრატებიანი კუბი საკმაოდ რთული მოჩანს. მიუხედავად ამისა, არსებობს შაბლონი, რომლის საშუალებითაც კუბის აწყობა შესაძლებელია, ასეთ დროს კუბის ექვსივე მხარე ერთი კონკრეტული ფერის კვადრატებით დაიფარება. სინამდვილეში რუბიკის კუბი სულაც არ არის რთული, პირიქით – ის საკმაოდ მარტივია. მოდით, ოდნავ შევცვალოთ წესები. პირველი, თქვენ ხართ დალტონიკი, მეორე, კუბის ყოველ შეტრიალებაზე ამავდროულად კეთდება კიდევ ერთი ავტომატური და შემთხვევითი ცვლა.

კომპლექსურობა იაპონიის საზოგადოებისთვის სულაც არ არის უცხო კონცეფცია. იაპონიის ცხოვრება და საზოგადოების სტრუქტურები განმისჭვალულია იერარქიის, ერთგულების, პატივისცემისა და რიტუალების მკაცრი წესებით. იაპონიის ისტორია უფრო მეტად ახლის და გარედან შემოსულის ადგილობრივსა და ძირძველთან შეერწყმის ისტორიაა, რაღაც სრულიად ახლებურის, მაგრამ მაინც ტრადიციული ფასეულობის მატარებელის შესაქმნელად.

ყოველთვის ახალი და მაინც ყოველთვის ზედმინევნით იაპონური. განათლებას კვლავ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ სასწავლო პროგრამებს ემატება ახალი კონცეფციები და სტუდენტებს ეძლევათ

საშუალება, საზღვარგარეთ მიიღონ განათლება და გამოიყენონ მიღებული ცოდნა თავიანთი ქვეყნისათვის. იმპერატორის აბსოლუტურ მმართველობას ავსებს მეტად დასავლური სტილის პარლამენტი, მაგრამ ეს პარლამენტი დემოკრატიის იდეას რიტუალურ პატივისცემასაც უთავსებს. საბოლოოდ, გასამხედროებული საზოგადოების ყველა ელემენტი აღმოფხვრილია, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ წლების შეემნდეგ იქცეს არმიად, რომელიც “მშვიდობასა და მთელი კაცობრიობის უსაფრთხოებაზე” მზრუნველია.

იაპონელები იქცნენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ორგანულ შერწმად. მოდით დავამატოთ დამატებითი დონე ჩვენს ახლა უკვე კომპლექსურ რუბიკის კუბში. თითოეული ცვლის დროს, რომელსაც კუბში აკეთებთ, თითოეულ მხარეს ცხრა კვადრატიდან ერთი შემთხვევითი გზით იცვლება. ქაოსი ახლა ბატონობს პოსტნორმალურ დროებაზე და ყველაზე მცირე ცვლილებებსაც კი შეუძლიათ რადიკალური შედეგების გამოღება.

იაპონიაში ქაოსი დიდწილად გამოვლინდა ძალაუფლებისათვის ბრძოლებში. ძალაუფლების ობიექტმა და მათ, ვინც ძალაუფლებისაკენ მიისწრაფოდა, ბიძგი მისცეს სასტიკ მილიტარისტულ ევოლუციას, რაც მისი საბოლოო გაქრობით დასრულდა. ომისშემდგომი იაპონია საგარეო ინსპირაციისა და ისეთი იდეალების მიღების გავლენის ქვეშ მოექცა, როგორიცაა ეფექტურობა და განვითარება, რაც ძლიერ კონტროლირდებოდა იაპონიის პოლიტიკის მიერ. არც თუ ისე დიდი ხნის წინ გამოლინდა მჭიდრო კავშირი ეკონომიკურ დომინანტობასა

და ეკონომიკურ კატასტროფას, ტექნოლოგიურ ლიდერობასა და გარემოს განადგურებას, ჰარმონიულ მშვიდობასა და მტრულ უსაფრთხოებას შორის.

დავუპრუნდეთ ჩვენი რუბიკის კუბს. თქვენ მიერ გაკეთებული თითოეული სვლის შემდეგ ერთი შემთხვევითი სვლა კეთდება და ასევე ნებადართულია შემთხვევითი კვადრატის ფერის შეცვლა თქვენი ნებისმიერი სვლის შემდეგ. მცირე ზომის კვადრატების შემთხვევითი შეცვლა საშუალებას აძლევს, მაგალითად, კუბს შეიცავდეს ათ წითელ კვადრატს. ეს წინააღმდეგობა, ხელს უშლის თამაშის მიზნის მიღწევას.

წინააღმდეგობები ასევე ნათლად იკვეთება ომის-შემდგომ პარლამენტში, რომელიც, იდეაში, დემოკრატიის ერთ-ერთი უდიდესი წარმატების ისტორია უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანას ბევრი ოპოზიციური პარტია ჰყავდა, მხოლოდ ერთი ლიბერალური დემოკრატიული პარტია (LDP), იყო გამოკვეთილად მმართველი პარტია. მიმდინარე დისკუსია შეეხება წინააღმდეგობას სახელმწიფოს უსაფრთხოებასა და იაპონიის კონსტიტუციის მე-3 მუხლში მოცემულ მკაცრ მანდატს შორის, რომელიც ხელს უშლის მუდმივმოქმედი არმიის ფორმირებასა და შენახვას.

ბიზნესის სამყაროშიც კი იაპონიის მიდგომა კაპიტალიზმის მიმართ წინააღმდეგობაში მოდის დასავლეთის ბიზნეს პროფესიონალების ხედვასთან. კაპიტალიზმი კონკურენციით იკვებება. იაპონური ტრადიცია კი არ მიიჩნევს კონკურენციას სიქველედ. „მონოპოლია“ არ არის სალანდლავი სიტყვა იაპონიაში; თუკი რომელიმე

ბიზნესი აკონტროლებს გარკვეულ ბაზარს, იაპონელები პატივს სცემენ მას და მიმართავენ თავის ბიზნეს საქმიანობას სხვა მხარეს. შიდა კონკურენცია პრაქტიკულად არ არსებობს. ამის ნაცვლად, იაპონური ბიზნესი მსოფლიო ბაზარზე კონკურენციას უწევს სხვა კორპორაციებს გლობალური მასშტაბით.

იაპონიის სანავიგაციო გეგმის სამი ელემენტი იძლევა მნიშვნელოვან ცოდნას პოსტნორმალური ხანის-თვის.

პირველი მათგანი, მარტივი, იაპონური პარლამენტია. ის, რაც დაიწყო როგორც სწავლულთა საბჭო იმპერატორისათვის, გადაიქცა მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე მეცნიერთა აკადემიად, რომელიც იბრძვის იაპონიის ღრმად გამჯდარი რიტუალების დასაცავად. დღეს ეს არის მრავალი ხმის მიერ მართული ორგანო. მიუხედავად იმისა, რომ სხვა საკანონმდებლო ორგანოები, როგორც წესი, შედგება მოქიშპე მხარეებისგან, პარლამენტი რეფორმირებულია ისე, რომ მასში უზრუნველყოფილი იყოს რაც შეიძლება მეტი იაპონელის მიერ მიცემული ხმის წარმომადგენლობა.

იაპონიის პოსტნორმალური ნავიგაციის მეორე ელემენტია გლობალური ცნობიერება. იაპონიამ იცის, თუ რა გავლენას ახდენს ეს მათზე და პლანეტის დანარჩენ ნაწილზე. საკუთრივ იაპონელების გადარჩენა დამოკიდებულია ამაზე.

მესამე ელემენტია შორსმჭვრეტელობა. ეს მარტივად უღერს, მაგრამ საშინაო და საგარეო პოლიტიკის ბა-

ლანსირებისას ძნელია განვრცობილი აწყმოს ჩარჩოებს გარეთ გასვლა. გადარჩენისათვის იაპონია რამდენიმე ნაბიჯით წინ უნდა უსწრებდეს ყველას თავისი პოლიტიკით. როგორც ერი, რომელსაც არ ჰყავს მუდმივი შეიარაღებული ძალები და რომლის მეზობლებიც სწრაფად გადაიქცნენ მძლავრ სამხედრო სახელმწიფოებად, მითუმეტეს, აღორძინებული ისტორიული დაძაბულობის ფონზე, იძულებულია პრიორიტეტი მიანიჭოს საერთაშორისო მშვიდობას. მსოფლიოს წამყვან ეკონომიკურ ძალად ქცევა უფრო მეტს მოითხოვს, ვიდრე საერთაშორისო ბაზრებისა და ფინანსების ჩვეულებრივი გაგებაა.

რამდენადაც პოსტონორმალური პერიოდის ფენომენი კიდევ უფრო აშკარა ხდება, საინტერესო იქნება იმის გაგება, თუ როგორ აყალიბებენ იაპონიის გადაწყვეტილების მიმღები პირები თავიანთ სახელმწიფო პოლიტიკას და ახერხებენ ადაპტირებას სულ უფრო გაურკვეველ გლობალურ გარემოსთან. ახალი ალბათობაზე დამყარებული რუბიკის კუბის აწყობა შეუძლებელია, მაგრამ ამისგან ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ ბევრი რამ საკუთარი თავის შესახებ და იმის თაობაზე, თუ რა გზას უნდა დავადგეთ ამ პლანეტაზე.

ცხოვრება და მუშაობა რელიგიური ტახტის თამაშები

ს. სკოტ ჯორდანი

თქვენ თქვენი მოსაზრებები გაქვთ, მე კი – ჩემი. მანამ, სანამ მე არ გადავწყვეტ შენს მოკვლას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვცხოვრობთ სეკულარულ ხანაში, მაგრამ ღმერთი ყველგანაა. გადაწყვეტილებების მიღების ძალით ღმერთია აღჭურვილი. ჩვენ ისლა გვრჩება გავოცდეთ, თუ რატომ უერთდება უამრავი ახალგაზრდა ქრისტიანულ ევანგელისტურ მოძრაობებს, ან რატომ გადადის „ერაყისა და ალ-შამის (სირიის) ისლამური სახელმწიფოს (ISIS)“ მხარეზე, ანდა უერთდება მსგავს რადიკალურ რელიგიურ ექსტრემისტულ ორგანიზაციებს, რომლებიც დომინირებენ დღევანდელ ჰედლაინებში.

ჯორჯ რ. მარტინის მიერ შექმნილი წიგნების სერია „ცეცხლისა და ყინულის სიმღერა“, გახდა პოპულარული HBO-ს სატელევიზიო სერიალის „სამეფო ტახტის თამაშების“⁽¹⁾ წყალობით. წიგნების სერია პატივს მიაგებს და იკვლევს რელიგიას ისეთი სახით, როგორიც ის რეალურ სამყაროში არსებობს. ამით ავტორი გვაძლევს გონივრულ მინიშნებას ჩვენი საკუთარი სამყაროს რელიგიურთექმედებებსა და მასში წარმოქმნილ წინააღმდეგობებზე.

ეპიზოდში სათაურით „რაც მკვდარია, არ შეიძლება მოკვდეს“, ტირიონ ლანისტერს, ვესტეროსის მეფის მარჯვენა ხელს, ეუბნებიან გამოცანას. „სამი დიდებული ადამიანი ზის ოთახში. მეფე, მღვდელი და მდიდარი. მათ შორის მოთავსებულია ხმალი, რომლის ყიდვაც თითოეულს შეუძლია. თითოეული დიდებული ადამიანი ასახელებს ხმლის ფასს ორი დანარჩენის მოკვლისათვის. ვინ რჩება ცოცხალი? ვინ კვდება? კითხვის ავტორი – ვარისი, პასუხობს ტირიონის დუმილს მისი ბრძნული გაკვეთილით: „ძალაუფლება იქაა დაბინადრებული, სადაც ადამიანები თვლიან, რომ ის არის. ეს ხრიკია, ჩრდილი კედელზე და ძალიან პატარა კაცსაც კი შეუძლია დიდი ჩრდილი შექმნას.“

ვარისმა ახსნა შვიდი სამეფოს პოსტნორმალური დროის მდგომარეობა, მაგრამ ასევე მოგვცა სასიცოცხლოდ მნიშნვნელოვანი საზრდო ფიქრისთვის რელიგიაზე ჩვენს დროში. მართლაც, რაღაც უცნაური მოხდა: სოციალური მედიის, ახალი ამბების სადღელამისო მაუწყებლობის და მყისიერი კომუნიკაციის სხვა ფორმების წყალობით, პატარა მამაკაცებს ახლა უკვე ძალიან დიდი, გლობალური ჩრდილები აქვთ.

განვიხილოთ, მაგალითად, მღვდელი ფრედ ფელფსი და მისი მიმდევრები, ცნობილი, როგორც ვესტოროს ბაპტისტური ეკლესია (WBC). საზოგადოებამ ისინი გაიცნო სამხედრო მოსამსახურეთა და ლგბტ-ს თემის წევრების დაკრძალვის საწინააღმდეგოდ მათ მიერ გამართული ექსტრავაგანტული საპროტესტო აქციების წყალობით. ფელფსის გარდაცვალების დროისთვის, გად-

მოცემით, ამ ეკლესიას სულ 40 მიმდევარი ჰყავდა.⁽²⁾ ფელფსმა მოახერხა ამერიკისა და ზოგადად, მსოფლიოს ყურადღების მიქცევა და ამით უზარმაზარი ძალაუფლება მოიპოვა.

პასტორი ტერი ჯონსი, დოუვ უორლდ ინფორმაციულ-პროპაგანდისტური ცენტრიდან, (ქალაქი გეინსვილი, ფლორიდა) კიდევ ერთი მაგალითია. ის იყო ისლამის წინააღმდეგ განწყობილ მრავალ ქრისტიანთაგან ერთ-ერთი, რომელმაც ერთ დღეს გამოაცხადა, რომ აპირებს ყურანის⁽³⁾ დაწვას. ჯონსის მოქმედებებამ, რომელსაც იმ დროისთვის არ ჰყავდა ორ ათეულზე მეტი მიმდევარი და თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით განპირობებულმა სიჩქარემ, რომლითაც ინფორმაცია გავრცელდა, მისი განზრახვა მაღევე გლობალურ ფენომენად აქცია. რეალურად, ეს ისტორია არ დასრულებულა ჯონსის მიერ ყურანის დაწვით და საერთოდაც, უცნობია ჰქონდა კი მას თავისი განზრახვის განხორციელება დაგეგმილი.

რისი მოწმენიც გავხდით, ეს არ არის, უბრალოდ, პარადიგმის ცვლა, არამედ ფუნდამენტური რეკონსტრუქციაა იმისა, თუ რა ითვლება რელიგიაში ნორმა-ლურად და რა არა. ექსტრემისტების გავლენის გავრცელების არეალის ზრდამ ასევე გაზარდა ფანატიკოსი, პურიტანული და აგრესიული მიმდევრების რაოდენობაც, რომლებიც, ჩვეულებრივ, მხოლოდ პერიფერიებზე არსებობით თუ შემოიფარგლებოდნენ: ექსტრემისტების გავლენა გახდა გლობალური თავისი მასშტაბებითა და მოცულობით.

ბედის ირონიით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მუდმივად ვართ დაკავშირებული ვირტუალურ საზოგადოებებთან, რეალური საზოგადოებები პრაქტიკულად გამქრალია. იმის ნაცვლად, რომ ერთმანეთთან პირისპირ ისაუბრონ, ადამიანები უფრო მეტად არჩევენ კომუნიკაციას ტექსტური შეტყობინებებით, ფეისბუქის, ტვიტერისა და სხვა სოციალური მედიის პლატფორმების საშუალებით. ახალგაზრდები სულ უფრო და უფრო გაუცხოვდნენ. ხანაში, რომელშიც არსმა დაკარგა მნიშვნელობა, ისინი ეძებენ მათი გაუცხოებული, გაურკვეველი და ორაზროვანი ცხოვრების მნიშვნელობას.

ბოლოდროინდელი ჰედლაინები ეხებოდა ახალგაზრდებს, რომლებსაც აერთიანებდა ისლამური სახელმწიფოს მიზნები. ეს არ არის დაჩაგრულთა და გარიყულთა ფენომენი. ეს გლობალური მოვლენაა. ეს ჩვენი პოსტნორმალური დროის მიერ წარმოქმნილი სპეციფიკური პროდუქტია, როდესაც ადამიანის გონებაში წარმოქმნილი ღმერთის ფორმის ხვრელის ამოვსება შეიძლება მხოლოდ რაღაც ძალიან შთამბეჭდავით.

ჰანს კუნგის,⁽⁴⁾ თალალ ასადის⁽⁵⁾ და კარენ არმსტრონგის⁽⁶⁾ ანალიზები წარმოგვიდგენს ვარაუდს იმის შესახებ, რომ რელიგია ხშირად გამოიხატება ზებუნებრივის არსებობის რწმენით: ეს არის არა მხოლოდ ზებუნებრივის რწმენა, არამედ, ასევე მავანის რწმენა, რომ ის აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ფლობს. რელიგია სცდება რწმენის საზღვრებს და იქცევა გადაწყვეტილების მიღების პროცესად; და გარდაუვალად შედის კონფლიქტში გადაწყვეტილების მიღების სხვა პროცესებთან, როგო-

რიცაა, პოლიტიკა, მეცნიერება, სახელმწიფო და სეკულარიზმი. ახლა რელიგია მორწმუნებისთვის დარწმუნების ერთადერთი წყარო ხდება. რელიგიაზე თავდასხმა აღიქმება, როგორც თავდასხმა თვითობაზე, რელიგიურ პრინციპებზე უარის თქმა საზოგადოების მიერ აღიქმება როგორც თვითობის დაკარგვა. თვითობის დაკარგვა კი საშიში რამაა.

პოსტნორმალურ დროში ეს ფენომენი მრავალჯერ განმეორდება: დაკარგული „მე“-ს ციკლი იწვევს უსიამოვნო განცხადებებს, რომელიც უსასრულოდ ტრიალებს სოციალურ მედიაში მანამ, სანამ არ დაარღვევს ტენდენციის ზღურბლს და არ გახდება უკონტროლო. პლატფორმა, რომელიც ხალხის გასაერთიანებლად შეიქმნა, გვაერთიანებს მხოლოდ იმისთვის, რომ კიდევ უფრო დაგვაცილოს ერთმანეთს და ამ პროცესში ანადგურებს ჩვენს მეობას.

პოსტნორმალურ დროში ცალკეული ინდივიდების ქმედებები ერთიანდება ყალბი სტერეოტიპებისა და მზარდი უმეცრების რთულ სასცენო თამაშში. მიუხედავად ამისა, თვით ინდივიდებს შეუძლიათ არსებობა იზოლირებულ ჭიის პარკში: ისინი ითავისებენ მხოლოდ იმ შეხედულებებს, რომლებიც ასახავს მათ საკუთარ მოსაზრებებს და ძალუბთ კომპიუტერის თაგუნაზე ერთი ღილაკის დაჭრით შეიძინონ გეგმების რეალიზებისათვის საჭირო ყველა ცოდნა და უნარი. ამრიგად, თქვენ არსებობთ ხელოვნურად შექმნილ ნორმალურობაში: იქმნება ველი, რომელიც გიქმნით შთაბეჭდილებას, თითქოს ყველა იზიარებს თქვენს შეხედულებებს, ყველა

ფიქრობს ისევე, როგორც თქვენ, ყველა იქცევა ისევე, როგორც თქვენ ან ყველას სურს იყოს თქვენნაირი. და თუ მორწმუნე ხართ, ეს გაფიქრებინებთ, რომ თითქოს ეს ყველაფერი ღვთის ნებაა და ეს არის სწორედ ის, რაც ღმერთს სურს, რომ თქვენ აკეთოთ.

პოსტნორმალური დრო წარმოშობს უმწეობის განცდას რელიგიური და სულიერი მიდრეკილებების მქონე ადამიანებში. სამყაროში, რომელშიც ისედაც ნაკლებად თუ აქვს რაიმეს აზრი, საერთო აზრიც თანდათანობით ორთქლდება. მაგრამ ჩვენი ლტოლვა აზრის პოვნის მიმართ იზრდება და ჩვენ ხშირად ვპოულობთ მას ყველან, სადაც კი ვეძებთ. და რწმენა ხშირად იგივდება იდენტობასთან ან მნიშვნელობასთან. ეს თვითმყოფადობის დაკარგვაა, რომელიც სინამდვილეში კი არ წარმოქმნის კუთვნილებისა და აზრის მიცემის ჭეშმარიტ გრძნობას, არამედ რეალურად ზრდის გაუცხოებას.

მიუხედავად ამისა, არასდროს ყოფილა მოთხოვნილება ჭეშმარიტი რელიგიური და სულიერი ფასეულობების მქონე ხალხსა და თემებზე ისე, როგორც ახლა. პოსტნორმალური დროის მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა მოითხოვს ისეთ ძველმოდურ რელიგიურ ღირსებებს, როგორიცაა თავმდაბლობა, მოთმინება, სიყვარული, თანაგრძნობა და კომპრომისზე წასვლის მზადყოფნა. მე ვფიქრობ, რომ რელიგიის მიზანი კი არ უნდა იყოს ზებუნებრივი ძალის მიმართ საკუთარი რწმენის უკვდავყოფა, არამედ ის უნდა მოუწოდებდეს სიყვარულის და თანაგრძნობის გამოხატვას და სხვების მსახურებას. პოსტნორმალური დროის მრავალფეროვნების და

მრავალნახნაგობის გადალახვა შესაძლებელია მხოლოდ იმის აღიარებით, რომ სხვების რწმენა ისეთივე მნიშვნელოვანია მათვის, როგორც ჩვენი რწმენა ჩვენთვის. უპირველეს ყოვლისა, რელიგია უნდა დაუპირისპირდეს ყველა სახის უმეცრებას და განიხილოს გაურკვევლობა არა როგორც საფრთხე, არამედ როგორც უფრო სასურველი მომავლის ფორმირების შესაძლებლობა.

საშური ოპტიმიზმი წარმოჩენილია ინიციატივაში, რომელიც დანიაში ცნობილია „ტერორისტთან ჩახუტების“ სახელწოდებით, როდესაც მოქალაქეები განდევნის მაგივრად, გულთბილად ხვდებიან და რეაკლიმატიზაციაში ეხმარებიან სირიაში ISIS-თან შეერთებისთვის გაქცეულ მათ ახალგაზრდებს.⁽⁷⁾

პოსტნორმალურმა დრომ გახადა ეს 140 გამოგონილი პიროვნება ისეთივე გავლენიანი, როგორიც ნებისმიერი ციტატა თქვენთვის სასურველი რელიგიური ტექსტიდან. ჩვენ ვუბრუნდებით ვარისის გამოცანას და ვძჭობთ, თუ ვინ მოკვდება და ვინ გადარჩება. და იძულებულები ვიქნებით ვიკითხოთ: სად გვინდა რომ სუფევდეს ძალაუფლება მომავალში?

დამოწმებული ლიტერატურე

1. George R. R. Martin, *A Game of Thrones (A Song of Ice and Fire, Book 1)*, (New York: Harper Voyager, 2014); Home Box Office, New York, 2012.
2. Michel Paulson, “Fred Phelps, Anti-Gay Preacher Who Targeted

Military Funerals, Dies at 84”, The New York Times, March 20, 2014.

3. Paul Harris and Paul Gallagher, “Terry Jones defiant despite murders in Afghanistan over Qur'an burning”, The Guardian, April 2, 2011.
4. Hans Küng, Theology for The Third Millenium: An Ecumenical View. Translated by Peter Heinegg (New York: Doubleday, 1988).
5. Talal Asad, Genealogies of Religion: Discipline and Reasons of Power in Christianity and Islam (Baltimore, MD: The Johns Hopkins University Press, 1993), pp. 2-27 .
6. Karen Armstrong, The Great Transformation: The Beginning of Our Religious Traditions (New York: Random House, 2006), pp. 3-48.
7. Hanna Rosin, “How A Danish Town Helped Young Muslims Turn Away From ISIS.” NPR. July 15, 2016.

ისლამის მომავალი პოსტნორმალურ დროში

ზიაუდდინ სარდარი

პრელუდია

დღევანდელი ისლამური დისკურსი მეტწილად მომავლის შესახებ განსჯისგან თავისუფალი ზონაა. მომავალი არის თემა, რომელიც უნდა აღელვებდეს თითოეულ მუსლიმს. მიუხედავად ამისა, მუსლიმურ წრეებში საუბარი მომავალზე აშკარად არ მიმდინარეობს.

რატომ ხდება ასე? ამას ხელს უწყობს ისიც, რომ, ფაქტობრივად, არ არსებობს სამეცნიერო ნაშრომები ისლამისა და მუსლიმური საზოგადოებების მომავლის შესახებ, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება საუბრის წამოწყება. არსებობს რამდენიმე წიგნი, რომლის სათაურშიც გვხდება სიტყვა „მომავალი“, მაგრამ ტერმინი „მომავალი“ მხოლოდ დანართია. არ არის აღიარებული, რომ „მომავალი“ წარმოადგენს შესწავლის განვითარებულ და დახვეწილ დარგს.

იმ წიგნის სახით, რომლის შინაარსიც შეესიტყვება მის სათაურს, ჩვენ უნდა განვიხილოთ ვილფრიდ სკავენ ბლანტის „ისლამის მომავალი“. ⁽¹⁾ ბლანტი ეხებოდა მუსლიმ საზოგადოებებში არსებული გარკვეული ტენდენციებს; ისინი მიუთითებდნენ კონკრეტული მომავლისკენ.

ბლანტი აკეთებს მომავალის პერსპექტივებზე დაფუძნებული ანალიზის ძირითადი შემადგენლების ილუსტრირებას. საქმე ეხება ცვლილებასა და ამ ცვლილების სიჩქარეს. საუბარია ტრენდების გაგებასა და მათ ექსტრაპოლაციაზე იმის დასანახად, თუ როგორი მომავლის მოტანა შეუძლია მათ. ასევე ეს ეხება აწმყოში ისეთი პოლიტიკის შემუშავებასა და ქმედებების განხორციელებას, რომლებიც ხელს უწყობს სასურველი მომავლის დადგომას.⁽²⁾ ბლანტი ასევე აკეთებს კიდევ ერთი საკვანძო მომენტის ილუსტრირებას: თუკი მუსლიმები არ ჩაერთვებიან საკუთარ მომავალზე ფიქრის და მომავლის ფორმირების პროცესში, სხვები ამას სიხარულით გააკეთებდნენ მათ მაგივრად.⁽³⁾

ამჟამინდელი ჩიხიდან გამოსვლის ერთადერთი გზა გრძელვადიანი მომავლის შესახებ გაბედული აზროვნებაა. ჩვენ უნდა დავადგინოთ გზა სასურველი მომავლისკენ, განვავითაროთ ცვლილებების მართვის პროგნოზირების გაგება და სისტემატურად ვიმუშაოთ სასურველი მიზნების მისაღწევად. ყველაზე მეტად, ჩვენ გვჭირდება ინტელექტუალური გამბედაობა და წარმოსახვა, რათა წარმოვიდგინოთ ის, რაც მანამდე წარმოუდგენელი იყო; შევიმუშაოთ იდეები, რომლებიც აქამდე განიხილებოდა, როგორც ერეტიკული ან უკიდურესი და განჭვრიტოთ ალტერნატიული გზები იმისა, თუ რას ნიშნავს იყო მუსლიმი უახლოეს ათწლეულებსა და საუკუნეებში.

მომავლის განსაზღვრა

კონკრეტულად რას ვგულისხმობ „მომავლისკენ მიმართულ ცნობიერებაში“? მე ვგულისხმობ დაჩქარებული

ცვლილების გაცნობიერებას, არც თუ ისე შორეული მომავლის პორიზონტს მიღმა შეფარულ პოტენციური შესაძლებლობებისა და მახეების გააზრებას, და სასურველი მომავლის ფორმირებისკენ სწრაფვას.

მომავალზე ფიქრი შემაშინებლად რთულია. მომავალი უცნობია; და მუსლიმურ ტრადიციებში მომავალი, მეტწილად, „ლმერთის ნების“ სფეროსთვისაა მიკუთვნებული. სირთულე კიდევ უფრო მძიმდება იმ ფაქტის გამო, რომ სინამდვილეში, მომავალი არ არსებობს: ეს ყოველთვის არის დრო, რომელიც ჯერ კიდევ არ დამდგარა. ამასთან, მხოლოდ იმის გამო, რომ მომავალი არ არსებობს, და სინამდვილეში შეიძლება ვერც დადგეს, არ ნიშნავს იმას, რომ არ შეგვიძლია მისი შესწავლა, მის შესახებ იდეების, წარმოსახვების და მეტაფორების შემუშავება და ასევე მისი მიმართულებების გაგება და ფორმირების ცდა. მომავალი შეიძლება იყოს მიუწვდომელი და გაურკვეველი, მაგრამ ეს ის სფეროა, რომელზეც შეიძლება ვიქონიოთ გარკვეული ძალაუფლება.

როგორ შეგვიძლია, პროაქტიურად ჩამოვაყალიბოთ დღევანდელიდან ერთი და ორი თაობის შემდგომი მუსლიმური საზოგადოებების მომავალი, დღეიდან ოცი ან ორმოცი წლის შემდეგ?

ჩვენ გვჭირდება ორი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ჩვენ გვჭირდება იმის გააზრებული სურათის წარმოსახვა, თუ როგორი მომავლები გველის, თუკი ყველაფერი ისევე გაგრძელდა, როგორც დღეს არის. ჩვენ გვჭირდება ალტერნატიული მომავლების სურათის, ხედვის გონიერაში შექმნა: იმ მომავლისა, რომელიც გვსურს და

რომელსაც უპირატესობას ვანიჭებთ. ორივე მოითხოვს შემოქმედებით მიდგომას და წარმოსახვას; თითოეული მიდგომისათვის არსებობს სხვადასხვა ტიპის მეთოდი.

წარსულისთვის ადგილის მიჩენა

ჩვენი მომავალი ასევე იმ გადაწყვეტილებების პროდუქტია, რომელსაც წინაპრები იღებდნენ წარსულში. ყველა საზოგადოებას აქვს ცოცხალი ისტორიები, რომლებიც ხშირად ტრადიციებადაა აღწერილი. სწორედ ეს ტრადიციები აყალიბებს მათ იდენტობას. მომავალი იდენტობის გარეშე სულაც არ არის მომავალი. თუმცა, ჩვენი ისტორიის ყველა მონაცემი როდი იქნება ჩვენს მომავლის შემადგენელი ნაწილი.

განვიხილოთ აგრეთვე იდეა, რომლის მიხედვითაც „ისლამი ცხოვრების სრულყოფილი სტილია“. ამ განაცხადში იგულისხმება ის, რომ ეთიკის, ზნეობის, კანონის, მართვის და ასევე კაცობრიობის ცხოვრების ყველა საკითხი ისტორიის მსვლელობისას მოგვარდა. თუ ეს ასეა, მაშინ ეთიკური და მორალური ევოლუცია, სამართლის განვითარება და ადამიანის აზროვნების სხვა საკუანძო სფეროები ჩიხში შევიდოდა.

ისინი (ჩვენ) ვართ პასუხისმგებელნი იმ ფაქტის გამო, რომ მუსლიმური საზოგადოებები საუკუნეების განმავლობაში თავისუფლად გადაადგილდებოდნენ ერთი არასასურველი მომავლიდან მეორეზე; ამგვარი მოძრაობა წარმოადგენს ყველაზე სერიოზულ საფრთხეს სიცოცხლისუნარიანი და უფრო ნაყოფიერი მომავლის ჩამოყალიბებისთვის.

მუსლიმური ისტორია ასევე სავსეა განმათავისუფლებელი პოტენციალის მქონე ცნებებით, რომლებიც გზას უხსნის მომავლის მრავალ ალტერნატივას. ალბათ, ყველაზე პროაქტიური იდეა, რომელიც გულისხმობს მუდმივ ურთიერთქმედებას აწმყოსთან, ისე როგორც მომავალთან, არის იჯთიპადი, რომელიც, ჩვეულებრივ, ითარგმნება, როგორც „დამოუკიდებელი განსჯა“. ცხადია, განსჯა არ არის ის, რაც ერთხელ და სამუდამოდ შეიძლება გაკეთდეს; და სწორედ მას მივყავართ ხშირად ინოვაციამდე. ეს არის შესაძლო, სავარაუდო და სასურველ მომავლებთან დაკავშირებული თამამი და კრეატიული მიდგომა.

ჩვენ, აგრეთვე, შეგვიძლია დავინახოთ მომავლის გააზრება მუპამად შუამავლის (ს.ა.ს) ცხოვრებაში. მაგალითად, მან აკრძალა ხეების მოჭრა და ველურ ცხოველებზე ნადირობა ქალაქების გარშემო ტყეებში, რადგან ისინი უზრუნველყოფდნენ ადამიანებს და ცხოველებს საკვებით და იცავდნენ ქალაქებს მწვანე სარტყელით. ჰიჯრა გულდასმით იყო დაგეგმილი და მიგრაციის გზა სისტემატურად ზუსტდებოდა თვეების განმავლობაში. შუამავალმა ასევე განჭვრიტა კურაიშელთა მოსალოდნელი ჯანყი მის წინააღმდეგ. ხანდაკის (თხრილის) ბრძოლამდე რამდენიმე თვით ადრე, შუამავალმა განჭვრიტა მოახლოებული კონფლიქტი და მოემზადა მედინის დასაცავად ქალაქის ირგვლივ თხრილის გათხრით და ფაქტობრივად, ამით მოახდინა უფრო დიდი კონფლიტის პრევენცია.

მე ვიტყოდი, რომ ისლამი, თავისი არსით, მომა-

ვალზე ორიენტირებულია; და დაუინებით მოითხოვს, რომ მორნმუნებმა აქტიურად ჩამოაყალიბონ თავიანთი მომავლის პერსპექტივები.

აწყმოსთვის ადგილის მიჩნა

მოცემული მომენტი ისტორიაში – ახლა – არის აწყმო; და მას ბუნებრივი როლი აქვს ჩვენი მომავლის განსაზღვრაში. მაგრამ აწყმო არ არის სტატიკური. სინამდვილეში აწყმო მუდმივად იცვლება. ასე, რომ ჩვენ უნდა აღვიქვათ აწყმო, როგორც დინამიკური, ცვალებადი და მუდმივად თანამედროვე რეალობის ახალი ელემენტებისა და სიტუაციების შემცველი. არსებობს დინამიკური აწყმოს ხუთი განსხვავებული ელემენტი, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია მდგრადი მომავლის ფორმირებისათვის.

პირველი: აშკარა ფაქტია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ გლობალიზებულ სამყაროში. მეორე: პრობლემები, რომელთა წინაშეც დღეს ვდგავართ, არ არის მარტივი. მესამე: ჩვენ მუდმივად ქაოსის ზღვარზე ვდგავართ.⁽⁴⁾ მეოთხე: აწყმო სავსეა წინააღმდეგობებით და მათი მოგვარება შეუძლებელია; შესაძლებელია მხოლოდ მათი გადალახვა. მეხუთე: გაურკვევლობა არის ნორმა.⁽⁵⁾

არსებობს სხვა ვარიანტებიც: შესაძლო მომავლები – სხვადასხვა შესაძლებლობების ამაღლვამა, რომელთა წარმოდგენაც ჩვენ შეგვიძლია. სავარაუდო მომავლები ანუ მომავლები, რომელთაც ვსახავთ იმ მიმდინარე პირობებისა და ისტორიული დინაკიმის გათვალისწინებით, რომელთაც რეალიზების აღბათობა მაღალია. და სასურველი მომავლები, რომელთა დადგომაც მართლაც

გვსურს და რომლისკენაც შეგნებულად მივიღტვით.

მომავლებისთვის მომზადება

დავუშვათ, რომ შემთხვევითი პრინციპით შერჩეულ მუსლიმებს ვკითხეთ, თუ როგორ მომავალს ხედავენ ისინი თავიანთი საზოგადოებებისათვის. მათ უმრავლე-სობას უეჭველად სურს მომავალი, რომელიც თავისუფა-ლი იქნება სექტანტობისა და სამოქალაქო არეულობე-ბისგან, ძალადობისა და ტერორისგან, წამებისა და სი-სასტიკისაგან. მათ სურთ მომავალი, რომელშიც მათ შვილებს შეეძლებათ გაიზარდონ ჯანსაღი და წარმატე-ბულნი, სადაც საზოგადოება ჰარმონიაშია სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანებთან და ეროვნულ უმცირესო-ბებთან ან იმათთანაც კი, ვისაც მცირედი რწმენა აქვს ან საერთოდ ურწმუნოა.

წინ წაწევისათვის ჩვენ გვჭირდება ახალი ბაზა. ეს კი ჩვენგან მოითხოვს ადამიანის ისლამურ დისკურსში დაბრუნებას. შუამავლი არ აღიქმება, როგორც ადამიანი, არამედ იმის საწინააღმდეგოდ, რაც ყურანში წერია, ის აღიქმება, როგორც ზეადამიანი, რომლის ყველა მოქმე-დება არის სრულყოფილი და უკანასკნელ წვრილმანებამ-დე მისაბაძი. პრობლემა ისაა, რომ თუ ყველაფერი ღმერ-თის მიერ არის ბოძებული, მაშინ ადამიანის ძალისხმევა და წარმოსახვა არ თამაშობს არანაირ როლს. მორწმუნე-ებს არ აქვთ ნების თავისუფლება. არ არსებობს რელიგი-ური აზრის და მორალის ევოლუციის მექანიზმი, ჩვენი დროისთვის ახალი ეთიკის ჩამოყალიბების გზა.

ბედის ირონიით, სწორედ ისინი, ვინც ყველაზე მე-ტად შეშფოთებულნი და შეპყრობილნი არიან „ისლა-

მით“, მკერდზე მჯიღს იშენენ და ხმამაღლა გაჰყვირიან „ისლამის დაცვის“ და „ისლამური შარიათის“ შესახებ, დაუინებით მოითხოვენ თავიანთი იდენტობის პოლიტიზირებას და გამოხატავენ ამას მკვეთრად და აშკარად (ნიკაბით, ჰიჯაბით ან გრძელი წვერით), სინამდვილეში წარმოადგენენ ყველაზე დიდ საფრთხეს ისლამისა და მისი მომავლისთვის.

არსებობს ორი წინაპირობა, სასურველი, მიზანშეწონილი და სიცოცხლისუნარიანი მომავლისთვის მზადებისა და მუშაობისათვის. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მიზანი, რომელსაც მუსლიმები ყველაფერზე მეტად აფასებენ: მრავალფეროვანი საზოგადოებისა და არაერთგვაროვანი მსოფლიოს ხალხისთვის ერთი ჭეშმარიტების თავზე მოხვევა. მეორე, ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ შარიათი, ეს არის ადამიანური კონსტრუქცია, რომელის არ არის დაცული ადამიანური შეცდომებისგან ისტორიაში.

კოდა

ისლამური საზოგადოებებისათვის სასურველი და ღირსეული მომავლისაკენ ჩვენს მისწრაფებაში ჩვენ უნდა ვუზრუნველყოთ ის, რომ მომავალი იქნება ღია ყველა პოტენციური და განსხვავებული შესაძლობებისთვის. ჩვენ არ ველოდებით მანამ, სანამ რაღაცები შეიცვლება, არამედ აქტიურად ვცვლით რაღაცებს და ამგვარად ვქმნით ისტორიას.

ისლამური თვალსაზრისით, მომავალზე მსჯელობისათვის ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს შესატყვისი ენის არარსებობა. ენა არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებაა: ის ასევე ინსტრუმენტია, რომლის მეშვეო-

ბითაც განიხილება გადარჩენისთვის აუცილებელი სოცი-
ალური და კულტურული მოთხოვნილებები. ამრიგად,
გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს ისლამური დის-
კურსის ჩართვა მომავალზე ორიენტირებულ ცნობიერე-
ბაში და ენის შემუშავება, რომელიც უზრუველგვყოფს
მოტივაციით ვიყუროთ წინ და არა უკან.

დამოწმებული ლიტერატურა

1. Wilfred Scawen Blunt, *The Future of Islam* (London, 1882); reprinted by Sind Sagar Academy, Lahore, 1975. ყველა ციტა-
ტა მოყვანილია ამ გამოცემიდან.
2. ix. Ziauddin Sardar, *Future: All that Matters* (London: Hodder, 2013), მომავლის შესწავლის ზოგადი შესავლისთვის.
3. უფრო დეტალურად, თუ როგორ შეიძლება მომავლის კო-
ლონიზება, იხ. Ziauddin Sardar, “Colonising the Future: The
‘Other’ Dimension of Future Studies”, *Futures* 25 (3), 1993 და
“Other
4. *Futures: Non-Western Cultures in Futures Studies*” in Richard
A. Slaughter (editor), *The Knowledge Base of Future Studies:
Directions and Outlook* (vol. three), DDM Media Group/Futures
Study Centre, Hawthorn, Victoria, 1996; and Ziauddin Sardar,
editor, *Rescuing All Our Futures: The Future of Future Studies*
(London: Adamantine Press; Westport, CT: Praeger Publishers,
1998).
5. უფრო მეტი ანალიტიკური ახსნისათვის იმის თაობაზე,
თუ რა მოხდება „ქაოსის ზღვარზე“ იხ. Ziauddin Sardar,
Introducing Chaos (Cambridge: Icon Books, 1998), იხ. ასევე
“What Chaos? What Coherence? Across the River I Called” in

- Mika Mannermaa, Sohail Inayatullah and Rick Slaughter (Eds.), *Coherence and Chaos in Our Uncommon Futures: Visions, Means, Actions* (Turku: Finland Future Studies Centre, 1994) and “Conquests, Chaos, Complexity: The Other in Modern and Postmodern Science”, *Futures* 26 (6), pp. 665-682 (July/August 1994).
6. ob. Gabriele Bammer and Michael Smithson (Eds.), *Uncertainty and Risk: Multidisciplinary Perspectives* (London: Earthscan, 2008)

გეცნიერება და გეცნიერები პოსტნორმალურ დროში

ჯერომ მ. რავეცი

კარგადაა ცნობილია, რომ ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები რევოლუციურად გარდაქმნიან სფეროების უმრავლესობას. მრავალი დარგის სამეცნიერო-კვლევითი შესაძლებლობები გაუმჯობესებული და ტრანსფორმირებულიც კია. ესენი მნიშვნელოვანი ახალი მოვლენებია, მაგრამ არა აუცილებლად მეცნიერების „ახალი ფორმები“. აქ ჩვენ განვიხილავთ პრაქტიკებსა და სტრუქტურებს, რომლებიც თვალსაზიერში ხვდებიან, იწვევენ გაკვირვებასა და შემფოთებას და რომლებიც ფლობენ სწრაფი ცვლილებების გაგრძელების საკუთარ იმპულსს.

ისტორიული ფონი

დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინ მეცნიერებმა გააცნობიერეს ის, რომ ყველაფერი შეიცვალა. მეცნიერების ამჟამინდელი მდგომარეობა ელვის სისწრაფით იცვლება. წინა პერიოდის მეცნიერების ცვალებადი თვითცნობიერება შეხსენებაა იმისა, რომ მეცნიერების სოციალურ – ტექნიკური სისტემის ინტელექტუალური და მატერიალური ასპექტები მჭირდოდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

მეცნიერება იქცა „ინდუსტრიალიზებულად“ რამდენიმე თვალსაზრისით: საერთო მასშტაბით, ცალკეული

საწარმოების მასშტაბით და მრეწველობასთან სულ უფრო მჭიდრო ურთიერთობებით. იგი ასევე გახდა „ინკორპორირებული”,⁽¹⁾ ანუ სხვადასხვა გზებით არის ჩართული სახელმწიფოს საქმეებში. გარკვეულწილად, მეცნიერებს გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ მათ სთხოვდნენ „ხელისუფლებისთვის სიმართლის“ თქმას, მაშინ როცა მათ კლიენტებს ხშირად სურდათ „პოლიტიკაზე დაფუძნებული მტკიცებულებების“ მიღება. ფართო საზოგადოებასთან მიმართებით, კვლევის მანიპულაციები და გადაცდომები, რომლებიც ახლა ნაცნობია მომგებიან ინდუსტრიასთან დაკავშირებით, ასახულია სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებების ნაკლებად თვალსაჩინო, მაგრამ თანაბრად მნიშვნელოვან პრაქტიკებში.

სამეცნიერო საქმიანობის სტრუქტურები

დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ძველი წარმოდგენა „მეცნიერზე“, რომელიც აკეთებს აღმოჩენას და შემდეგ მას გადასცემს საზოგადოებას, უკიდურესად გამარტივებულია. პირველ რიგში, არსებობს კვლევაში ჩართვის ან კვლევის მხარდაჭერის შესაძლო სხვადასხვა მოტივაციები. ის საწყისი მოტივაცია არის მხოლოდ პირველი ნაბიჯი იმ სირთულეებისა და გაუგებრობის მრავალჯერად ციკლში, რომელიც თან სდევს დებატებს მაშინ, როცა მეცნიერება ჩართულია პოლიტიკაში.

რაც შეეხება ჩვენს მიმდინარე პრობლემებს, დღეს ხარისხმა შეცვალა ჭეშმარიტება, როგორც მეცნიერების ეფექტურმა სახელმძღვანელო პრინციპმა. ეს მოითხოვს ეთიკურ ვალდებულებას, რაც უნდა იქცეს ნორმად ნებისმიერი ინსტიტუციის მმართვის ყველაზე მაღალ დო-

ნები. ამის არარსებობას აუცილებლად მოჰყვება კო-რუფცია და უშინაარსო გამოკვლევები.

პიროვნებები

სულ უფრო მეტად აღიარებული ხდება ის მოსაზრება, რომ პოლიტიკის წარმართვასთან დაკავშირებული მეცნიერება უკეთესი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ადრე-ულ ეტაპზე კვლევა დაეყრდნობა უფრო ფართო გამოცდილებას, ვიდრე პოლიტიკოსების, სამეცნიერო მრჩევლებისა და ექსპერტების გამოცდილებაა. მოქალაქეების ჩართულობა სულ უფრო მიღებული, სასურველი და სა-სარგებლოც ხდება. საყოველთაო სამეცნიერო კვლევებში არსებობს მოყვარულთა მიერ წვლილის შეტანის დიდი ხნის განმავლობაში არსებული უწყვეტი ტრადიცია, თუმცა უახლოეს წარსულში მათი როლი დაყვანილ იქნა უფრო დაბალი სტატუსის მქონე ასისტენტებამდე. ამავ-დროულად, მათი აქტიური ჩართულობა სულ უფრო იზ-რდება. შედეგად, „მეცნიერის“ სტატუსი თანდათანობით ბუნდოვანდება.

პროცედურები

ცვლილების მსგავსი სახის პროცესი, რომელიც სხვადასხვაგვარად განიხილება, როგორც ეროზია ან დე-მოკრატიზაცია, ზემოქმედებს პროცედურებზე. დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა საერთო რწმენა სამეცნიერო მეთოდისა და მისი პროცედურების შესახებ, რომლების წყალობით მეცნიერება იძლეოდა უტყუარ პასუხებს. გაურკვევლობის, შემდგომ კი ცოდნისა და პოლიტიკის კომპლექსურობის ზრდასთან ერთად, ამ მოტივაციის მომცემმა რწმენამ თანდათან დაკარგა დამაჯე-

რებლობა. ლოგიკურად არამცდარი მეთოდის წარმოდგენის უუნარობამ გააღმავა სირთულეები. რაც შეეხება მოდელებს, საუკეთესო, რაც შეიძლება ითქვას, ეს არის კლასიკური „ყველა მოდელი არასწორია; მაგრამ ზოგი მათგანი სასარგებლოა.“ თუმცა, როგორც ჩანს, სამეცნიერო წრეები კარგად აცნობიერებენ ამ პრობლემების არსებობას. ამან შეიძლება ერთდროულად გამოიწვიოს ურთიერთსაპირისპირო შედეგები: მოახდინოს რეფორმირების სტიმულირება და გააძლიეროს ცინიზმი.

საკუთრება

წინა ეპოქაში საკუთრების სოციალური ურთიერთობები არ იცვლებოდა დიდი სისწრაფით; მიმდინარეობდა ტრადიციული „საზოგადოებრივი ცოდნის“ უწყვეტი ჩანაცვლება იმით, რასაც ჩვენ „კორპორატიულ ნოუ-ჰეის“ ვუწოდებდით. თუმცა, ახლახანს მოხდა ინტელექტუალური საკუთრების მართვაში ღრმად პარადოქსული ვითარების აღიარება. ახლახანს მივიღეთ გაფრთხილება იმის თაობაზე, რომ სფეროს პროგრესი სერიოზულადაა შეფერხებული საკუთრების უფლების ეკალ-ბარდებით, რომლებიც აკრავს კვლევისათვის აუცილებელი ცოდნისა და ტექნიკის სხვადასხვა ერთეულებს.

საჯაროობა

ინოვაცია კიდევ უფრო სწრაფია საჯაროობის ფაზაში, რომელიც საერთო ჯამში არის მეცნიერებისათვის სასიცოცხლო ძალის მიმცემი და რომელიც ინფორმაციისაგან შედგება. რაც მნიშვნელოვანია მეცნიერების თვითშეგნებისათვის, არის უეცარი აღმოჩენა იმისა, რომ სინამდვილეში არსებობს საჯაროობის ღრმად პრობლე-

მატური პოლიტიკური ეკონომიკა. სამეცნიერო პუბლიკაცია არ არის უფასო და არც განსაკუთრებით იაფი. ციფრულ ხანაში ხარჯებისა და ანაზღაურების პრობლემები, რომლებითაც უკვე დაზარალდნენ კრეატიული ინდუსტრიები, მოულოდნელად შეეხო მეცნიერებასაც. ციფრული ფორმატში პუბლიკაციის წყალობით მიმდინარე ძიებამ ახლა შეიძლება მოხვდეს საზოგადოების კომუნალური დიალოგის და განვითარების უწყვეტი ნაკადის ცენტრში, რომლის დროსაც, მოსახერხებელი რომ იყოს, შესაძლებელია მოხდეს „პროდუქტის“ დროებითი კრისტალიზაცია.

ხარისხის გარანტია

ახალი ტექნოლოგიების გავლენა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლზე კიდევ უფრო დრამატულია. ტრადიციულად, მეცნიერების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები მოქმედებდა მეტნილად არაფორმალურად და კონფიდენციალურად. როგორც საკუთრივ ვიკიპედიამ აჩვენა, ყველა სარედაქციო პროცესი შეიძლება იყოს მოსახერხებელიც და გამჭვირვალეც. ის რაც იყო ჩაკეტილი ინსტიტუცია, რომელიც საზოგადოების ყურადღებას და საგამოძიებო უურნალისტიკის მხრიდან ინტერესს ნაკლებად იმსახურებდა, ახლა თანდათანობით იხსნება.

შედეგები

ციკლის ბოლოსკენ ვხედავთ შედეგებს. ტრადიციულად ივარაუდებოდა, რომ მეცნიერების შედეგები უმეტეს შემთხვევაში არსებითად დადებითი და პრაქტიკაში აბსოლუტურად ნაყოფიერი უნდა ყოფილიყო. ამიტომაც, მეცნიერს შეეძლო სუფთა სინდისით გადაეცა თავისი

კვლევის შედეგად მიღებული პროდუქტები საზოგადოებისათვის. ახლა შედეგების პრობლემა მიიჩნევა გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონედ როგორც ახალი ტექნოლოგიების ირგვლივ არსებულ პოლიტიკურ დისკუსიებში, ასევე უფრო ფართო პოლიტიკურ დებატებშიც. ჩვენ ვიგებთ, რომ მეცნიერება ნამდვილად შევიდა ახალ ეპოქაში, როდესაც სამეცნიერო მოღვაწეობის ნეგატიური მაგალითები შესახებ აღიარებული იქნა შესწავლის ღირსად, როგორც ლიბერალური განათლების ნაწილი მეცნიერებაში.

პოსტნორმალური დროის მეცნიერების როლი

სამყაროს ცვლილების პროცესში ცნობიერება ყოველთვის ჩამორჩება პრაქტიკას. ამ ახალ პირობებში მეცნიერების ახალი იდეოლოგიის შემუშავება გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს, რადგან კორუფცია სამეცნიერო სფეროში საკმაოდ წინაა წასული. არ არსებობს გარანტია იმისა, რომ მეცნიერება იმ სახით, როგორითაც ჩვენთვის არის ცნობილი, გადარჩება.

იმის გამო, რომ სამეცნიერო განათლების მიღების დროს სტუდენტები მთლიანად დაცულნი არიან ამგვარი პრობლემებისგან, ისინი დეზორიენტირებულნი ხდებიან, როდესაც ამას პირველად წააწყდებიან პრაქტიკისაში. როდესაც ისინი ცდილობენ გაუზიარონ კოლეგებს თავიანთი წუხილი, მათ ხშირად გაურბიან, როგორც არაკომფორტული ცოდნის მატარებლებს. მრავალ შემთხვევაში, პოსტნორმალური მეცნიერების შესახებ თეზისი განთავისუფლების სამსახურში დგას.

პოსტნორმალური დროის მეცნიერება უხსნის გზას

მრავალ პერსპექტივას: შეცდომის უფლებას, უმეცრები-სა და თავმდაბლობის გაცნობიერებას. თავისი მარტივი საკვანძო იდეებით, ის საშუალებას გვაძლევს დავინა-ხოთ, თუ როგორ შეუწყო ხელი მეცნიერების ჩამოყალი-ბებულმა ხატმა ვიწრო აზროვნებას, შეუწყნარებლობასა და სიამაყეს. ამ თვალსაზრისით, მეცნიერება, როგორც ინსტიტუტი, იძულებულია შეხედოს საკუთარ თავს რეა-ლისტურად და არა იდეოლოგიური სათვალეების საშუა-ლებით. შესაძლებელია, კიდევ იყოს მცირე მანძილი გა-სავლელი ამ გზაზე მომავალში.

დამოწმებული ლიტერატურა:

S. and H. Rose, *Science and Society* (London: Allen Lane, 1969).

პრეატიულობა და ლიდერობა პოსტნორმალურ დროში

ალფონსო მონტუორი და გაბრიელ დონელლი

შესავალი

კოპლექსურობა, პლურალიზმი და ცხოვრების გაურკვევლობა დამთრგუნველად მოჩანს. წარმოსახვა და მისი უფრო ფართო მოცულობის დამცავი ქოლგა, კრეატიულობა, აუცილებელია იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ „ჩვენი გამოსავალი პოსტნორმალური დროიდან”. კრეატიულობა მომხიბლავი, მარგინალური, უცნაური და აუხსნელი ფენომენიდან გადაიქცა სოციალური ცვლილებებისა და ტრანსფორმაციის dრავად.

გარდამავალ დროში, ისეთში, როგორიც ჩვენი დროა, ჩვენ უნდა გვესმოდეს, თუ საიდან მოვედით და როგორ ჩამოგვაყალიბა ჩვენმა დრომ. ეს უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ვიმოძრაოთ წინ განსხვავებული მომავლისაკენ.

ისტორიული ფესვები

1980-იან წლებამდე დასავლეთში კრეატიულობის შესახებ კვლევები, უმეტესწილად, ფსიქოლოგის სფეროს ფარგლებში მიმდინარეობდა. ძირითადი ყურადღება

ეთმობოდა პიროვნებას, პროცესსა და პროდუქტს.⁽¹⁾ ანალიზის ერთეული თითქმის ექსკლუზიურად იყო განსაკუთრებული ან „სახელგანთქმული“ ინდივიდი.⁽²⁾

კრეატიულობისა და ლიდერობის შეცვლილი სახე

იცვლება ის, თუ როგორ გვესმის, პრაქტიკაში ვიყენებთ ან გამოვხატავთ ჩვენს შემოქმედებას. კრეატიულობას მივყავართ ცვლილებებისაკენ, ხოლო ცვლილება იწვევს შემოქმედებითობას. სამი ძირითადი ტენდენცია მოიცავს ა) შემოქმედების აღქმა, როგორც უფრო ქსელური, თანამშრომლური პროცესისა, ბ) შემოქმედების აღქმა, როგორც პროცესისა, რომელიც ყოველდღიური, ყველგანმყოფი, ყოვლისმომცველია და არ არის შეზღუდული მხოლოდ გამორჩეული გენიოსებით,^{(3) (4)} და შემოქმედების არტიკულაცია, როგორც ლიდერობის ფორმა და ლიდერობა, როგორც შემოქმედების ფორმა.^{(5) (6) (7) (8) (9) (10) (11)}

ლიდერობა და კრეატიულობა ჰქონია ული, დიდი ადამიანის ხედვიდან გადადის უფრო შეფარდებით გადანაწილებულ პროცესზე – ყველა, ყველგან, ყოველდღე.

ლიდერობა შეიძლება იყოს თვითშექმნის ფორმა სოციალური პასუხისმგებლობისა და მსოფლიოში შესაძლებლობებისა და ალტერნატივების განვითარების კონტექსტში. როგორ უნდა ნარვმართოთ ჩვენი შემოქმედება? ლიდერობა უნდა ითვალისწინებდეს და პასუხს აგებდეს ადამიანის შემოქმედების მიმართულებასა და გამოყენებაზე, ხოლო კრეატიულობამ უნდა შთააგონოს ლიდერობა ახალი პერსპექტივებითა და შესაძლებლობებით პოსტნორმალური დროის მიღმა გასვლისათვის.

გარდამქმნელი კრეატიულობა

ამჟამად შემოქმედების ფსიქოლოგიის კვლევა მოიცავს ძლიერ ახლადაღმოცენებულ ფოკუსირებას ყოველ-დღიურ შემოქმედებაზე. კრეატიულობისთვის ადგილი ახლა პოტენციურად ყველგანაა. ეს შეიძლება დავინახოთ ინოვაციების, ჯგუფური კრეატიულობის, ჯაზის ახალ კვლევებში და „ბრძოს სიბრძნის“, „ლია ინოვაციის“ შემოქმედებითი პოტენციალის მზარდ დაფასებაში, სა-დაც ხდება რთული პრობლემების საზოგადოებისათვის გაზიარება და სასარგებლო პასუხების მიღება. ^{(12) (13)) (14)}
^{(15) (16) (17) (18)}

ჩნდება კითხვა: ის, რასაც ჩვენ ვეძახით „ყოველის, ყოველდღიურ, ყოვლისმომცველ“ კრეატიულობას, ხომ არ გადაიზრდება ნარცისიზმში, მომხმარებლის თვით-აპსორბაციაში და ყველა ფასეულობის გაფერმკთალებაში, რაც აიძულებს „მე თაობას“ გამოიყურებოდეს პოზიტიურად ალტრუსტულად? თუ ის იქნება მიმართული უფრო ღირ-სეული და ჰუმანური მისწრაფებისაკენ? ^{(19) (20) (21)}

ლიდერობის გადააზრება

გარდამავალ ეპოქაში, ჩვენ არ ვართ შეზღუდული ფიქსირებული როლებითა და ბედისწერით. ახალ ნინამ-ძლოლობაში არ იგულისხმება ის, რომ ადამიანი ყოველ-თვის უნდა იყოს ლიდერი. ლიდერობა ასევე სულ უფრო და უფრო განიხილება, როგორც ჰეტეროარქიული, და-ფუძნებული კონკრეტული კონტექსტის, ამოცანისა და სიტუაციის შესაბამისად მოქმედებაზე.

ტომები და ფაბრიკები

სეჭ გოდინის პოპულარული „ტომები“ გვაწვდის ორ სასარგებლო ნიმუშს, რომლებმაც შეიძლება გეზი მოგვცეს ლიდერობის ახლადაღმოცენებული ცნების აღ-ქმისთვის. მისი არგუმენტი ისაა, რომ ფაბრიკების ხანი-დან ახლა გადავდივართ ტომების ხანაში. „ტომი“, – წერს იგი, „არის ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც დაკავში-რებული არიან ერთმანეთთან, ლიდერთან და იდეით“. ⁽²²⁾

ფაბრიკები არის ვრცელი, იერარქიული, ვეებერთე-ლა, მოუქნელი და ზოგადად, არამიდრეკილი ინოვაციე-ბისკენ. ფაბრიკებში ხელმძღვანელობა შემოიფარგლება რამდენიმე პირით. ბრძანება და კონტროლი ქარხნებში ლიდერობის ძირითადი მახასიათებელია. ტომები კი გა-ერთიანებულია ქსელში, მოქნილი და ჰეტეროარქიულია, რაც იძლევა ხელმძღვანელობის მრავალი წყაროსგან ჩა-მოყალიბების საშუალებას. ხელმძღვანელობის დემოკრა-ტია სულ უფრო ფართოდ მეინსტრიმული პერსპექტივა ხდება.

შემაჯამაპელი მოსაზრებები

ჩვენ პოსტნორმალურ პერიოდში ვცხოვრობთ. კრე-ატიულობა და წარმოსახვა აუცილებელია ახალი სამყა-როს წარმოსადგენად. კრეატიულობას მივყავართ ამ ახა-ლი სამყაროსაკენ, სწორედ ასე წარმოვიდგენთ ალტერ-ნატივებს. ეს კი ნიშნავს, რომ კრეატიულობა მოითხოვს უფრო მეტ პასუხისმგებლობას, ვიდრე ოდესმე. შემოქ-მედნი ლიდერები არიან. ხალხი სწავლობს ერთად მუშა-ობას, რათა მიუხედავად განსხვავებებისა, ძველი პრობ-ლემების კრეატიული გადაწყვეტილებები შეიმუშავონ.

შესაძლოა ცხოვრება აღარასოდეს იყოს ისევ „ნორმალური“, მაგრამ ჩვენ ნამდვილად უნდა გვქონდეს ის, რისკენაც უნდა მივისწრაფოდეთ.

დამოწმებული ლიტერატურა

1. M. Runco, *Creativity. Theories and Themes: Research, Development, and Practice* (Amsterdam: Elsevier, 2007).
2. V. P. Glaveanu, “Paradigms in the study of creativity: Introducing the perspective of cultural psychology”, *New Ideas in Psychology*, 28, 2010, pp. 79-93
3. A. Montuori, “Beyond postnormal times: The future of creativity and the creativity of the future”, *Futures: The Journal of Policy, Planning and Future Studies*, 43(2), 2011, pp. 217-234.
4. A. Montuori, “Creativity and the Arab Spring”, *East-West Affairs*, 1(1), 2013.
5. J. M. Burns, *Transforming Leadership: The Pursuit of Happiness* (New York: Grove, 2004).
6. M. Csikszentmihalyi, *Good Business: Leadership, Flow, and the Making of Meaning* (New York: Penguin, 2004)
7. H. Gardner, *Leading Minds* (New York: Basic Books, 1995).
8. C. Hooker, and M. Csikszentmihalyi, “Flow, creativity, and shared leadership” in C. L. Pearce & J. A. Conger (Eds.), *Shared Leadership: Reframing the Hows and Whys of Leadership* (Thousand Oaks, CA: Sage, 2003), pp. 217-234
9. A. Montuori, “Transformative leadership for the 21st century. Reflections on the design of a graduate leadership curriculum.” *ReVision*, 30 (3-4), 2010, pp. 4-14
10. D. K. Simonton, *Genius, Creativity, and Leadership: Historiometric Inquiries* (Cambridge: Harvard University Press, 1984).

11. R. J. Sternberg, "A Systems Model of Leadership", WICS. *American Psychologist*, 62 (1), p. 34
12. F. Barron, "All Creation is a Collaboration", in A. Montuori & R. Purser (Eds.), *Social Creativity* (Cresskill, NJ: Hampton, 1999), vol. 1, pp. 40-50.
13. M. Wheatley, *Leadership and the New Science* (San Francisco: Berrett-Koehler, 2006)
14. N. C. Andreasen, *The Creative Brain: The Science of Genius* (New York: Plume, 2006)
15. A. Montuori, "The complexity of improvisation and the improvisation of complexity. Social science, art, and creativity", *Human Relations*, 56 (2), 2003, pp. 237-255.
16. P. B. Paulus & B. A. Nijstad (Eds.), *Group Creativity: Innovation Through Collaboration* (New York: Oxford University Press, 2003)
17. M. Schrage, *Serious Play: How the World's Best Companies Simulate to Innovate* (New York: Harvard Business School Press, 1999).
18. J. Surowiecki, *The Wisdom of Crowds* (New York: Anchor, 2005).
19. A. Toffler & H. Toffler, *Revolutionary Wealth* (New York: Knopf, 2006)
20. E. Greenberg & K. Weber, *Generation We: How Millennial Youth are Taking Over America and Changing our World Forever* (Emeryville: Pachatusan, 2008);
21. J. M. Twenge & W. K. Campbell, *The Narcissism Epidemic: Living in an Age of Entitlement* (New York Free Press, 2010).
22. S. Godin, *Tribes. We Need You to Lead Us* (New York: Portfolio, 2009).
23. Z. Sardar, *Postmodernism and the Other* (London: Pluto Press, 1999).

ავტორთა შესახებ

გაპრიელ დონელლი, მწერალი, სოციალური ცვლილებებისა და ინოვაციის ექსპერტი, დოქტორის ხარისხი მიენიჭა ტრანსფორმაციული კვლევების დარგში კალიფორნიის ინტეგრირებული სწავლების ინსტიტუტში. ის არის Collective Wisdom Solutions-ის თანამშრომელი – საკონსულტაციო კომპანიისა, რომელიც თანამშრომლობს საჯარო, კერძო და არაკომერციულ სექტორთან იდეების განხორციელების მიზნით. ბაზირებულია ჰალიფაქსში, ნოვა სკოტია (კანადა).

შირინ ელაჟი რისკის, გაურკვევლობის, ცვლილების და სცენარის დაგეგმარების ექსპერტი. ის ხშირად ატარებს ლექციებს, მათ შორის საიდ ბიზნეს ცენტრში, ოქსფორდის უნივერსიტეტში, პარიზის კომერციის კვლევების უმაღლეს სკოლაში, გამოყენებითი სისტემური ანალიზის საერთაშორისო ინსტიტუტში, ლეიქსენბურგში, ბენფილდ გრეგის რისკების შესწავლის ცენტრში, ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯში (UCL). ამავე დროს ის არის Scenarios Architecture-ის მმართველი დირექტორი. დაწესებულება წარმოადგენს ქსელის სპეციალისტთა სტრატეგიულ კონსალტინგ კომპანიას, რომელიც მუშაობს კომპლექსურ გლობალურ რისკებზე.

სილვიო მ. ფუნგოვიცი ასწავლიდა მათემატიკას, ლოგიკასა და კვლევის მეთოდოლოგიას ბუენოს აირესში, არგენტინა. წლების მანძილზე ის იყო მოწვეული მკვლევარი ევროპული საზოგადოების ერთობლივ კვლევით ცენტრში ისპარაში, იტალია, სადაც ის მუშაობდა, როგორც

ანალიტიკოსი-ფოლოსოფოსი მეცნიერებისა და ტექნოლოგის შესწავლის დარგში. ჯერომ რავეცთან ერთად, მან შექმნა NUSAP – აღნიშვნათა სისტემა, რომლებიც ახასიათებს გაურკვევლობასა და ხარისხს რაოდენობრივ გამოხატულებაში და წარმოადგინა პოსტნორმალური მეცნიერების კონცეფცია. ამჟამად ის არის მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კვლევის ცენტრის პროფესორი, ბერგენის უნივერსიტეტი, ნორვეგია.

სკოტ ჯორდანი, ფილოსოფოსი და პოლიტოლოგი, მუშაობს აზიის მსოფლიო ცენტრში, კრეიტონის უნივერსიტეტი, ომაჰა, ნებრასკა. ის არის Nonkilling Consortium International-ის წევრი. აქვს ნამუშევარი Soong Ching Ling Foundation-ში, ჩინეთი. არის კვარტალური ჟურნალის *Critical Muslim* რეგულარული ავტორი და უძლვება რადიო პოდკასტ შოუს Tea Talk Asia-ზე. მისი კვლევები ფოკუსირებულია საერთაშორისო პოლიტიკისა და მმართველობის პოსტნორმალურ ასპექტებზე, რასაც ის ხშირად ფილმების საშუალებით იკვლევს. ის არის პოსტნორმალური პოლიტიკისა და მომავლის კვლევების ცენტრის თანამშრომელი.

ალფონსო მონტუორი, ინტეგრალური კვლევების კალიფორნიის ინსტიტუტის ტრანსფორმაციების კვლევის დეპარტამენტის პროფესორი, ავტორი რამდენიმე წიგნისა კრეატიულობაზე, კომპლექსურობაზე, სოციალურ ცვლილებაზე, მენეჯმენტსა და განათლებაზე, მათი შორის თანარედაქტორი ორტომეულისა *Social Creativity* (სოციალური კრეატიულობა) (Hampton Press, 1999), უახლესი *Journeys in Complexity* (მოგზაურობა კომპლექ-

სურობაში) (Routledge, London, 2015). ის არის მთავარი რედაქტორი ჟურნალის *Advances in Systems Theory, Complexity, and the Human Sciences* (Hampton Press), ასევე ასოცირებული რედაქტორი ჟურნალისა *World Futures: The Journal of General Evolution*.

ჯერი რ. რავეცი, ცნობილი მეცნიერების ფილოსოფოსი. სახელი მოიხვეჭა თავისი გამორჩეული ნაშრომების წყალობით რისკის, სამეცნიერო ობიექტურობისა და მეცნიერების ისტორიის თაობაზე. მისი *Scientific Knowledge and Its Social Problems* (სამეცნიერო ცოდნა და მისი სოციალური პრობლემები) (OUP, 1971) მიჩნეულია ფუძემდებლურ ნაშრომად. მის სხვა წიგნებს შორისაა *The Merger of Knowledge with Power* (ცოდნის ძალაუფლებასთან შერწმა) (Cassell, London, 1990); (ს.ო. ფუნტოვიცის თანაავტორობით) *Uncertainty and Quality in Science for Policy* „გაურკვევლობა და მეცნიერების ხარისხი პოლიტიკისთვის“ (Kluwer, Dordrecht, 1990); და (ზიაუდინ სარდარის თანაავტორობით) *Cyberfutures* (კიბერმომავალი) (Pluto, London, 1997); ასევე *Introducing Mathematics* (მათემატიკის შესავალი) (Icon, Cambridge 1998). მიჩნეულია პოსტნორმალური მეცნიერების ფუძემდებელ მამად. სილვიო ფუნტოვიცთან ერთად შეიმუშავა NUSAP — აღნიშვნათა სისტემა რაოდენობრივ ინფორმაციაში გაურკვევლობის წარმოსადგენად. ამჟამად ის არის ოქსფორდის უნივერსიტეტის ჯეიმს მარტინის მეცნიერებისა და ცივილიზაციის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი.

ზიაუდდინ სარდარი, მწერალი, ფუტუროლოგი და ედუკატორი, საყოველთაოდ ცნობილი ინტელექტუალი. მას გამოცემული აქვს 50-ზე მეტი წიგნი, მათ შორის *Rescuing All Our Futures* (ჩვენი მომავლის გადარჩენა) (Adamantine, New York, 1998), *Islam, Postmodernism and Other Futures: A Ziauddin Sardar Reader* (ისლამი, პოსტმოდერნიზმი და სხვა მომავლები: ზიაუდდინ სარდარის რიდერი) (Pluto, London, 2003), და უახლოეს წარსულში გამოქვეყნებული *Future: All That Matters* (მომავალი: ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანია) (Hodder, London, 2013). ის გახლდათ პოლიტიკის, დაგეგმარებისა და მომავლის შესწავლის ყოველთვიური ჟურნალის *Futures* მთავარი რედაქტორი 1999-2012 წლებში. ასევე მუშაობდა დიდი ბრიტანეთის თანასწორობისა და ადამიანის უფლებების კომისიაში რწმუნებულად 2006-2009 წლებში. ამჟამად ის არის პოსტნორმალური პოლიტიკისა და მომავლის შესწავლის ცენტრის მკვლევარი დირექტორი.

ჯორდი სერრა, ფუტურისტი, კონსულტანტი და ედუკატორი, ბლანკერნას რამონ ლიულის უნივერსიტეტის კომუნიკაციებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ბარსელონა, ესპანეთი. ბარსელონას ავტონომიური უნივერსიტეტის წინასწარგანჭვრეტისა და რისკის მართვის ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი. ის გახლავთ სარედაქციო კოლეგის წევრი ჟურნალებისა *Futures*, *World Future Review* და *Revista IAPEM*. გამოსცა არაერთი წიგნი ესპანურ ენაზე, მათ შორის უახლოეს წარსულში გამოქვეყნებული *Inteligencia y análisis prospectivo: La gestión de la incertidumbre*.

dumbre (secretaria de intelijensia, qvito, 2014). ის გახდავთ პოსტნორმალური პოლიტიკისა და მომავლის შესწავლის ცენტრის დი მკვლევარი რექტორი.

ჯონ სკინი, ფუტუროლოგი, კონსულტანტი და ედუ-კატორი. ის თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან, განვი-თარებისა და ჰუმანიტარული დახმარების საერთაშორისო სააგენტოებთან, არაკომერციულ ფონდებთან, საგანმა-ნათლებლო და კულტურულ ორგანიზაციებთან, მათ შო-რისაა გაეროს ბავშვთა ფონდის, იუნესკოს, გაეროს განვი-თარების პროგრამის საზოგადოებრივი სერვისების სრულ-ყოფის გლობალური ცენტრთან, ევროკომისიის ერთობლი-ვი კვლევითი ცენტრთან, წითელი ჯვრისა და წითელი ნა-ხევარმთვარის საზოგადოებების საერთაშორისო ფედერა-ცისთან. ის არის ავტორი ნაშრომისა *Mutative Media: Com-munication Technologies and Power Relations in the Past, Present, and Futures* (მუტირებადი მედია: საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ძალაუფლების ურთიერთკავშირი ნარ-სულში, ანმყოსა და მომავალში) (Springer, Dordrecht, 2015). ის არის პოსტნორმალური პოლიტიკისა და მომავლის შეს-წავლის ცენტრის დირექტორის მოადგილე.

პოსტნორმალური პოლიტიკისა და მომავლის კვლე-ვების ცენტრი (CPPFS) არის საერთაშორისო კვლევითი და საკონსულტაციო ქსელი, რომელშიც განსაკუთრებუ-ლი ყურადღება ექცევა მარგინალიზებულ ხალხებსა და საზოგადოებებს. ცენტრი ხელს უწყობს მომავლის წიგ-ნიერებასა და პოსტნორმალური დროის გააზრებას, ურ-თიერთსანინაალმდეგო, რთულ და ქაოტურ სიტუაციები-სა და მოვლენების ფონზე ნავიგაციის ახალ საშუალე-

ბებზე აქცენტის გაკეთებით. მისი მიზანია კრიტიკული კვლევების, პრაქტიკული სწავლების, ეთიკური წარმოსახვის სტიმულირება დეკოლონიზირებული, ალტერნატიული და სასურველი მომავლის ჩამოყალიბებისთვის.

პოსტნორმალური დროის საუკეთესო განსაზღვრება შეიძლება იყოს შემდეგი: „შუალედური ხანა, როდესაც კვდება ძველი ტრადიციები, ახალი ჯერ არ დაბადებულა და ცოტას თუ აქვს რაიმე აზრი“ ან როგორც ეციო მაურო ამბობს: „ჩვენ ჩამოკიდებული ვართ „უკვე აღარ“ და „ჯერ არა“-ს შორის და შესაბამისად, ვართ არასტაბილურნი, არაფერია ჩვენს ირგვლივ ფიქსირებული, მათ შორის არც ჩვენი მოგზაურობის მიმართულება“. პოსტნორმალური დროის თეორია ცდილობს აზრი შესძინოს სწრაფად ცვალებად მსოფლიოს, რომელშიც გაურკვევლობა დომინანტი თემაა, ხოლო უმეცრება ღირებული გახდა. „პოსტნორმალური დროის საკითხავი“ არის ნოვატორული ანთოლოგია ნაშრომებისა ჩვენი ეპოქის ურთიერთსაწინააღმდეგო, კომპლექსური და ქაოტური ბუნების შესახებ. ის მოიცავს პოსტნორმალური დროის წარმოშობას, თეორიასა და მეთოდებს; და განიხილავს უამრავ საკითხს პოსტნორმალური დროის თვალთახედვით, დაწყებული კლიმატის ცვლილებიდან, მმართველობიდან და ახლო აღმოსავლეთიდან, დამთავრებული რელიგიითა და მეცნიერებით. ჩვენი გარდამავალი პერიოდის ზოგი საკვანძო ლოკალური თუ გლობალური პრობლემების რუკაზე დატანების გზით „საკითხავი“ გვთავაზობს ტურბულენტურ მომავალში ორიენტირების შესაძლებობას.



გამომცემლობა „უნივერსალი”

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოს სახაის №4, ტე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

01ს0-ს წიგნების სერია ინსტიტუტის ძირითადი პუბლიკაციების ღირებული კოლექციაა, რომელიც შემოკლებული ფორმითაა დაწერილი, რათა მკითხველს სრული ვერსიის მინაარსის შესახებ ძირითადი წარმოდგენა შეუქმნას.

პოსტნორმალური დროის საუკეთესო განსაზღვრება შეიძლება იყოს შემდეგი: „შუალედური ხანა, როდესაც კვდება ძველი ტრადიციები, ახალი ჯერ არ დაბადებულა და ცოტას თუ აქვს რაიმე აზრი“ ან როგორც ეციო მურო ამბობს: „ჩვენ ვიცვლებით „უკვე ადარ“ და „ჯერ არა“-ს შორის და შესაბამისად, ვართ არასტაბილური, არაფერია ჩვენს ირგვლივ ფიქსირებული, მათ შორის არც ჩვენი მოგზაურობის მიმართულება“. პოსტნორმალური დროის თეორია ცდილობს აზრი შესძინოს სწრაფად ცვალებად მსოფლიოს, რომელშიც გაურკვევლობა დომინანტი თემაა, ხოლო უმეცრება ღირებული გახდა. „პოსტნორმალური დროის საკითხავი“ არის პიონერული ანთოლოგია ნაშრომებისა ჩვენი ეპოქის ურთიერთსაწინააღმდეგო, კომპლექსური და ქაოსური ბუნების შესახებ. ის მოიცავს პოსტნორმალური დროის წარმოშობას, თეორიასა და მეთოდებს; და განიხილავს უამრავ საკითხს პოსტნორმალური დროის თვალთახედვით, დაწყებული კლიმატის ცვლილებით, მმართველობითა და ახლო აღმოსავლეთით, დამთავრებული რელიგიითა და მეცნიერებით. ჩვენი გარდამავალი პერიოდის ზოგი საკვანძო ლიკალური თუ გლობალური პრობლემების რუკაზე დატანების გზით „საკითხავი“ გვთავაზობს ტურბულენტურ მომავალში ნავიგაციის შესაძლებლობას.